

# საოჯახო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2022, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2022, №1

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2022, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქეთევან შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## სარჩევი

- 1. ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლება**  
მეუღლის ქონების გადაქცევა  
მეუღლეთა თანასაკუთრებად ..... 16; 25; 44; 50
- 2. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ**  
შვილების აღზრდა მშობლების ურთიერთშეთანხმებით ..... 88  
ბავშვის ინტერესების დაცვა ..... 103  
არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი  
მშობლების განქორწინებისას ..... 128  
პაპისა და ბების უფლებები  
არასრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ ..... 152  
შვილების მონაწილეობა  
შრომისუუნარო მშობლების რჩენაში ..... 171

# 1. ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლება

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-94-2020

23 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. ზამბახიძე,  
ლ. მიქაბერიძე**

**დავის საგანი:** ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების 2/3 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა, თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თ. კ-ი (შემდეგში: ქმარი, მოსარჩელე, შეგებებული სარჩელით მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) და ს. ტ-ი (შემდეგში: ცოლი, მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1988 წლის 30 აგვისტოდან, ისინი განქორწინდნენ 2017 წლის 13 სექტემბერს. იმავე წლის, 17 აგვისტოს (განქორწინებამდე 1 თვით ადრე), ქმრის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი. მხარეთა შორის, დავის განხილვის დროისთვისაც კონფლიქტური ურთიერთობაა.

2. ქორწინების განმავლობაში, მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ..., დაზუსტებული ფართობი 313 კვ.მ. /ს/კ №.../. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნულ ქონებაზე, საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს: ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საალსრულებო ფურცელი, საქმე №2/2-2093, ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2001 წლის 7 ნოემბერს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა.

3. მხარეებმა ქორწინების პერიოდში 11.12.2012 წლის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინეს უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ... შენობა-ნაგებობა №1 (საერთო ფართობით 170.5 კვ.მ.) და შენობა ნაგებობა №2-დან (საერთო ფართობით 87.95 კვ.მ.) 1/2 ნაწილი (ს/კ №...).

4. მოპასუხესა (ცოლი) და ი. ა-ას შორის, 2015 წლის 25 მაისს დაიდო გამიჯვნის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც უძრავი ქო-

ნება დაიყო ინდივიდუალურ საკუთრებად და ნაწილი დარჩა საერთო საკუთრებაში. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ქონება, მდებარე თბილისი, ... ქუჩა 34 ბ, დაზუსტებული ფართობი 370 კვ.მ. ფართიდან, მოპასუხის სახელზე აღირიცხა 123 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: შენობა №1/2 თავზე არსებული საზაფხულო ფართი 98.97 კვ.მ., შენობა №1/2 II სართულის გეგმა, საერთო ფართი 100.26 კვ.მ., შენობა №1/2 I სართულის გეგმა, საერთო ფართი 96.89 კვ.მ., შენობა №2/1 საერთო ფართი 13.80 კვ.მ. და მიენიჭა საკადასტრო კოდი №01..., მისამართი დარჩა ქ. თბილისი, ... ქუჩა №34 ბ. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის სახელზე აღირიცხა 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა: შენობა №1/1 საერთო ფართი 10.69 კვ.მ. და მიენიჭა საკადასტრო კოდი №01..., მისამართი დარჩა თბილისი, ... ქუჩა №34 ბ. მოპასუხისა და ი. ა-ას საერთო საკუთრებაში დარჩა ნაკვეთი №2, 233 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. მოპასუხის სახელზე აისახა ნახევარსარდაფში ფართი 28.55 კვ.მ. I სართულზე ფართი 25.39 კვ.მ., ხოლო ი. ა-ას საკუთრებაში დარჩა ნახევარსარდაფში ფართი 31.64 კვ.მ., I სართულზე ფართი 44.72 კვ.მ. და მიენიჭა საკადასტრო კოდი №01..., მისამართი დარჩა თბილისი, ... ქუჩა №34 ბ.

5. მოსარჩელემ, 2011 წლის 10 ნოემბერს შედგენილი ხელწერილით, გ. ღ-გან (შემდეგში: გამსესხებელი, მყიდველი) მიიღო სესხის თანხა 40 000 აშშ დოლარი.

6. მოსარჩელემ, 2017 წლის 10 ივლისს, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გაასხვისა გამსესხებელზე 96 000 ლარად. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, საფასურის გადახდა განხორციელდა სრულად, 2011 წლის 10 ნოემბრის ვალის აღიარების ხელწერილის საფუძველზე.

7. ინდივიდუალური აუდიტორის შეფასების ანგარიშით, ს. ტ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, ... ქუჩა №34 ბ, საკადასტრო კოდით №..., №..., №..., საბაზრო ღირებულება განისაზღვრა სულ 68 000 ლარის ოდენობით.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/37187-18 ქმრის სარჩელის გამო ცოლის მიმართ, სადაც დავის საგანს წარმოადგენს ვალის მეუღლეთა საერთო ვალად აღიარება და თანხის დაკისრება. მოცემულ საქმეზე დავა დასრულებული არ არის.

## **9. სარჩელის მოთხოვნა**

9.1. ქმარმა, 2017 წლის 14 ივლისს, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოითხოვა ქორწინების პერიოდში შე-

ძენელი ქონების 2/3 ნაწილის (ცოლის სახელზე რეგისტრირებულ, ... ქუჩა №34 ბ-ში, №0..., №..., №... ს/კოდებით რეგისტრირებულ უძრავი ქონებების, თითოეულის 1/2 ნაწილის) მესაკუთრედ ცნობა.

#### **10. მოპასუხის შესაგებელი**

10.1. მოპასუხე დაეთანხმა, ყოფილი ქმრის სასარჩელო მოთხოვნებს და განმარტა, რომ სადავო ქონებები შექცენილია მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში.

#### **11. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა**

11.1. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ, მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შექცენილი და შემდეგ 96 000 ლარად გასხვისებული ქონების საფასურის ნახევარი 48 000 ლარის ქმრისთვის დაკისრება მოითხოვა.

#### **12. შეგებებული სარჩელის მოპასუხის პოზიცია**

12.1. შეგებებული სარჩელის მოპასუხე (ყოფილი ქმარი), შეგებებული სარჩელის მოთხოვნას არ დაეთანხმა, და განმარტა, რომ სადავო ქონება (იხ. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტი) შეიძინა საკუთარი სახსრებით. ცოლი თავად ქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციებს, იღებდა ვალებს და ქმარს უწევდა გადახდა. მოსარჩელის განცხადებით, 40 000 დოლარი იხესხა, რომლის გადაუხდელობის გამოც მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გადასცა გამსესხებელს (მყიდველს). მყიდველმა, დროებით მისცა მოსარჩელესა და მის მეუღლეს ბინაში ცხოვრების უფლება, ხოლო, როდესაც ... ქ. №34ბ-ში აპირებდნენ გადასვლას, მოპასუხემ, საპატრულო პოლიცია გამოიძახა და მოსარჩელეს აუკრძალა აღნიშნულ მისამართზე მისვლაც კი. მოსარჩელის განმარტებით, უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული სარგებლით, ქორწინების პერიოდში აღებული ვალები გაისტურმა, რაც გამორიცხავს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას.

#### **13. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ქმარი, ცნობილ იქნა ცოლის სახელზე რეგისტრირებულ, ... ქუჩა №34 ბ-ში, №..., №..., №... ს/კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებების, თითოეულის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

13.2. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს (ყოფილ ქმარს), დაეკისრა მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შექცენილი უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ... ქუჩა №69, დაზუსტებული ფართობი 313 კვ.მ. /ს/კ №..., გასხვისებით მიღებული თანხის 96 000 ლარის 1/2 ნაწილის – 48 000 ლარის გადახდა

#### **14. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა**

14.1. მოსარჩელემ, ნაწილობრივ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგვებულებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. ამასთან, აპელანტის პრეტენზიით, ასევე, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის საოქმო განჩინება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა, მოპასუხის შეგებულებული სარჩელის ნაწილში, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობაზე.

14.2. აპელანტის განმარტებით, 2017 წლის 3 მაისს ყოფილმა ცოლმა აღძრა შეგებულებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა – მოპასუხეს დაეკისროს მეუღლეთა თანაცხოვრების განმავლობაში შეძენილი ქონების (მდებარე ქ. თბილისი, ..., ს/კ ...) გასხვისებით მიღებული თანხის 96 000 ლარის 1/2-ის 48 000 ლარის გადახდა. მოსარჩელემ (აპელანტმა, ყოფილმა ქმარმა) ყოფილი ცოლის შეგებულებულ სარჩელზე აღძრა შეგებულებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა ვალის მეუღლეთა საერთო ვალად აღიარება. 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ქმარს უარი ეთქვა შეგებულებული სარჩელის მიღებაზე, თუმცა განჩინებით განმარტებული მითითებების შესრულება და დაზუსტებული შეგებულებული სარჩელის შეტანა ვერ მოხერხდა იქიდან გამომდინარე, რომ განჩინება ქმრის შეგებულებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ ჩაბარდა იმ დროს, როდესაც უკვე მთავარ სხდომაზე იყო საქმე გადასული. ყოველივე აღნიშნულის შესაბამისად, იძულებული გახდა ცალკე სარჩელი აღედრა მოცემული შეგებულებული სარჩელით დაყენებული მოთხოვნით.

## **15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

15.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

15.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივარში, და სასამართლო სხდომაზე აპელანტის მიერ გაჟღერებული პოზიცია, რომ სადავო ქონების გასხვისებით სარგებელი არ მიუღია და განხორციელდა უძრავი ქონების ვალის სანაცვლოდ გადაცემა, ამასთან, პირველი ინსტანციის მიერ საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შედეგად არ მიეცა საშუალება ედავა სა-

ერთო ვალების გაყოფის მოთხოვნით, რაც საფუძველი გახდებოდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის.

15.4. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა მიერ სადავოდ არ არის გამხდარი როგორც 2011 წლის 10 ნოემბრის ვალის აღიერების შესახებ ხელშეკრულება, ისე 2017 წლის 10 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულება და ნასყიდობის საფასური, სადავო უძრავი ქონება შეძენილი და გასხვისებულ იყო მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, რის გამოც იგი უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, ხოლო მისი განკარგვით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს იმ ქონებრივ სარგებელს, რომელიც მიღებულია საზიარო ქონების გასხვისების შედეგად.

15.5. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, ქონების განკარგვის შედეგად მიიღო ქონებრივი სარგებელი, რაც შეადგენს 96 000 ლარს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ქონების გაყიდვის შედეგად მოპასუხეს, რომელსაც გააჩნდა აღნიშნული ქონების განკარგვის შედეგად სარგებლის მიღების კანონისმიერი საფუძველი, გადაეცა მიღებული თანხიდან რაიმე წილი. ამასთან, არ დგინდება, რომ მიღებული თანხა მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს.

15.6. საქმის წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის ცალკე არსებული დავით არ იკვეთებოდა სასამართლოს მხრიდან აღნიშნულ ურთიერთობაზე გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა შეგებებული სარჩელის აღძვრის წინაპირობებს განსაზღვრავს არა სავალდებულოდ, არამედ მხარეს ანიჭებს შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში მისი აღძვრის უფლებას. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ცალკე დავას აწარმოებდა მოწინააღმდეგესთან, მეუღლეთა შორის საერთო ვალების გაყოფის შესახებ, არ შეიძლება გახდეს იმ ფაქტის გამაბათილებელი საშუალება, რომ ერთი მეუღლის მიერ უძრავი ქონების გასხვისების შედეგად მეორე მეუღლეს არ ეკუთვნის აღნიშნულის შედეგად მიღებული სარგებლიდან შესაბამისი წილი. ყოფილი ქმრის სარჩელის სამომავლოდ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მხარეებს შორის შესაძლოა დამატებით წარმოიშვას ურთიერთვალდებულებათა გაქვითვის საჭიროება.

## **16. საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძველები**

16.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და

ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

16.2. კასატორის პრეტენზიით, უსაფუძვლო იყო, ქვემდგომი ინსტანციის შეფასება, რომ მოსარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისებით ამ უკანასკნელმა სარგებელი მიიღო, რომლის  $\frac{1}{2}$  მოპასუხესაც ეკუთვნოდა, როგორც მეუღლეს.

16.3. კასატორის განმარტებით, განსახილველ საქმეზე, მოპასუხის შეგებებულ სარჩელზე, მოსარჩელემაც აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლის მიღებაზეც საქალაქო სასამართლომ უარი უთხრა კასატორს. კასატორმა, შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებით გათვალისწინებული მითითებების შესრულება და სარჩელის დაზუსტება ველარ მოასწრო, ვინაიდან განსახილველ დავაზე მოსამზადებელი ეტაპი უკვე დასრულებული იყო.

16.4. სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც კასატორის სახელზე იყო რეგისტრირებული და მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში გასხვისდა, კასატორი განმარტავს, რომ აღნიშნული ქონება, მყიდველისგან აღებული სესხის სანაცვლოდ გადაეცა, რასაც ნასყიდობის ხელშეკრულებაც ადასტურებს. აღნიშნულის შესახებ მითითებულია, როგორც შესაგებელში, აგრეთვე შეგებებულ სარჩელში, თუმცა შეგებებული სარჩელი სასამართლომ არ მიიღო. სადავო ქონებასთან დაკავშირებით, როგორც მოსარჩელემ, აგრეთვე მოპასუხემ, იშუამდგომლეს მონმეთა დაკითხვა. მონმე, გ. ლ-მა დაადასტურა, რომ სადავო ქონება საკუთრებაში, მასსა და მოსარჩელეს შორის, 2011 წლის 10 ნოემბერს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ მიიღო. მეორე მონმემ – ა. ნ-მა დაადასტურა, რომ მასსა და მის მეუღლეს ე. ა-ას მოსარჩელემ უძრავი ქონების გაფორმებამდე 20 000 აშშ დოლარი, ხოლო საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული საბუთების მონესრიგების შემდეგ დარჩენილი 20 000 აშშ დოლარი, ჯამში 40 000 აშშ დოლარი გადასცა.

16.5. კასატორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, მიმდინარე საქმეზე სასამართლომ შეაფასა ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც არ შედიოდა წინამდებარე სასარჩელო მოთხოვნების მტკიცების საგანში.

16.6. კასატორის განმარტებით, თუ სასამართლოს მიაჩნდა, რომ მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის შესახებ მოთხოვნა, სხვა დავის საგანი იყო, რაც მიმდინარე საქმის შეჩერების, ან ამ საქმეთა გაერთიანების საფუძველი ვერ გახდებოდა, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო, მონმეთა დაკითხვა, აგრეთვე, შეფასება, რომ „საქმეში

არ მოიპოვებოდა მყარი სახის მტკიცებულება, რომელიც დამაჯერებელს გახდიდა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ თანაცხოვრების პერიოდში აღებული ვალი ცნობილი იყო მოპასუხისთვისაც და მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს“, იმ პირობებში, როდესაც, მოპასუხეს შესაგებელში თავისმხრივ არაფერი წარუდგენია, შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის გამო.

### **17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

17.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 5 მარტის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული, ხოლო, იმავე წლის 10 ივნისის განჩინებით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად დასაშვებადაა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომნების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში განმარტავს, რომ საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია როგორც მატერიალურსამართლებრივი, აგრეთვე საპროცესოსამართლებრივი დარღვევების საფუძვლით.

20. მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, კასატორის პრეტენზია ეხება, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ იმ საკითხის არასწორ შეფასებას, რომელიც მან სადავოდ გახადა, როგორც შესაგებლით, აგრეთვე მოპასუხის შეგებებულ სარჩელ-

ზე წარდგენილი შეგებებული სარჩელით (ამ უკანასკნელს, პროცესუალურსამართლებრივი გარემოებების გამო მიღებაზე ეთქვა უარი და მასში მოყვანილი გარემოებების შეფასება მიზანშეუწონელია).

21. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, კასატორი, სარჩელით, მისი ყოფილი მეუღლის სახელზე რეგისტრირებული სამი უძრავი ქონების, თითოეულის  $\frac{1}{2}$  ნაწილის მესაკუთრედ ცნობას ითხოვდა. აღნიშნული მოთხოვნები, მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით ცნო, რაც მხარეთა შორის ამ საკითხზე დავას გამოიწვია. თუმცა, მოპასუხე, შესაგებელშიც ახსენებს და მოგვიანებით წარდგენილი შეგებებული სარჩელითაც სადავოდ ხდის, რომ მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისებით, ამ უკანასკნელმა სარგებელი მიიღო, შესაბამისად, ნასყიდობის საფასურიდან – 96 000 ლარიდან ნახევარი – 48 000 ლარი მას ეკუთვნის. თავისმხრივ, მოპასუხის შეგებებულ სარჩელზე წარდგენილი, მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით, მოსარჩელემ, სადავო თანხის დაკისრების უსაფუძვლობაზე მიუთითა და განმარტა, რომ მიღებული თანხით, მანამდე არსებული საერთო ვალი გადაიხადა, რაც გამომრიცხავდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას.

22. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანა მდგომარეობს სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირებასა და იმის დადგენაში თუ, რის საფუძველზე, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზეა დამყარებული მოთხოვნა. მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში კი, სასამართლომ უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ იურიდიულ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოძიებული ნორმა (ან ნორმები) უნდა შეიცავდეს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც დავის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებაა და იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ დადგინდეს ნორმის წინაპირობები (მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა), რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას. საბოლოოდ, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. პროცესის მონაწილე მხარე კი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნა მეორე მხარის მიმართ, ვალდებულია, სულ მცირე, მიუთითოს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა ადგენს (შეიცავს). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამომრიცხავს მხარი-

სათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ., სუსგ №ას-1338-2018,25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირების შემდეგ, იმ სამართლებრივი შედეგის მიღწევის მიზნით, რაც მოსარჩელეს ამოძრავებს, იმ პირობებში თუ ის უთითებს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე და წარდგენილი აქვს მტკიცებულებები, სასამართლო მოიძიებს ე.წ შედეგის განმსაზღვრელ ნორმებს, რომელთაც შეუფარდებს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს (იხ. ე.წ. სუბსუმციის, ანუ იურიდიული კვალიფიკაციის მეთოდი) თუმცა, ამავე ნორმების გამოყენებისა და მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფარდებამდე, აგრეთვე უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ე.წ. მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები, რომელთა მოძიებაც, რიგ შემთხვევებში, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის მითითებებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

24. წინამდებარე შემთხვევაში, შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა, მისი ყოფილი ქმრის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისებიდან გამომდინარე სარგებლის მიღებას ეხება (დადგენილია, რომ სადავო ქონება შექცენილია მეუღლეთა რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში), რაც გამომდინარეობს სსკ-ის 1158-ე „1. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექცენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 2. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი“, 1160.3

„მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი“ მუხლებიდან.

25. თავის მხრივ, შეგებებულ სარჩელზე წარდგენილი, მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით (იხ. სსკ-ის 1169-ე „მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი ნილის თანაზომიერად“ მუხლი), მოსარჩელე (ქმარი, შეგებებული სარჩელის მოპასუხე) სადავო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხით, ოჯახის საერთო ვალის გადახდაზე უთითებდა. აღნიშნულის დასადასტურებლად კი ვალის აღიარების შესახებ ხელწერილზე და სადავო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მიუთითა (იხ. დასახელებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტი – „მხარეები ადასტურებენ, რომ ნასყიდობის საგნის თანხის გადახდა განხორციელდა სრულად 2011 წლის 10 ნოემბრის ვალის აღიარების ხელწერილის საფუძველზე“).

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეს არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა, შესაბამისად, ზედმეტი საპროცესო ხარჯების განევა. პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მას შეუძლია წარადგინოს მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი, რაც წარადგინა კიდევაც.

27. საკასაციო სასამართლო, დამატებით, საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებსა და მხარეთა ურთიერთსაპირისპირო განმარტებებზე მიუთითებს, კერძოდ, „უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, ... ქუჩა №34 ბ, საკადასტრო კოდით №..., №..., №..., შექმნილია მეუღლეების, თ. კ-ის და ს. ტ-ის მიერ ქორწინების განმავლობაში, ერთ ოჯახად ცხოვრების პერიოდში. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს თ. კ-ისა და ს. ტ-ის საერთო საკუთრებას. მხარეები განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ აღნიშნული უძრავი ქონების შეძენის დროს ნასყიდობის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით. თ. კ-ის განმარტებით, მან აღნიშნული უძრავი ქონების შესაძენად თანხა ისესხა გ. ლ-გან. თ. კ-მა ე. ა-ას და მის მეუღლეს, ა. ნ-ს უძრავი ქონების გაფორმებამდე ბეს სახით მისცა თანხა 20 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგების შემდგომ, 20 000 აშშ დოლარი გადაუხადა მათ. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს მოწმე ა. ნ-ი, რომელიც განმარტავს, რომ მან სრულად მიიღო ნასყიდობის თანხა 40 000 აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა კონკრეტულად ვერ იხსენებს, დარჩენილი 20 000 აშშ დოლარი ნაწილ-ნაწილ გადაუხადა თ. კ-მა თუ ერთიანად. ს. ტ-ის განმარტებით კი, მას ნასყიდობის დარჩენილი საფასური ნაწილ-ნაწილ მიჰ-

ქონდა ე. ა-ასთან და მის მეუღლესთან, რასაც არ ეთანხმება მოწმე ა. ნ-ი. თ. კ-ის განმარტებით, აღნიშნული სახლის შექმნა მოხდა ოჯახის საერთო ვალით, რომლის დაბრუნების ვალდებულებით ს. ტ-ი არ დაინტერესებულა“.

28. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია, სადავო უძრავი ქონება შექმნილია და გასხვიებული მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, გამოსარკვევია, გასხვიების შედეგად მიღებული თანხა წარმოადგენდა თუ არა სარგებელს, ან აღნიშნული თანხით გადაფარული სესხი წარმოადგენდა თუ არა მეუღლეთა საერთო ვალს, რაც დასახელებული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი გარემოებების გაანალიზებისას, შეიძლება გაირკვეს, ხოლო, საკასაციო სასამართლო, განსახილველ შემთხვევაში მოკლებულია შესაძლებლობას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მათ დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებები.

29. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კასატორის პრეტენზია პროცესუალურსამართლებრივი ხასიათისაა იყო, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში, კასატორმა, მოპასუხის შეგებებულ სარჩელზე თავადაც წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც, ვალის, მეუღლეთა საერთო ვალად აღიარებას ითხოვდა, დასახელებული შეგებებული სარჩელის მიღებაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით უარი ეთქვა, იმ მოტივით, რომ მოთხოვნა არ ჰქონდა დაზუსტებული, აღძრული იყო აღიარებითი სარჩელი. მოსარჩელემ, იმავე მიზნით ცალკე წარადგინა სარჩელი, სადაც მოითხოვა გამსესხებლისგან აღებული 40 000 აშშ დოლარის მეუღლეთა საერთო ვალად აღიარება, ხოლო, საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, პარალელურად არსებული დავის დასრულებამდე შეეჩერებინა საქმე. აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. ამრიგად, საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერებამდე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს რა კავშირი არ-

სებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება (იხ. სუსგ-ები №ას-266-253-2016, 2016 წლის 14 ივნისი; №ას-1249-1169-2017, 27.04.2018).

31. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ წინამდებარე საქმეზე, მოპასუხემ, შეგებებული სარჩელით სადავო უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული სარგებელი გახადა სადავოდ და მიუთითა, რომ აღნიშნული თანხის 1/2 წილი, როგორც მეუღლეთა საერთო საკუთრებიდან მიღებული, მას ეკუთვნოდა, თავის მხრივ, მოპასუხე ქმარმა შესაგებლითაც სადავოდ გახადა აღნიშნული ფაქტი და პარალელურ დავაშიც მიუთითა, რომ სადავო ქონების საფასურით მანამდე არსებული ვალი დაიფარა, რომლის მეუღლეთა საერთო ვალად აღიარება მოითხოვა, ამდენად, ორივე დავაში ერთი გარემოება იყო დასადგენი, წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელის (ქმრის) მიერ აღებული ვალი საერთო ვალს, და სადავო ქონების გასხვისებით მოხდა თუ არა ამ ვალის დაფარვა.

32. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

33. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემავამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. თ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-7-7-2016

16 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ნ. ბაქაქუჩი

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქონების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**I. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები:**

1. ფ. გ-ამ (შემდგომში „მოსარჩელე“/„მონინალმდეგე მხარე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ა. გ-ისა და ი. გ-ის (შემდგომში „აპელანტები“/„კასატორები“) მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

– ქ. მ-ში, ჯ-ის ქ. №2ბ-ში მდებარე, უძრავი ნივთზე 2014 წლის 04 აგვისტოს კასატორებს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების 1/2 ნაწილში ბათილად ცნობა;

– დღეისათვის, ქ. მ-ში, ჯ-ის ქ. №2ბ-ში (დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ., №1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართობი: 110 კვ.მ.) ა. გ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/2 წილზე მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობა.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2004 წლიდან მოსარჩელე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ი. გ-თან, რადგან მოსარჩელის არასრულწლოვანების გამო, ქორწინების რეგისტრაცია ვერ ხერხდებოდა. 2008 წლის 14 აპრილს, როდესაც მოსარჩელეს შეუსრულდა 16 წელი, მოსარჩელის მშობლების თანხმობით, მან და ი. გ-მა დაარეგისტრირეს ქორწინება. მათ ერთად ცხოვრების განმავლობაში შეეძინათ ორი შვილი: 2008 წლის 26 ივლისს დაბადებული ს. გ-ა და 2010 წლის 28 იანვარს დაბადებული ს-ა.

გათხოვების დღიდან მოსარჩელე უძღვებოდა სოფლის მეურნეობას, კერძოდ, ყოველ გაზაფხულზე ყიდულობდნენ ათასობით ქათმის წინილას, რომლებსაც ძირითადად უვლიდა მოსარჩელე და ახდენდნენ გაზრდილი ქათმების რეალიზაციას. მოსარჩელე მისი შრომით მიღებულ შემოსავალს ოჯახს ახმარდა.

თავდაპირველად, ცოლ-ქმარი ცხოვრობდა ქმრის მშობლების სახლში, მდებარე ქ. მ-ი, ქ-ის ქ. №8.

2006 წლის 13 ნოემბერს თავდაპირველი დანაზოგით, მათ შორის, ქორწინლის შემდეგ ნაჩუქარი თანხებით, მოქალაქე გ-სგან 1000 ლარად შეიძინეს 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე მ-ი, სოფელი ჯ-ი, ამჟამინდელი მ-ი, ჯ-ის ქ. №2ბ, ძველი ს/კ: 83..., ამჟამინდელი ს/კ: 8...

2009 წლის ბოლოდან ერთობლივი შრომის შედეგად მიღებული შემოსავლით, შეძენილ მიწის ნაკვეთზე, ი. გ-მა და ფ. გ-ამ დაიწყეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის აშენებაც გაგრძელდა 2012 წლის ჩათვლით.

2009 წლის 16 სექტემბერს მ-ის მუნიციპალიტეტის გამგეობამ №498 ბრძანებით დაამტკიცა ი. გ-ისა და ფ. გ-ას საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც 2009 წლის 21 სექტემბერს მ-ის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა გასცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა №100 ნებართვის სახით.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის აგვისტოს თვიდან მხარეები ერთად აღარ ცხოვრობენ. იმის გამო, რომ მოსარჩელეს მისი კუთვნილი წილი საცხოვრებელი სახლიდან არ მიეღო, ი. გ-მა 2014 წლის 04 აგვისტოს უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გადაუფორმა თავის მამას – ა. გ-ს.

3. 2014 წლის 25 აგვისტოს, ა. გ-მა ჩუქების ხელშეკრულება დადო თავის ცოლის დასთან ტ. ნ მ-სთან, რომელზედაც სარეგისტრაციო წარმოება უნდა დასრულებულიყო ოთხი სამუშაო დღის ვადა-

ში, 2014 წლის 01 სექტემბრისათვის, მაგრამ 2014 წლის 29 აგვისტოს ბოლნისის რაიონული სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების საფუძველზე უძრავ ქონებას დაედო ყადაღა, რის გამოც, შემდგომ შეეზღუდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია მ-ში, ჯ-ის №2ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაზე.

4. ი. გ-მა საჯარო რეესტრის სამსახურში დაირეგისტრირა მხოლოდ 1500 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მ-ში, ჯ-აში. 2012 წლის 22 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლი ფართობით 110 კვ.მ. 2014 წლის 08 აგვისტოს მდგომარეობით უძრავი ქონება შედგება 1500.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისგან და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობისგან ფართობით 110.00 კვ.მ., საკუთრების უფლება გადასულია ა. გ-ის სახელზე 2014 წლის 04 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

5. კასატორებს შორის ჩუქების ხელშეკრულება დაიდო თვალთმაქცურად, მხოლოდ იმის გამო, რომ მოსარჩელეს მოსპობოდა სამართლებრივი საფუძველი ი. გ-ის მიმართ ქორწინების განმავლობაში აშენებული საცხოვრებელი სახლის  $\frac{1}{2}$  ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნაზე. ა. გ-ს არცერთი დღე არ უცხოვრია სადავო სახლში და მასში დღესაც ცხოვრობს ი. გ-ი.

## **II. მოპასუხის პოზიცია**

6. მოპასუხებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მას შემდეგ, რაც ი. გ-მა მოსარჩელე ცოლად შეირთო, მოსარჩელე იყო ბავშვი და მას წინილების მოვლა არ შეეძლო. ცოლ-ქმარს არანაირი დანაზოგი ერთად ცხოვრების პერიოდში არ ჰქონიათ. 2007 და 2014 წელს მოსარჩელეს გაუკეთდა მძიმე ქირურგიული ოპერაციები, რის გამოც, მისი ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლებოდა.

7. მიწის ნაკვეთი, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევს საკუთარი შრომის ფასად შექენილად, იყიდა ა. გ-მა.

მიწის ნაკვეთის შეძენის შემდეგ, ა. გ-მა იგი გააფორმა მისი შვილის ი. გ-ის სახელზე, რა დროსაც, იგი და მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მოსარჩელემ და ი. გ-მა დროთა განმავლობაში საერთო მიწის ნაკვეთზე ააშენეს საცხოვრებელი სახლი და ამით საერთო სარგებლობაში არსებული ქონების ღირებულება გაიზარდა, მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მათ რომელი საერთო შემოსავლებით ააშენეს საცხოვრებელი სახლი. ვინაიდან, მიწის ნაკვეთი იყო ი. გ-ის სახელზე ნებართვაც მის სახელზე იქნა გაცემული და საცხოვრებელი სახლის დასრულების შემდეგ, ა. გ-მა მისი საკუთრება გადმოიფორმა. 1990 წლიდან ა. გ-ი მის მეუღლესთან და

მოგვიანებით, უმცროს შვილთან ერთად ვაჭრობს მ-ის ბაზარში, რაზეც გააჩნია სავაჭრო ფართის ქირავნობის ხელშეკრულება და გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში. საცხოვრებელი სახლი აშენდა ა. გ-ის, მისი მეუღლისა და უმცროსი შვილის ერთობლივი შრომის შედეგად დაგროვილი დანაზოგით და არა სხვისი ფულით.

8. მოპასუხეთა განმარტებით, მათ შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება გაფორმებულია სამოქალაქო კანონმდებლობის სრული დაცვით და ჩუქების ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ ა. გ-ი გახდა უძრავი ქონების მესაკუთრე, რომელიც შეძენილი იყო მისივე სახსრებით. ხოლო რაც შეეხება უძრავი ქონების ტ. მ-ზე გაჩუქების ფაქტს, ა. გ-ს, როგორც მესაკუთრეს ჰქონდა სრული უფლება მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება განეკარგა. უძრავი ქონება, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევს მეუღლეთა თანასაკუთრებად არის ა. გ-ის საკუთრება და მოსარჩელემ აღნიშნული ქონების შეძენასა და საცხოვრებელი სახლის აშენებაში მონაწილეობა არც მატერიალურად და არც ფიზიკურად არ მიუღია.

### **III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მიითითება**

9. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 04 მაისის გადაწყვეტილებით ფ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ი. გ-სა და ა. გ-ს შორის, 2014 წლის 04 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება  $\frac{1}{2}$  ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. მ-ში, ჯ-ის ქ. №2ბ-ში მდებარე, დღეისათვის ა. გ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების  $\frac{1}{2}$  წილის მესაკუთრედ.

### **IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა**

10. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს მონინააღმდეგე მხარეებმა, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

### **სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

12. მხარეები ადასტურებენ, რომ ფ. გ-ა და ი. გ-ი ფაქტობრივად 2005 წლის იანვარში დაქორწინდნენ, თუმცა, ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრირება იმ მიზეზით ვერ შეძლეს, რომ ქორწინ-

ნების მომენტიისათვის მოსარჩელე 14 წლის იყო.

13. 16 წლის ასაკში მოსარჩელე მშობლების თანხმობით, ფ. გ-ა და ი. გ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში 2008 წლის 14 აპრილს გატარდნენ.

14. ფ. გ-ასა და ი. გ-ს ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 2008 წლის 26 ივლისს დაბადებული ს. გ-ა და 2010 წლის 28 იანვარს დაბადებული ს-ა.

15. ი. გ-მა სადავო მინის ნაკვეთი 2006 წლის 13 ნოემბერს შეიძინა, ხოლო საჯარო რეესტრში მესაკუთრედ 2007 წლის 03 აგვისტოს დარეგისტრირდა.

16. ი. გ-ის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე (მდებარე, ქ. მ-ი, ჯ-ის ქ. №2ბ) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 2012 წელს დასრულდა.

2009 წლის 16 სექტემბერს მ-ის მუნიციპალიტეტის გამგეობის №498 ბრძანებით დამტკიცდა ი. გ-ის საკარმიდამო მინის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც, 2009 წლის 21 სექტემბერს მ-ის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა მშენებლობის №100 სანებართვო მოწმობა გასცა.

17. მონშე ბ. გ-ის (ი. გ-ის დედის) ჩვენების თანახმად, მან და მისმა მეუღლემ ი. გ-ს საჩუქარი გაუკეთეს და საცხოვრებელი სახლი აუშენეს.

18. მხარეებმა დაადასტურეს, რომ 2012 წლამდე ი. გ-ი და ფ. გ-ა ი. გ-ის მშობლების სახლში ცხოვრობდნენ, 2012 წლიდან საცხოვრებლად ქ. მ-ში, ჯ-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში გადავიდნენ, ხოლო 2014 წლის აგვისტოს თვიდან ი. გ-ი და ფ. გ-ა ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

19. 2014 წლის 04 აგვისტოს ი. გ-მა, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე, ქ. მ-ი, ჯ-ის ქ. №2ბ. ა. გ-ს გადასცა. შესაბამისად, უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ა. გ-ის სახელზე აღირიცხა. სადავო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, აპელანტი განმარტავდა, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი უშუალოდ, ა. გ-ის მიერ წარმოებული ფერმერული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით აშენდა და ჩუქების ხელშეკრულების საშუალებით, მან მამამისს, რეალურად, თავისივე საკუთრება გადაუფორმა (იხ. სააპელაციო საჩივარი და სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი).

20. ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი ა. გ-მა მხოლოდ საკუთარი ფულადი სახსრებით აა-

შენა და შვილს – ი. გ-ს საჩუქრად გადასცა, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა. კერძოდ, დადგენილია, რომ ა. გ-ის ოჯახი წლების განმავლობაში დაკავებული იყო შინაური ფრინველის მოვლით და რეალიზაციით. მისი განმარტებით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი საქმიანობას ოჯახის სხვა წევრთა დახმარების გარეშე ვერ წარმართავდა (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი 13:04:41-13:08:35). ამასთან, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, აპელანტების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მამასთან ერთად საოჯახო ბიზნესში ი. გ-იც იყო ჩართული (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი).

21. ი. გ-სა და ფ. გ-ას სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლით გათვალისწინებული მეუღლეთა უფლება-მოვალეობები 2005 წლის იანვრიდან წარმოუშვათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ-ის) 1151-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობის (და შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტად მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღი – 2005 წლის იანვარი იქნა მიჩნეული, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით „ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე“ (Kroon v. the Netherlands). სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე“. ცხადია, აქ იგულისხმება ერთად ცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში, მით უფრო, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება იმ დროისათვის ფ. გ-ას ასაკი იყო.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 1151-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, უნდა განიმარტოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და არა სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

დადგენილია, რომ მხარეების ფაქტობრივი ქორწინება 2005 წლის იანვარში შედგა და ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრაცია მხოლოდ იმ საფუძვლით ვერ განხორციელდა, რომ კანონით გათვალისწინებული წინაპირობა – ქორწინების ასაკი, არ იყო სახეზე (სკ-ის 1108-ე მუხ.). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ როგორც კი, კანონმა ასეთი შესაძლებლობა დაუშვა (მოსარჩელე 16 წლის შესრულდა), წყვილმა ქორწინება კანონით დადგენილი წესით დაარეგისტრირა.

ოჯახური ურთიერთობის ცნების განმარტებისას, სააპელაციო პალატა დაეყრდნო რა ევროპული სასამართლოს სტანდარტს, დაასკვნა, რომ მხარეები ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში 2005 წლის იანვრიდან იმყოფებოდნენ და სწორედ, ამ მომენტიდან წარმოეშვათ მათ ქორწინებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მატერიალურ-სამართლებრივი უფლება-მოვალეობა.

22. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო უძრავი ქონება, სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მათ მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება; ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. აღნიშნული დანაწესი რეგულირდება სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლებით. თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შექმნილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შექმნილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შექმნილია ერთ-ერთი მათგანისა, თუ ორივე მეუღლის მიერ.

უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შექმნა ქორწინების განმავლობაში. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლივითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებას (მეუღლეთა საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამენარმოო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შექმნილია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შექმნილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეები ქორწინებაში 2005 წლის იანვრიდან იმყოფებიან, ხოლო სადავო მინის ნაკვეთი ი. გ-ის მიერ 2006 წლის 13 ნოემბერს არის შექმნილი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა კი 2009-2012 წლებში დასრულდა. ამდენად, სსკ-ის 1158-ე მუხლის მიერ დადგენილი კანონისმიერი პრეზუმფციის თანახმად (მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე ვრცელდება თანასაკუთრების რეჟიმი), სადავო უძრავი ქონება ი. გ-ისა და ფ. გ-ას თანასაკუთრებას წარმოადგენს, ხოლო საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი იმ მხარეს აწევს, რომელიც საკუთრების სხვაგვარ რეჟიმზე მიუთითებს.

სსკ-ის 1161-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს: ა. ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ. ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით (მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება).

სადავო საცხოვრებელი სახლის ა. გ-ის ფულადი სახსრებით აშენებისა და შვილის, ი. გ-ისათვის საჩუქრად გადაცემის ფაქტობრივი გარემოება საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ იქნა დადასტურებული, თუმცა, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოების დადასტურების პირობებშიც კი, ი. გ-ისათვის საჩუქრად გადაცემული საცხოვრებელი სახლი დასაჩუქრებულის ინდივიდუალურ საკუთრებად ვერ იქნებოდა მიჩნეული. რადგან, ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ საჩუქრად მიღებული ნივთის საკუთრების ფორმის (ინდივიდუალური, თუ საერთო) განსაზღვრისათვის, არსებითი მნიშვნელობისაა, დადგინდეს მჩუქებლის ნება.

განსახილველ შემთხვევაში, მჩუქებლის ნება მიმართული იყო ი. გ-ის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისკენ და ოჯახის საერთო მიზნებს ემსახურებოდა, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ მშენებლობის დასრულებისთანავე (2012 წელს) ი. გ-ი ოჯახით – მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად საცხოვრებლად აღნიშნულ სახლში გადავიდა. ამდენად, სადავო საცხოვრებელი სახლი განკუთვნილი იყო მთლიანი ოჯახისათვის და როგორც საჩუქარი, მოკლებული იყო ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს.

პალატამ განმარტა რომ მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან (სსკ-ის 1152-ე მუხლი), საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლებიდან (სსკ-ის 1155-ე მუხლი), თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება-მოვალეობებიდან (სსკ-ის 1159-ე და 1160-ე მუხლები) გამომდინარე, არსებობდა პრეზუმფცია იმისა, რომ ძვირად ღირებული საჩუქარი, რომელიც, თავისი დანიშნულებით, არ წარმოადგენს ინდივიდუალური მოხმარების ნივთს, წარმოადგენს ოჯახისთვის გაკეთებულ საჩუქარს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლისთვის არის იგი გადაცემული. იმ გარემოების მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, რომ ბინა წარმოადგენდა, პირადად, ი. გ-ის საჩუქარს, აპელანტმა ვერ უზრუნველყო.

23. სსკ-ის 1164-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა საერთო ქონება თითოეულის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. 1168-ე მუხლის თანახმად, იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, წილი თანაბარია თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას და მოსარჩელის წილი აღნიშნული ქონებიდან 1/2-ს შეადგენდა.

24. სსკ-ის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.

ამდენად, მეუღლეთა ქონების განკარგვისათვის დადგენილია მეორე მეუღლის თანხმობის აუცილებლობა და ამგვარი შეთანხმე-

ბის არარსებობის პირობებში, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვა წარმოადგენს კანონის დარღვევით დადებულ გარიგებას და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. სსკ-ის 1160-ე მუხლი, მეუღლეთა შეთანხმების არარსებობის პირობებში, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვისას იცავს შემძენის ინტერესებს და ადგენს, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ, ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. აღნიშნული ნორმით დაცულია შემძენის ინტერესი იმ მეუღლის პრეტენზიისაგან, რომელიც საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული არ იყო, თუმცა, მას, აღნიშნული უფლება გააჩნდა რეგისტრირებული ქორწინების პირობებში ქონების შეძენის საფუძველით.

სსკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. 312-ე მუხლის თანახმად, 1. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. 2. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. 3. თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას ან უფლებრივად დატვირთვას, დაუშვებელია გარიგების დადებისას (უფლების რეგისტრაციისას) თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. 4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებლის გარდა არსებობს სხვა თანამესაკუთრეც.

სსკ-ის 1160-ე მუხლის, ამავე კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებთან ერთობლიობაში განხილვის გზით პალატამ განმარტა, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების შეძენისას კანონი იცავს მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს ქონების თანამესაკუთრედ არარეგისტრირებული მეუღლის პრეტენ-

ზიისაგან.

სსკ-ის 1160-ე მუხლის ხსენებული რედაქცია 2007 წლის 29 ივლისის ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა და აღნიშნულ ცვლილებასთან ერთად საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის დამდგენ 312-ე მუხლს დაემატა მე-3 და მე-4 ნაწილები, სადაც განმტკიცებულია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის უფლების ნამდვილად მიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემძენმა იცოდა ქონებაზე სხვა უფლებამოსილი პირის არსებობის თაობაზე. მართალია, 1160-ე მუხლი მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვის ნებს განსაზღვრავს კეთილსინდისიერების პრინციპზე მითითების გარეშე, მაგრამ კეთილსინდისიერების ფაქტის არსებითი მნიშვნელობა უძრავ ქონებაზე უფლების მოპოვებისას რეგლამენტირებულია 312-ე მუხლში, გარდა ამისა, ნებისმიერი სახის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის მხარეთა მიერ კეთილსინდისიერების პრინციპით მოქმედების ვალდებულებას ადგენს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების დროს გარიგება ნამდვილად მხოლოდ შემძენის კეთილსინდისიერების პირობებში მიიჩნევა.

25. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ჩუქების ხელშეკრულების მხარეებს მამა-შვილი წარმოადგენდნენ. სასამართლოს მოსაზრებით, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიერ ამა თუ იმ ქონებაზე უფლების არსებობა ნებისმიერი მესამე პირისათვის წარმოშობს ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ქონებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ასევე, მესაკუთრის მეუღლე. მეუღლეთა შორის უთანხმოების არსებობის პირობებში, ასეთ ქონებაზე უფლების მოპოვება პირდაპირ მიუთითებს უფლების შემძენის მხრიდან ერთ-ერთი მეუღლის ინტერესების უგულვებელყოფაზე, რაც შემძენის კეთილსინდისიერებას გამოორიცხავს.

26. სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ ნებსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა 2014 წლის 04 აგვისტოს ქ. მ-ში, ჯ-ის ქ. №2ბ-ში მდებარე, უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების 1/2 ნაწილში კასატორებს შორის დადებული გარიგების ბათილობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

#### **V. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძველები**

27. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და მოცემულ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

28. საკასაციო საჩივარი იმ გარემოებას ეფუძნება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. კასატორი მიუთითებს სსკ-ის 1151-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება. ი. გ-ი და ფ. გ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში არიან 2008 წლის 14 აპრილიდან. ი. გ-ამ უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი) შეიძინა 2006 წლის 13 ნოემბერს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო საკუთრების უფლება დაირეგისტრირა 2007 წლის 03 აგვისტოს. გამომდინარე სსკ-ის 1151-ე დანაწესისა, რომელიც იმპერატიულად მოითხოვს, რომ მეუღლეთა საერთო საკუთრება წარმოიშობა რეგისტრირებული ქორწინებიდან, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო. სსკ-ის 149-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავი ნივთის ცნებას: „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“. 150-ე მუხლი განსაზღვრავს ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის ცნებას. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის“. ი. გ-ას მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ქორწინებამდე. ქორწინებამდე არსებული ქონება განიხილება როგორც ინდივიდუალური საკუთრება და შესაბამისად, არ შეიძლება ის განვიხილოთ როგორც საერთო საკუთრება. თუ უძრავი ქონება, ამ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ი. გ-ს, მასვე ეკუთვნის შენობა-ნაგებობაც.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს ფაქტობრივი, ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე შექმნილი ქონების თანასაკუთრების ასპექტში განხილვას. უძრავი ქონება შექმნილია რეგისტრირებულ ქორწინებამდე და ის არ შეიძლება განხილულ იქნეს გამონაკლისის სახით მეუღლეთა თანასაკუთრებად. ასე რომ დავუშვათ, ნებისმიერი არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა ქონების გაყოფა, რაც მკვეთრად შეაფერხებდა სამოქალაქო ბრუნვას. ასევე, შეუძლებელი იქნებოდა მსგავსი ურთიერთობების გამიჯვნა რეგისტრირებული და არარეგისტრირებული კავშირებისგან. ასევე, თუ ამ ასპექტში დავუშვებთ და გავითვალისწინებთ პალატის პოზიციას ევროპული სასამართლოს დეფინიციასთან მიმართებაში, გამოდის, რომ რეგისტრირებული კავშირის საჭიროება აღარ იქნებოდა.

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ნესიდან გამომდინა-

რე, გარიგების დადებისას კონტრაპენტი ნებას ავლენს და ურთიერთობას ათანხმებს მასთან, ვინც რეესტრშია უფლებამოსილ პირად აღნიშნული და არაა ვალდებული არკვიოს დაქორწინებულია, თუ არა ეს პირი და თუ ცნობილია ეს ფაქტი (ქორწინების) დაადგინოს მეუღლის თანხმობის საკითხი. ამავე პრინციპის გამოხატულებაა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის №2359 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ 43-ე მუხლი: „უძრავი ქონებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოძრავი ქონების მესაკუთრე“. მოცემული მუხლი უკრძალავს ნოტარიუსს უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის გარდა სხვა პირის თანხმობის გამოთხოვას. ამ და სხვა დანაწესებიდან გამომდინარე ადვილად დავასკვნით, რომ საქართველოს კანონმდებლობა მეორე მეუღლის თანხმობას გარიგების დროს არ ითვალისწინებს.

უძრავი ნივთის სანივთო სამართლებრივი რეჟიმის გათვალისწინებით დაუშვებელია, მესაკუთრედ აღნიშნული მეუღლის მიერ დადებული გარიგება ბათილად იქნეს ცნობილი მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე მეუღლე ამის წინააღმდეგი იყო, ან არ იცოდა გარიგების შესახებ.

სკ-ის 1158-ე მუხლის დანაწესი არის საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი, კანონმდებლის მიერ მინიჭებული უფლება და არა ავტომატური დანაწესი თანამესამკუთრედ ცნობისა. ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლება წარმოეშობა ორივე მეუღლეს და ეს უფლება სათანადო წესით საჭიროებას რეალიზებას, კონკრეტულ შემთხვევაში კი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ორივე მათგანზეა. ასე რომ არ იყოს 1158-ე მუხლში აუცილებლად იარსებებდა ჩანაწერი, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მათ საერთო ქონებას წარმოადგენს, მიუხედავად ამ ქონების სათანადო წესით რეგისტრაციისა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ასეთ დროს თანასაკუთრების სამტკიცებლად, მხოლოდ ქორწინების მონაწილე (ე.ი. მტკიცებულება იმისა, რომ სადავო ქონება ნამდვილად ქორწინების განმავლობაში არის შეძენილი) არ გამოდგება. საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რადგან ეს არის იმგვარი მტკიცებულება, რაც ადასტურებს ზემოაღნიშნულს (თანასაკუთრებას), ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა. ფ. გ-ა თავად მიუთითებს სარჩელში, რომ 2009 წელს გაიცა ბინის მშენებლობის

ნებართვა. მას არ მოუთხოვია, რომ ბინა აშენებულიყო არა მხოლოდ ი. გ-ას სახელზე, არამედ ორივეს სახელზე. გარდა ამისა; მოსარჩელე სარჩელში აცხადებს, რომ ბინის მშენებლობა დასრულდა 2012 წელს და ამ დროისთვის გადავიდნენ საცხოვრებლად. ფ. გ-ამ ი. გ-ას სახლი დატოვა 2014 წელს. მთელი ამ დროის განმავლობაში 2009 წლიდან 2012 (2014) წლამდე მოსარჩელეს არ მიუმართავს საჯარო სამსახურისთვის საჩივრით საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანის მოთხოვნით. ფაქტიურად მოსარჩელემ თავისივე უმოქმედობით შელახა თავისივე ინტერესები, რითაც რეესტრში აღრიცხვის და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით სარგებლობის უფლება დაუთმო მეუღლეს (თუ მას თანამესაკუთრის რანგში განვიხილავთ რატემა უნდა).

სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა საჩუქრად მიღებული ნივთის ცნება. პალატამ მიიჩნია, „მჩუქებლის ნება მიმართული იყო ი. გ-ის ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვისკენ და ოჯახის საერთო მიზნებს ემსახურებოდა და ამდენად, სადავო საცხოვრებელი სახლი განკუთვნილი იყო მთლიანი ოჯახისთვის და როგორც საჩუქარი, მოკლებული იყო ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს. არსებობს პრეზუმცია იმისა, რომ ძვირად ღირებული საჩუქარი, რომელიც თავისი დანიშნულებით, არ წარმოადგენს ინდივიდუალური მოხმარების ნივთს, წარმოადგენს ოჯახისთვის გაკეთებულ საჩუქარს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლისთვის არის გადაცემული“. მჩუქებლის ნება მიმართული იყო არა ოჯახის კეთილდღეობისთვის, არამედ კონკრეტულად ი. გ-ის და თავად ა. გ-ის კეთილდღეობისთვის. ა. გ-მა საკუთარი შემოსავლები მოახმარა არა ი. გ-ის ოჯახის კეთილდღეობას, არამედ საკუთარი შვილის და მისივე სამეწარმეო საქმიანობის განვითარების კეთილდღეობას. რაც გამოიხატება იმაში, რომ ა. გ-მა ფერმა გააკეთა ი. გ-ის საკუთრებაში. სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა უკვე ი. გ-ის საკუთრებიდან, ვინაიდან მას სხვა ფართი არ გააჩნდა სამეწარმეო საქმიანობისთვის. რეალურად, ბინა უნდა მოეხმარა ა. გ-ს სამეწარმეო საქმიანობისთვის. ამასთან, არც პალატას და არც ბოლნისის რაიონულ სასამართლოს არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლის დანაწესზე, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მეუღლეთა ერთობლივი შემოსავლები და ერთობლივად მიღებული სახსრები. ცოლ-ქმარს არ გააჩნდათ იმდენი რესურსი რომ მათ ერთობლივი სახსრებით და ერთობლივი შემოსავლებით შესძლებოდათ სახლის იმ მდგომარეობაში აშენება, რა მდგომარეობაშიც აშენებულია სახლი.

ა. გ-ს არ შეიძლება სცოდნოდა რომ უძრავი ქონების სავარაუდო თანამესაკუთრედ შესაძლოა გამხდარიყო მისი რძალი, ვინაი-

დან მიწის ნაკვეთი მის შვილს შეძენილი ჰქონდა დაოჯახებამდე, ხოლო მიწის ნაკვეთზე კი ბინა ააშენა მან სამენარმო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან. მას რომ დაეშვა ამ ფაქტის შესახებ ი. გ-ის მიწაზე ბინას არ ააშენებდა და შესაბამისად, მხოლოდ საკუთარი სახსრებით ი. გ-ი და ფ. გ-ი ბინის აშენებას ვერ შეძლებდნენ. ამასთან, ვინაიდან ი. გ-ს ქონება შეძენილი ჰქონდა დაქორწინებამდე და რეესტრშიც რეგისტრირებული იყო მხოლოდ ი. გ-ი, ა. გ-ი მიიჩნევდა, რომ ქონება მის ოჯახს ეკუთვნოდა და შესაბამისად რძალი მასზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა. მისი რძლის პოზიცია მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გამხდარიყო სამართლიანი, თუ ის მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას მისი შრომის პროპორციულად და არა ნახევარ ქონებას.

ა. გ-ი ეყრდნობოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერს. მან გაიღო თანხა მიწის ნაკვეთის შესაძენად და დაარეგისტრირა შვილის ი. გ-ის სახელზე. შემდგომ დაიწყო ბინის მშენებლობა. სასამართლომ სადავო ნივთის ნახევარი ისე მიაკუთვნა, რომ არც კი დაინტერესებულა რეალურად ი. გ-ს და მის მეუღლეს რა შემოსავალი გააჩნდათ და შეძლებდნენ თუ არა ისინი საკუთარი სახსრებით ბინის მშენებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:**

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

30. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

31. კასატორი სადავოდ ხდის ქ. მ-ში, ჯ-ის ქ. №2ბ-ში (დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ., №1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართობი: 110 კვ.მ.) ა. გ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე მოსარჩელის თანასაკუთრების უფლების წარმოშობას.

საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ, სადავო უძრავ ქონებაზე, როგორც ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე, წარმოშობილად აღიარა მოსარჩელის თანასაკუთრების უფლება, რასაც დაუკავშირდა შესაბამისი იურიდიული შედეგები და ამდენად, გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს პოზიცია სადავო უძრავ ქონებაზე, როგორც ქორწინე-

ბის განმავლობაში შეძენილ ქონებაზე, მოსარჩელის თანასაკუთრების წარმოშობის შესახებ სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლით, რომლის დანაწესით, „თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული.“ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს კანონისმიერ დაქმნაზე, რომელიც ქონების გაზრდილი ღირებულების არსებობის პირობებშიც კი, გამორიცხავდა ინდივიდუალური ქონების თანასაკუთრებად ტრანსფორმირებას, არ მიუთითებია (საქორწინო კონტრაქტის არსებობა).

32. ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. აღნიშნული დანაწესი რეგულირდება სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლებით. თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შეძენილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატრიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატრიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შეძენილია ერთ-ერთი მათგანისა, თუ ორივე მეუღლის მიერ. უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შეძენა ქორწინების განმავლობაში. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დანესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლიერებითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლეთა საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამენარმო

საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა.

მოცემულ საქმეში მოპასუხის სამართლებრივი შედაგება, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი ა. გ-მა მხოლოდ საკუთარი ფულადი სახსრებით ააშენა და შვილს – ი. გ-ს საჩუქრად გადასცა, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი, დადგენილია რომ ა. გ-ის ოჯახი წლების განმავლობაში დაკავებული იყო შინაური ფრინველის მოვლით და რეალიზაციით. მისი განმარტებით, საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, იგი საქმიანობას ოჯახის სხვა წევრთა დახმარების გარეშე ვერ წარმართავდა (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი 13:04:41-13:08:35). ამასთან, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, აპელანტების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მამასთან ერთად საოჯახო ბიზნესში ი. გ-იც იყო ჩართული (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი).

33. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამართლებრივი დასკვნა სადავო უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების წარმოშობის შესახებ (საფუძველი სსკ-ის 1163-ე მუხლი) იურიდიულად სწორია, თუმცა უმართებულოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული დასკვნა, რომ სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებული წანამძღვრების არარსებობის პირობებშიც, იარსებებდა სადავო უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი, რადგან მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობის (და შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტი უკავშირდება მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღს – 2005 წლის იანვარი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქმედი სსკ-ის 1151-ე მუხლი მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას და მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს. ამ მოსაზრების გასამყარებლად არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე: *Kroon v. the Netherlands* გამოყენებული განმარტებაა სამართლებრივად ვარგისი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო პრეცედენ-

ტული სამართლის მოხმობა შიდაეროვნულ გადაწყვეტილებებში, უფრო მეტ დასაბუთებულობას მატებს გადაწყვეტილებას და ამდენად, მიზანშეწონილია, თუმცა მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობას კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ პრეცედენტული სამართლის არასწორ გამოყენებას. შესაბამისად, ამ ნაწილში, სრულადაა გასაზიარებელი კასატორის პოზიცია.

თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძირითადი დასაბუთება სწორედ სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს ემყარება, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.

34. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსე-

ბული პრაქტიკისაგან.

35. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან სსკ-ის 1163-ე მუხლთან დაკავშირებით არსებობს მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

36. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1,589.00 ლარის 70% – 1,112.3 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა-გ-ისა და ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორებს: ა-გ-სა და ი. გ-ს დაუბრუნდეთ ა-გ-ის მიერ 2016 წლის 25 იანვარს №145 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (1,589.00 ლარის) 70% – 1,112.3 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა  
თანასაკუთრებად**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-963-2018

25 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონების გა-  
ყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თ. კ-ი (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი) და ფ. ბ-ი (შემ-  
დეგში: მოპასუხე ან კასატორი) 2011 წლის 19 თებერვლიდან რე-  
გისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. თანაცხოვრების პერი-  
ოდში შეეძინათ შვილი, 2012 წლის 14 ოქტომბერს დაბადებული ბ.  
ბ-ი (შემდეგში: არასრულწლოვანი).

2. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ფაქტობრივი თანაცხოვ-  
რება შეწყვეტილია. მოსარჩელე არასრულწლოვან შვილთან ერთად  
ცხოვრობს.

3. მოსარჩელე არ არის დასაქმებული და არ აქვს შემოსავალი.

4. მოპასუხის კმაყოფაზე, გარდა არასრულწლოვანი შვილისა,  
სხვა პირი არ იმყოფება. მოპასუხე შვილის ჯანმრთელობის დაზ-  
ღვევის უზრუნველყოფაში იღებს მონაწილეობას.

5. მოპასუხე შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საა-  
ვიაციო უშიშროების სამმართველოს მე-3 განყოფილების უმცრო-  
სი ინსპექტორია და მისი დარიცხული ხელფასი 798 ლარია.

6. ა. ბ-მა (შემდეგში: მოპასუხის მამა) 2014 წლის 13 თებერვალს  
დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით ი. ბ-ს, ქ.  
თბილისი, ... მდებარე უძრავი ქონება 22 000 აშშ დოლარად მიჰყი-  
და.

7. დ. ჯ-ამ 2014 წლის 19 თებერვალს დადებული უძრავი ნივთის  
ნასყიდობის ხელშეკრულებით მოპასუხეს, ქ. თბილისი, ... (ს/კ ...)   
მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება) 15  
500 აშშ დოლარად მიჰყიდა. სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ  
მოპასუხეა რეგისტრირებული.

8. მოპასუხის მფლობელობაში არსებულ ანგარიშზე 2014 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 24 აპრილამდე თანხის მიმოქცევა შემდეგი სახით დაფიქსირდა: 2014 წლის 13 თებერვალს ანაზრის გახსნა – კრედიტი 20 600 აშშ დოლარი; 2014 წლის 19 თებერვალს თანხის გატანა – 15 500 აშშ დოლარი.

9. მოპასუხეს 2014 წლის 19 თებერვალს სადავო უძრავი ნივთის შესაძენად განსაზღვრული ნასყიდობის თანხა – 15 500 აშშ დოლარი, საჩუქრის სახით, მამამ გადასცა.

#### **10. სარჩელის საფუძვლები**

10.1. მოსარჩელემ 2017 წლის 10 მარტს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, ქორწინების შეწყვეტის, აღიშენების დაკისრებისა და ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფის მოთხოვნით.

10.2. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ განჩინების 1-9 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა და აღნიშნა, რომ მეუღლეები ერთად აღარ ცხოვრობენ, ოჯახის აღდგენა შეუძლებელია, მამა კი ვალდებულია, არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდაში მონაწილეობა მიიღოს. ამასთან, ქორწინების განმავლობაში შეძენილი სადავო უძრავი ქონების  $\frac{1}{2}$  მოსარჩელეს ეკუთვნის, როგორც წილი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან.

#### **11. მოპასუხის შესაგებელი**

11.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სცნო სასარჩელო მოთხოვნა განქორწინების წაწილში და მოსარჩელესთან რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტას დაეთანხმა.

11.2. მოპასუხე დაეთანხმა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ აღიშენების სახით ყოველთვიურად 80 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნას, ხოლო ერთჯერადად 1 000 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნა არ ცნო.

11.3. მოპასუხემ არ ცნო სარჩელი ქორწინების პერიოდში შეძენილ სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელის თანამესაკუთრედ აღიარების შესახებ და მიუთითა, რომ სადავო უძრავი ნივთი შეძენილი იქნა რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში, მაგრამ არა მეუღლეთა ერთობლივი სახსრებითა და ძალებით. მეუღლეთა ოჯახში არსებული მუდმივი კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, რაც გამომწვეული იყო მოსარჩელის პრეტენზიით დედასთან ახლოს საცხოვრებელი სახლი ჰქონოდა. მოპასუხის მამამ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გაასხვისა და მისივე სურვილის შესაბამისად, გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა საჩუქრად გადასცა მოპასუხეს. მოპასუხემ საჩუქრის სახით გადაცემული თანხით, შეიძინა სადავო უძრავი ნივთი და საკუთრების უფლებით აღრიცხა თავის სახელზე. მოპასუხის მამის მიერ შვილისათვის გადაცემულ

ლი თანხა მისი ინდივიდუალური ქონებაა, შესაბამისად, ხსენებული თანხით შეძენილ ნივთზე არ უნდა გავრცელდეს მეუღლეთა თანანაკუთრების რეჟიმი.

## **12. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

12.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

12.1.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2011 წლის 19 თებერვალს რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა;

12.1.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის, ალიმენტის სახით, 200 ლარის გადახდა, სარჩელის შეტანიდან, 2017 წლის 10 მარტიდან, ყოველთვიურად, მის სრულწლოვანებამდე ან გარემოებების შეცვლამდე დაეკისრა;

12.1.3. სადავო უძრავი ქონების 1/2 წილის მოსარჩელისათვის მიკუთვნების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12.2. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-18, 27-ე მუხლებით, „აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ) 1122-ე, 1106-ე, 1127-ე, 1202-ე, 1212-ე, 1213-ე, 1214-ე, 1198-ე, 1234-ე, 1151-ე, 1152-ე, 1158-ე, 1159-ე, 1161-ე, 1164-ე, 1168-ე, 173-ე, 477-ე, 183-ე, 1163-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

## **13. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი**

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით, სადავო უძრავი ქონების გაყოფის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

## **14. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

14.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სადავო უძრავი ქონების გაყოფის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მოსარჩელე მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ იქნა ცნობილი.

14.2. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული შეფასება იმის შესახებ, რომ მოპასუხის მამის მიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხა მოპასუხეს საჩუქრის სახით გადაეცა და შესაბამისად, მისი ინდივიდუალური საკუთრებაა, არ გაიზიარა. სააპელაციო სასამართლომ ამ განჩინების 6-8 პუნქტებში დასახელებული გარემოებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ 2014 წლის 19 თებერვალს დაბა წყნეთში მდებარე სადავო უძრავი ქონება მამის მიერ გადაცემული თანხით შეიძინა.

14.3. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 524-ე მუხლზე მითითებით მიიჩნია, რომ ქორწინების პერიოდში (2014 წლის 19 თებერვალს) ერთ-ერთი მეუღლის სახელზე გახსნილ ანაბარზე თანხის განთავსება ამ თანხას აქცევს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმში, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა ერთ-ერთმა მეუღლემ მიიღო საჩუქრის სახით. ფულის, როგორც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის, ჩუქება ოჯახის ერთ-ერთი წევრისთვის და შემდგომ ოჯახის მიერ ამ თანხით უძრავი ქონების შეძენა ემსახურებოდა საერთო საოჯახო მიზნებს და დამსაჩუქრებლის მიერაც ფულის ჩუქება სწორედ მიმართული იყო ოჯახის კეთილდღეობისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამსაჩუქრებელი შეიძენდა უძრავ ქონებას, ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს და მას აჩუქებდა დასაჩუქრებულს.

14.4. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მათ თანასაკუთრებას წარმოადგენს. მეუღლეებს აქვთ ამ ქონებით სარგებლობის, მისი ფლობისა და განკარგვის თანაბარი უფლება. მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს ან, სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. თითოეული მეუღლის პირად საკუთრებას წარმოადგენს: ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ) ჩუქების ან მემკვიდრეობის წესით მიღებული ქონება. მეუღლეთა პირად საკუთრებად ითვლება აგრეთვე, პირადი მოხმარების ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა. შ), თუნდაც ისინი შეძენილი იყოს ქორწინებაში ყოფნის დროს მეუღლეთა საერთო სახსრებით, გარდა ძვირფასეულობისა. თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება, ცნობილი იქნეს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად, თუ დადგენილი იქნება, რომ ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (კაპიტალური რემონტი, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვ). მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შე-

ქენილი ქონება გულისხმობს ქორწინების პერიოდში შექენილ ყოველგვარ ქონებას (უძრავი და მოძრავი), რომელიც შექენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას განეკუთვნება ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავლები, მიუხედავად იმისა, თუ ვის სახელზეა რიცხული. მეუღლეთა საერთო ქონება არის ქონება, რომელიც მეუღლეებმა ერთობლივად შეიძინეს. შექენაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მხოლოდ ფულადი თანხის გადახდა, არამედ ორივე მეუღლის ნება მიმართულია ქონების მათ საკუთრებაში გადასვლაზე. ამდენად, უძრავი ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევის საკითხის დადგენისას განმსაზღვრელია უძრავი ქონების მეუღლეების მიერ ერთობლივად, რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით შექენის ფაქტი.

14.5. სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან (სსკ-ის 1152-ე მუხლი), საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლებიდან (სსკ-ის 1155-ე მუხლი), თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება-მოვალეობებიდან (სსკ-ის 1159-ე და 1160-ე მუხლები) გამომდინარე განმარტა, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ ძვირად ღირებული საჩუქარი, რომელიც, თავისი დანიშნულებით, არ წარმოადგენს ინდივიდუალური მოხმარების ნივთს, წარმოადგენს ოჯახისთვის გაკეთებულ საჩუქარს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლისთვის არის იგი გადაცემული. აღნიშნულის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც სადავოს ხდის ამ გარემოებას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ფულადი თანხა წარმოადგენდა პირადად მოპასუხის საჩუქარს, ეკისრებოდა მოპასუხეს რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაადასტურა მითითებული ფაქტობრივი გარემოება. სსკ-ის 1164-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლეთა საერთო ქონება თითოეულის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ.

### **15. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

15.1. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, მისი გაუქმებისა და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების მოთხოვნით.

15.2. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება ნივთი ნაჩუქრად, თუ დამსაჩუქრებელი შეიძენს კონკრეტულ უძრავ ქონებას, ინდი-

ვიდუალურად განსაზღვრულ ნივთს და შემდგომში კი აჩუქებს დასაჩუქრებულს. განსახილველ შემთხვევაში საკითხი თანხის ჩუქებას ეხება, რომელიც თავისივე ნებითა და სურვილით გამოიყენა მოპასუხემ და სასამართლომ უსამართლოდ მიიჩნია იგი თანასაკუთრების ობიექტად.

15.3. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას მხოლოდ პროცესუალური ნორმებითა და დოქტრინული ჩანაწერებით შემოიფარგლა, განსხვავებით მასზე იერარქიულად ქვემდგომი სასამართლოსგან, რომელსაც აბსოლუტურად ჯეროვნად აქვს დასაბუთებული მიღებული გადაწყვეტილება.

15.4. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის ძალით საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება, აღნიშნული მუხლის არსებობა დაავიწყდა სასამართლოს და შესაბამისად არც გამოუყენებია. კასატორის მითითებით, ყურადღების მიღმა ასევე დარჩენილი სსკ-ის 1151-ე, 1152-ე, 1158-ე, 1159-ე, 1161-ე და 1164-ე მუხლების არსებობა.

## **16. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

16.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

16.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და მათი ერთობლივად შეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

17. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებ-

ში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

18. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია მოპასუხის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს შეძენილი სადავო უძრავი ქონების ½ ნილზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების მართლზომიერება.

19. კასატორი თავის პრეტენზიას იმ გარემოებაზე აფუძნებს, რომ სადავო უძრავი ქონება პირადად მისთვის ნაჩუქარი ფულით იყიდა, რის გამოც ქონება მისი ინდივიდუალური საკუთრებაა და არა მეუღლეთა თანასაკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ ქონება ქორწინების პერიოდში იქნა შეძენილი (სსკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. აღნიშნული დანაწესი რეგულირდება სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლებით. თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შეძენილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი (მდრ. №ას-7-7-2016, 16.03.2016 წ., №ას-1169-1089-2017, 24.11.2017 წ.).

21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელის მოთხოვნა – მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად გადაქცევა – სსკ-ის 1158-ე /მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი/ და

1164-ე /მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება დაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ/ მუხლებს ემყარება.

22. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სადავო უძრავი ქონება მოპასუხემ მამის ნაჩუქარი ფულით შეიძინა, იგი მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებად ვერ იქნება მიჩნეული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ საჩუქრად მიღებული ნივთის საკუთრების ფორმის (ინდივიდუალური თუ საერთო) განსაზღვრისათვის, არსებითი მნიშვნელობისაა, დადგინდეს მჩუქებლის ნება. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მამის ნება მოპასუხის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისაკენ იყო მიმართული და ოჯახის საერთო მიზნებს ემსახურებოდა, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ სადავო უძრავ ქონებაში მოპასუხე თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობდა. კასატორი თავად ადასტურებს, რომ სადავო სახლის ადგილმდებარეობა მოსარჩელის სურვილით შეირჩა, დედის სახლთან ახლოს (იხ. ამ განჩინების 11.3 ქვეპუნქტი). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო საცხოვრებელი სახლი, რომელიც კასატორმა, ქორწინების განმავლობაში, მამის ნაჩუქარი ფულით შეიძინა, მთლიანი ოჯახისათვის იყო განკუთვნილი და როგორც საჩუქარი, მოკლებული იყო ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს (მდრ. ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2018 წ., გვ: 306).

23. საკასაციო სასამართლო, ზემოთ მოხმობილი სამართლებრივი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ქორწინების პერიოდში მოპასუხის მიერ შეძენილ სადავო უძრავ ქონებაზე მისი, როგორც მეუღლის, თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე დასაბუთებულია და სააპელაციო სასამართლომ მართებულად გადაწყვიტა, რომ აპელანტის მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო. კასატორი, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ, მასზე დაკისრებულ მტკიცების ტვირთს თავს ვერ ართმევს და ვერ ასაბუთებს, რომ სახლი, რომელიც ქორწინების პერიოდში შეიძინა და მასში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მისი ინდივიდუალური საკუთრებაა (სსსკ-ის 102-ე მუხლი).

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღ-

მდგგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30).

25. საკასაციო სასამართლო საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც ვერ დარწმუნდა მოპასუხის საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულობაში, რაც საკასაციო საჩივრის უარყოფისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

26. საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო არ არსებობს, სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების წინაპირობა. შესაბამისად, კასატორს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივლისის განჩინებით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გადავადებული სახელმწიფო ბაჟის, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, გადახდა უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ფ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება;
3. ფ. ბ-ს (პ/ნ ...) დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ივლისის განჩინებით (საქმე №ას-963-2018) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 949,35 ლარის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა  
თანასაკუთრებად**

**ბანკინება  
საქართველოს სასჯელით**

№ას-1677-2019

11 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ა. მ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) და ე. ბ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან შემკვეთი) 1994 წელს დაქორწინდნენ. ისინი 2009 წლის დეკემბრამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იყვნენ.

2. პირველი მოპასუხის მფლობელობაშია თბილისში, ... მდებარე, 119,45 კვ.მ კომერციული ფართი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო უძრავი ქონება), რომელიც მას სახელმწიფო უსაფრთხოების ურთიერთობიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მიზნით, 2012 წელს გადასცა ამხანაგობა „მ-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ამხანაგობა ან მენარდე). ამ ქონების კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაცია პირველ მოპასუხეს არ მოუხდენია. ყოფილ მეუღლეებს შორის სადავო კომერციული ფართის სამართლებრივი რეჟიმი. მოსარჩელე თვლის, რომ ფართზე საკუთრების რეგისტრაციის უფლება ექცევა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმში, ხოლო პირველი მოპასუხე კი მიიჩნევს, რომ ეს უფლება ეკუთვნის დედამისს – ვ. ბ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან პირველი მოპასუხის დედა).

3. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა სადავო კომერციულ ფართზე პირველი მოპასუხის კუთვნილი უფლების (119,45 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის) 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა.

4. მოპასუხეები თავს იმით იცავდნენ, რომ სადავო კომერციუ-

ლი ფართი, თანასაკუთრების საგანი არ იყო და იგი საკუთარი სახსრებით მეორე მოპასუხემ, ანუ მოსარჩელის სიდედრმა, 2002 წლის 14 მარტის შეთანხმებით, 12 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ ააშენებინა ამხანაგობას.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოსარჩელე ცნობილ იქნა ამხანაგობაში პირველი მოპასუხის კუთვნილი უფლების (119,45 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის) 1/2 ნაწილის მესაკუთრედ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1158-ე, 1164-ე, 1168-ე, 147-ე და 152-ე მუხლები გამოიყენა.

6. მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვეს.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის საოქმო განჩინებით, მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ნ. და ნ., 2018 წლის 13 თებერვლის საოქმო განჩინებით, ე. და ვ. და იმავე წლის 6 მარტის საოქმო განჩინებით, ი. და ლ. მ-ები (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელის უფლებამონაცვლეები) იქნენ ცნობილი. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 23 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო პალატის დასკვნით, სადავო ფართი მეორე მოპასუხის საკუთრებას არ წარმოადგენდა, იგი ამხანაგობის წევრი არ იყო, საპირისპიროდ კი, პირველ მოპასუხეს ამხანაგობის ბოლო მონაცემებით 119,45 კვ.მ სამეწარმეო ფართის საკუთრებაში მიღების უფლება ჰქონდა, რაც მოსარჩელესთან თანაცხოვრების პერიოდში წარმოეშვა და აქედან გამომდინარე, მოსარჩელის საკუთრებასაც წარმოადგენს, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულებაც საქმეში არ წარდგენილა.

9. აპელანტებმა საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვეს. მათი მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მონშეთა ჩვენებებზე დაყრდნობით გაიზიარა თანხის გადაცემის ფაქტი, რაც კანონს და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას ეწინააღმდეგება. სხვა კრების ოქმებში რომ არ არის ნახსენები მეორე მოპასუხე, სწორედ ესაა ამხანაგობის დანაშაული. პირველ მოპასუხეს მხოლოდ 145 კვმ საცხოვრებელი ფართი გადაეცა, ხოლო 127 კვ.მ კომერციულ ფართზე უფლების დამდგენი დოკუმენტი მის სახელზე არ არსებობს, რადგან, 2002 წლის 14 მარტის კრების ოქმით, ამხანაგობის წევრად მეორე მოპასუხეა მოხსენიებული, რომელსაც გადაეცა კიდევ სადავო კომერციული

ფართი.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის განჩინებით, სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:**

11. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. დადგენილია, რომ 1999 წლის 20 ოქტომბერს პირველ მოპასუხესა და ამხანაგობას შორის ნარდობის ხელშეკრულება დაიდო (სსკ-ის 629.1 მუხლი), რომლითაც, მენარდემ ფართის აშენებისა და შემკვეთისათვის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება იკისრა. ასევე დადგენილია, რომ მენარდემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და 2004 წლის 31 იანვრის კრების ოქმის საფუძველზე, შემკვეთს, ... № 12-14-ში მდებარე, კომერციული ფართი გადასცა, თუმცა სადავო ფართის კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაცია პირველ მოპასუხეს არ მოუხდენია. საკასაციო სასამართლო კასატორების ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად, ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. აღნიშნული დანაწესი რეგულირდება სსკ-ის 1161-ე და 1162-ე მუხლებით. თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ყოველგვარი ქონება (მათ შორის, მოთხოვნის უფლება), რომელიც შექმნილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე, ის ქონება, რომელიც ნაყიდაა ერთ-

ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან, სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრე შემდეგია: მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდნენ; უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება. ამდენად, საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობით, მეუღლის ქონებრივი უფლების რეალიზაცია – სადავო მატერიალური სიკეთის, რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შექმნის ფაქტზეა დამოკიდებული. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე და პირველი მოპასუხე 1994 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, მათ შორის საქორწინო ურთიერთობა 2009 წლის 29 დეკემბერს შეწყდა. ასევე დადგენილია, რომ სადავო კომერციულ ფართზე საკუთრების უფლება, რომელზეც მოსარჩელე აცხადებს პრეტენზიას, მეუღლეთა ქორწინების პერიოდშია შექმნილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელის მსჯელობას, რომ სადავო ფართზე საკუთრების რეგისტრაციის უფლება ექცევა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმში და მიიჩნევს, რომ სსკ-ის 1158-ე (მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი), 1164-ე (მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება დაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ) და 1168.1 (იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) მუხლების მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული კომერციული ფართის 1/2 ნაწილი მოსარჩელეს ეკუთვნის.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოპასუხეების/კასატორების მსჯელობას, რომ სადავო კომერციული ფართი მეუღლეთა თანასაკუთრების ობიექტი არ არის და იგი მეორე მოპასუხეს ეკუთვნის, არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ მოპასუხეთა მიერ წარდგენილი შესაგებელი, არ არის გამართული, რამდენადაც ის სამართლებრივად ვერ უპირისპირდება მოსარჩელის მოთხოვნას, იმ ფაქტის დადგენილად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, რომ სადავო კომერციული ფართი მოსარჩელის სიდედრმა 2002 წლის 14 მარტის შეთანხმებით, 12 000 აშშ დოლარის გადახდის სა-

ნაცვლოდ ნამდვილად ააშენებინა ამხანაგობას, სამართლებრივი სურათი არ შეიცვლება, რადგანაც ამ უკანასკნელთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე პირველადი (ფართის საკუთრებაში გადაცემის) ან მეორადი (ზიანის ანაზღაურების) მოთხოვნა მეორე მოპასუხეს შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულების მხარესთან ანუ ამხანაგობასთან (მენარდესთან) და აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2002 წლის 14 მარტის შეთანხმების შემდეგ, იმავე ამხანაგობამ 2004 წლის 31 იანვარს, სადავო ფართი პირველ მოპასუხეს გადასცა, რომლის საკუთრებაში მიღების უფლება მას მოსარჩელესთან ქონწინების პერიოდში წარმოეშვა და ეს ფაქტი მეორე მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია.

14. საკასაციო სასამართლო კასატორების ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 147-ე (ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს) მუხლზე, რომლის მიხედვით, ქონება არის ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლადი ღირებულების მქონე მოძრავი ან უძრავი ნივთი, ასევე მოთხოვნა და უფლება, რომელთა ფლობა და განკარგვა არ არის კანონით აკრძალული ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. „ქონების“ ცნებას საფუძვლად უდევს მისი მფლობელისათვის მინიჭებული მატერიალური სარგებელი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ეს განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრულ საკუთრების ან ქონების ცნებას სრულად შეესაბამება, რომლის თანახმად, „ქონება“ ძალიან ვრცლად განიმარტება და ეკონომიკური ინტერესების ფართო წრეს მოიცავს, მათ შორის, მოძრავი ან უძრავი ქონება, ძვირფასეულობა, ქონებრივი ან არაქონებრივი კაპიტალი, პენსიის ან სოციალური სარგებელი, სასამართლო ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მიღებული უფლებები, ინტელექტუალური საკუთრება, უკვე მოპოვებული ლიცენზია და სხვა.

15. ამდენად, საქმის გარემოებათა ურთიერთშეჯერებითა და სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დანაწესთა სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დაამტკიცა სადავო ქონებაზე მისი თანასაკუთრების უფლების არსებობა.

16. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევრო-

პული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებულნი თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. „ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ“ №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

17. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

18. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდის აქვთ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ვ. ბ-ისა და ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 23 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მიუღლის ქონების გადაქცევა მიუღლითა  
თანასაკუთრებად**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ას-392-2021

29 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ლ. მიქაბერიძე**

**დავის საგანი:** უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. ი. ჯ-ამ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ჯ-ას (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელის განმარტებით, მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1995 წლის 16 სექტემბრიდან, ისინი ოჯახურ თანაცხოვრებას ახორციელებდნენ არა მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ უფრო ადრეული პერიოდიდან. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, 1992 წლის 2 ოქტომბერს დაბადებული გ. ჯ-ა და 1996 წლის 5 მარტს დაბადებული დ. ჯ-ა.

3. ოჯახური თანაცხოვრების პერიოდში, ქორწინების რეგისტრაციამდე, მოსარჩელემ თავისი პირადი ფულადი სახსრებით (3000 აშშ დოლარის ოდენობით), შეიძინა უძრავი ნივთი, რომელიც აღრიცხა მისი მეუღლის (მოპასუხის) სახელზე მხოლოდ იმიტომ, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეს და არ ფლობდა საქართველოს მოქალაქის და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 1994 წლის 22 ოქტომბერს, იმ პერიოდში, როდესაც მოსარჩელეს და მოპასუხეს უკვე ჰყავდათ ერთი შვილი. საცხოვრებელი ბინა შეძენის მომენტისათვის გაურემონტებელ მდგომარეობაში იყო და მისი კეთილმოწყობა იმდენად დიდ ძალისხმევასთან და ფინანსურ რესურსებთან იყო დაკავშირებული, რომ ბინის გარემონტების შედეგად, რაც რეგის-

ტრირებული ქორწინების პერიოდში განხორციელდა, არსებითად გაუმჯობესდა, პრაქტიკულად გადაგემარდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ღირებულება.

#### **მოპასუხის პოზიცია:**

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მხარეები აღარ წარმოადგენენ მეუღლეებს 2013 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც მოპასუხისათვის ცნობილი გახდა მოსარჩელის ღალატის შესახებ, მათი ოჯახიც დაინგრა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

7. მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1995 წლის 16 სექტემბრიდან. სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებას, მან აღნიშნული ქონება იყიდა დაქორწინებამდე, 1994 წლის 22 ოქტომბერს და რემონტი გაუკეთა, როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე, განქორწინების შემდგომ. მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრებელი სახლი არსებითად არ გადაკეთებულა, მშენებლობა არ დასრულებულა და არც სახლი გადაგემარებულა. საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა მხოლოდ სარემონტო სამუშაოები: იატაკზე დაიგო პარკეტი, გაილესა კედლები, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, დამონტაჟდა გისოსები, გაკეთდა გასასვლელი (არკა) ლოჯსა და მისაღებ ოთახს შორის, რაც შეეხება 2.95 კვ.მ ფართის აივნის მიშენებას და 2.50 კვ.მ ოთახის გაზრდას, აღნიშნულით არ მომხდარა ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბინის რემონტი შეფასებულია 12000 აშშ დოლარად და ექსპერტმა ბინაში ჩატარებული სამუშაოები შეაფასა 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით მაშინ, როდესაც 2017 წლის ნოემბერში მოპასუხემ თავად ჩაატარა სარემონტო სამუშაოები.

8. მოპასუხის განმარტებით, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ვერ გამოიწვევს ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციას, რაც შეეხება მოსარჩელის მიერ ექსპერტიზისათვის მითითებულ გარემოებას პარკეტის დაგებამდე მოჭიმული იატაკის გაკეთების და რკინის კარის დამონტაჟების შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება.

#### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:**

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სადავო უძრავი ნივთის 1/2-ის მესაკუთრედ, რაც მოპა-

სუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სადავო ბინა (სადავო ბინა) მოპასუხემ შეიძინა 1994 წლის 22 ოქტომბერს. 1995 წლის 16 სექტემბერს მხარეები დაქორწინდნენ.

12. 1998-2006 წლებში მხარეებმა სადავო ბინა გაარემონტეს, კერძოდ: ა) მიაშენეს, სულ 5,45 კვ.მ ფართის მქონე ნაგებობა, საიდანაც 2,95 კვ.მ იყენებენ აივნად, ხოლო და 2,5 კვ.მ-ით გაზარდეს ერთ-ერთი საძინებელი ოთახის ფართი; ბ) გალესეს კედლები; გ) მოჭიმეს იატაკი; დ) დააგეს პარკეტი; ე) გამოცვალეს კარ-ფანჯარა და დაამონტაჟეს გისოსები; ვ) გამოცვალეს ელექტრო გაყვანილობა; ზ) საძინებელსა და მისაღებ ოთახს შორის ამოამენეს კედელი; თ) მოაწყვეს თალი ლოჯიასა და მისაღებ ოთახს შორის; ი) დაამონტაჟეს რკინის კარი და კ) სააბაზანოში მოაწყვეს „ავზი“. აღნიშნულის შედეგად სადავო ბინის ღირებულება გაიზარდა.

13. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 18 დეკემბრის დასკვნის თანახმად, დასკვნის შედგენის დროისათვის, სადავო ბინის მდგომარეობა, ზემოხსენებული სამუშაოების გარეშე, შეადგენდა 65 041 ლარს, ხოლო ზემოხსენებული სამუშაოების ჩათვლით – 97 028 ლარს. ამის შესაბამისად, ნათელია, რომ სამუშაოების შედეგად ბინის ღირებულება დაახლოებით  $(97\ 028 - 65\ 041) / 65\ 041 \times 100 = 49,179\%$ , ე.ი. 49,2%-ით გაიზარდა, რაც მითითებულია საექსპერტო დაწესებულების განმარტებით ბარათში.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქორწინებაში მყოფ ყველა ადამიანს აქვს უფლება იცოდეს და ჭვრეტდეს, თუ რა სახისა და მოცულობის ხარჯის განვეის შემთხვევაში, ერთი მხრივ, დაკარგავს ქონების ნიღზე საკუთრების უფლებას, ხოლო მეორე მხრივ – მოიპოვებს მას. გარდა ამისა, ხარჯის მოცულობის განუსაზღვრელობა ზრდის უფლებაში თვითნებურად ჩარევის საფრთხესაც.

15. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნივთზე ხარჯის განევა და რეკონსტრუქცია მისი ღირებულების ზრდას, ყოველთვის, არ იწვევს. პირიქით, ზოგჯერ – მაგ. უხარისხოდ, ტექნიკური ანდა უსაფრთხოების ნორმების დაუცველად და მისთ. – შესრულებული

სამუშაოების შედეგად, შეიძლება, ნივთის ღირებულება შემცირდეს კიდევ. ამიტომ, მხოლოდ ქონების რეკონსტრუქცია – გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა – თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი არ არის; ამავდროულად, ამის შედეგად, ქონების ღირებულებაც მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს. „ღირებულების გაზრდას“ ფარდობითი ცნება – როგორც არ უნდა იყოს ნივთის არსებული ფასი, მისი ღირებულება, საწყისთან შედარების გარეშე, გადიდებულად ვერანაირად ჩაითვლება. ეს ნიშნავს, რომ ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდის დადგენა მხოლოდ საწყისი და არსებული ღირებულების ურთიერთშეფარდებითაა შესაძლებელი. აღნიშნული გულისხმობს იმასაც, რომ, მხოლოდ, ციფრობრივი გამოხატულებით ქონების ღირებულების ზრდის შეფასება შეუძლებელია. მაგალითად, 100 ლარის ღირებულების ნივთის ფასის 100 ლარით მატება 100%-იან, ე.ი. უაღრესად მნიშვნელოვან ზრდას ნიშნავს, მაშინ, როცა 10 000 ლარის ღირებულების ნივთის შემთხვევაში, ასეთივე მატება უმნიშვნელოდ ჩაითვლება.

16. საყურადღებოა, რომ კანონს საზოგადოებრივი ურთიერთობის მონესრიგების ფუნქცია და დანიშნულება გააჩნია. საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სახეს წარმოადგენს. ეკონომიკურ ურთიერთობებში კი, ქონების ღირებულების ზრდა ან კლება პროცენტებში გამოიხატება.

17. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1163-ე მუხლის მიხედვითაც, ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა მის საწყის ღირებულებასა და საბოლოო ღირებულებას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლით უნდა დადგინდეს. ამიტომ განჭვრეტადობის მოთხოვნის დასაცავად, აუცილებელია იმ პროცენტული, ზღვრული მაჩვენებლის დადგენა, რომლის შემდეგაც ქონების ღირებულება არა, უბრალოდ, გადიდებულად, არამედ – მნიშვნელოვნად გადიდებულად ჩაითვლება; ე.ი. საჭიროა, ამ ნორმის მიზნებისათვის, ცნება „მნიშვნელოვანის“, შეძლებისდაგვარად, ზუსტი განსაზღვრა.

18. ამ მხრივ, საყურადღებოა ისიც, რომ, მაგალითად, 2005 წლის 22 მარტის განჩინებაში საკასაციო სასამართლომ ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის საკმარისად არ ჩათვალა რემონტის შედეგად მისი ღირებულების 35,36%-ით გაზრდაც კი.

19. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, შინაარსობრივად, სსკ-ის 1163-ე მუხლი, ყველაზე ახლოს, ამავე კოდექსის 195-ე მუხლთან დგას. ამ ნორმის თანახმად, თუ მასალის გადამუშავების ანდა გა-

დაკეთების შედეგად იქმნება ახალი მოძრავი ნივთი, მაშინ მწარმოებელი და მასალის მესაკუთრე ახალი ნივთის თანამესაკუთრენი ხდებიან. წილი განისაზღვრება მასალის ღირებულებისა და წარმოების ხარჯების პროპორციულად, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ოღონდ, ამავე კოდექსის 195-ე მუხლისგან განსხვავებით, 1163-ე მუხლი ხარჯის პროპორციული წილის განსაზღვრის შესაძლებლობას არ იძლევა, ქონებაზე საკუთრების წარმოშობის საფუძველი არა ახალ ნივთზე ნებისმიერი ხარჯის განევა, არამედ ღირებულების „მნიშვნელოვანი გაზრდა“.

20. როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, „ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის“ (უახლოესი პრაქტიკა, იხ. სუსგ. №ას-1281-2020, 28 იანვარი, 2021 წელი, პ.39).

21. გერმანიის სამოქალაქო სჯულდება – BGB სსკ-ის 1163-ე მუხლის ანალოგიურ ნორმას არ შეიცავს. პირიქით, სჯულდების 1363-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის თანახმად, ქმრისა და ცოლის ქონება მეუღლეთა საერთო ქონება არ ხდება, თუმცა, მასალის გადამუშავების ანდა გადაკეთების შედეგად ნივთზე თანასაკუთრების წარმოშობას კი სჯულდების 950-ე პარაგრაფი არეგულირებს და, ამასთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებიც არსებობს.

22. აღნიშნული პარაგრაფის თანახმად: „პირი, ვინც ერთი ან რამდენიმე მასალის გადამუშავების ან გადაკეთების შედეგად ქმნის ახალ მოძრავ ნივთს, იძენს საკუთრების უფლებას ამ ნივთზე იმდენად, რამდენადაც გადამუშავების ან გადაკეთების ღირებულება არ არის არსებითად უფრო მცირე, ვიდრე მასალის ღირებულება“ (თარგმანი მოყვანილია – „გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით)“ – გამომცემლობა სიესტა, თბილისი 2010 წელი).

23. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაშიც, სჯულდება ყურადღებას, სწორედ, ქონების ღირებულებაზე ამახვილებს – აშკარაა, რომ თავისი შინაარსით, აღნიშნული ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის დანაწესთან ახლოს დგას – ორივე შემთხვევაში, პირი სხვის ნივთზე თანასაკუთრების უფლებას, მხოლოდ, ღირებულების არსებითი ზრდის შემთხვევაში მოიპოვებს.

24. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ, ჯერ კიდევ, 1971 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით – VIII ZR 99/69 – BGHZ 56, 88; ხოლო შემდეგ 1995 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით – II ZR 260/94 – BGH NJW 1995, 2633 (იხ. ვებ გვერდზე – <https://dejure.org/dienste/gerichte>) დაადგინა – „მასალის ღირებულების გა-

დამუშავების ღირებულებასთან 100:60 შეფარდების შემთხვევაში ... შრომის მნიშვნელოვნად მცირე ღირებულება და, შესაბამისად, უარყო გადამამუშავებლის მიერ საკუთრების უფლების შექმნის შესაძლებლობა... სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც მასალის ღირებულება უნდა დადგინდეს 100%-ით, ახალი ნივთის საერთო ღირებულება გადამამუშავების შედეგად უნდა შეადგენდეს 160%-ს, რათა ამოქმედდეს & 950-ით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი“ – (ვოლფი/ველენჰოფერი – „სანივთო სამართალი“ 29-ე გამოცემა – საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, თბილისი 2016 წ. გვ. 206-207).

25. საყურადღებოა, რომ 1971 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პრობლემის ხანგრძლივ, წინააღმდეგობრივ ხასიათზე, თანამედროვე პირობებში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის არსებული კონფლიქტის მონესრიგების აუცილებლობაზე (BGHZ 56, 88, „2.a“) და საკუთრების წარმოშობის უფლება დაუკავშირა, არა მარტო, ნივთის გადამამუშავებას, არამედ მის სამომხმარებლო ფასს (იქვე – „2.b“, აგრეთვე – „3“) – (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უახლესი პრაქტიკა იხ. ზემოხსენებულ ვებ გვერდზე – 20.11.2020, 4 O 1136.19).

26. სააპელაციო პალატის აზრით, აღნიშნული მიდგომა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის მიზნებისათვისაც სავსებით სამართლიანია. მართლაც, იმისთვის რომ პირს სხვის ნივთზე თანასაკუთრების უფლება კანონის ძალით, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, წარმოეშვას, ამ ნივთის ღირებულების 1/2-ზე მეტის ფორმირებაში მაინც უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული. იმის გამო, რომ კანონი სხვის ნივთზე უფლების წარმოშობას მესაკუთრის მიერ ცალსახად გამოვლენილი ნების გარეშე და, ზოგჯერ, მის საწინააღმდეგოდაც კი ითვალისწინებს, პალატა იზიარებს გერმანული სასამართლოს პოზიციას და სსკ-ის 1163-ე მუხლის მიზნებისათვის, ქონების ღირებულების მნიშვნელოვან გაზრდად 60%-ზე მეტ ზრდას მიიჩნევს.

27. დადგენილი იქნა, რომ მხარეთა ქორწინების პერიოდში სადავო ბინა გადაგვეგმარდა, თუმცა, ამის შედეგად, მისი ღირებულება, მხოლოდ 49,2%-ით გაიზარდა. ამის შესაბამისად, მოსარჩელეს აპელანტის ქონებაზე თანასაკუთრება არ მოუპოვებია. ზემოხსენებული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მეუღლეს, რომელიც მეორე მეუღლის კუთვნილ ნივთზე ხარჯს გასწევს და ამით, ნივთის ღირებულებას 60%-ზე ნაკლებით გაზრდის, მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. სხვადასხვა პირობის გათვალისწინებით, ხარჯის გამწევი მეუღლის მოთხოვნა შეიძლება ეფუძნებოდეს საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის ან 194-ე და 195-ე მუხლებს (მხოლოდ მოძრავ ნივთებთან მიმართებით), ან 163-ე მუხლის მე-2 ნაწილს, ან – 987-ე მუხლს.

28. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია. მოსარჩელის მოთხოვნა მოძრავი ნივთისკენ მიმართული არ არის; მას არც სხვის ქონებაზე, უშუალოდ, მის მიერ განეული ხარჯის ანაზღაურება არ მოუთხოვია და არც ამ ნორმის გამოსაყენებლად საჭირო ფაქტები, კერძოდ, ის, თუ, კონკრეტულად, მის მიერ რა ღირებულების ხარჯი იქნა განეული სადავო ნივთზე – არ მიუთითებია. ამიტომ, აღნიშნული თვალსაზრისით, მოსარჩელის მოთხოვნა ვერ შემონმდებოდა.

29. მოსარჩელემ სადავო ნივთზე თანასაკუთრების აღიარება მოითხოვა იმ მოტივითაც, რომ იგი მეუღლეთა ქორწინებამდე, თუმცა, თანაცხოვრების პერიოდში იქნა შეძენილი. შესაბამისად, მან, ფაქტობრივად, ქონებრივ სამართლებრივი თვალსაზრისით, თანაცხოვრებისა და ქორწინების სამართლებრივი შედეგების გათანაბრება მოითხოვა. იმისათვის, რომ სასამართლომ ეს პოზიცია საფუძვლიანად მიიჩნიოს, იგი უნდა გამომდინარეობდეს ან: 1. საქართველოს სამართლიდან; ან – 2. საერთაშორისო სამართლიდან; ან – 3. თანამედროვე საზოგადოების მწვავე საჭიროებიდან. სააპელაციო პალატამ აღნიშნული საფუძველი ცალ-ცალკე შეამოწმა:

30. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. აშკარაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ქორწინებისა და ოჯახის ცნებას ერთმანეთისგან ასხვავებს. სსკ-ის 1106-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ოჯახი იმ პირების ერთობლიობაა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთად, ეწევიან საერთო მეურნეობას და, დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ითვლებიან ოჯახად.

31. ამის შესაბამისად, ქალისა და მამაკაცის მუდმივი და მყარი თანაცხოვრება, რეგისტრაციის მიუხედავად, ოჯახია, ხოლო თანამცხოვრები ქალი და მამაკაცი, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, მეუღლეები არიან, თუმცა სსკ-ის 1151-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს.

32. როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, „უმართებულოა გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული დასკვნა, რომ სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებული წანამძღვრების არარსებობის პირობებშიც, იარსებებდა სადავო უძრავ ქონებაზე მეულ-ლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი, რადგან მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობის (და შესაბამისად, მეულ-ლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტი უკავშირდება მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღს – 2005 წლის იანვარი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქმედი სსკ-ის 1151-ე მუხლი მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეულ-ლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას და მეულ-ლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს. ამ მოსაზრების გასამყარებლად არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე: *Kroon v. the Netherlands* გამოყენებული განმარტებაა სამართლებრივად ვარგისი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის მოხმობა შიდაეროვნულ გადაწყვეტილებებში, უფრო მეტ დასაბუთებულობას მატებს გადაწყვეტილებას და ამდენად, მიზანშეწონილია, თუმცა მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობას კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ პრეცედენტული სამართლის არასწორ გამოყენებას“ – (სუსგ. №ას-7-7-2016, 16 მარტი, 2016 წელი, პ. 33).

33. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კი სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში.

34. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, არამარტო, სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში სხვა ხელისუფლებათა ჩაურევლობას, არამედ იმასაც, რომ არც სასამართლო ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში და მართლმსაჯულება, მხოლოდ, კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა განახორციელოს.

35. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში საკანონმდებლო ხელისუფლებას საქართველოს პარლამენტი ახორციელებს.

36. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იმპერატიუ-

ლი შინაარსის, ნათელი კანონი შესასრულებლად და გამოსაყენებლად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესშია სავალდებულო. თუ საერთო სასამართლობის მოსამართლეს გამოსაყენებლად სავალდებულო კანონი არაკონსტიტუციურად მიაჩნია, მას შეუძლია, შესაბამისი წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კი კანონი უნდა გამოიყენოს.

37. სსკ-ის 1151-ე მუხლი კანონის იმპერატიული და, ამასთან, სავსებით ნათელი და ერთმნიშვნელოვანი ნორმა და ფართო განმარტების საშუალებას არ იძლევა.

38. იგი კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ შეიძლება მიჩნეულ იქნას, მხოლოდ, მისი დისკრიმინაციული ხასიათის დადგენის შემთხვევაში.

39. ამკარაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეულ-ლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს, ე.ი. ამ თვალსაზრისით იგი, არსებითად, თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებს, „რეგისტრირებულ“ და „არარეგისტრირებულ“ მეულ-ლეებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. ამის მიუხედავად, პალატის აზრით, კანონით დადგენილი ამგვარი განსხვავება დისკრიმინაციული არ არის.

40. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, დისკრიმინაციად არ ითვლება არათანაბარი მოპყრობა ან პირობების შექმნა, თუ ეს ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

41. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა: „თანასწორობის პრინციპი ირღვევა, როდესაც განსხვავებას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება. გამართლების არსებობა უნდა შეფასდეს ღონისძიების მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის პრინციპები, რომლებიც პრევალირებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოპყრობის განსხვავება კონვენციით განსაზღვრული უფლების განხორციელებისას არა მარტო უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს. მე-14 მუხლის დარღვევა იკვეთება მაშინაც, როცა დადგინდება, რომ პროპორციულობის პრინციპი იყო დარღვეული მისაღწევი მიზნის განხორციელებასა და გამოყენებულ საშუალებას შორის“ (case of Relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium v Belgium (Merits) განაც-

ხადი no 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64, პ. 10, ქართული ტექსტი ციტირებულია წიგნიდან: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ – თბ. 2004).

42. სააპელაციო პალატის აზრით, ქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნას, საჯარო სამართლებრივი მიზნების გარდა, კონკრეტული სამოქალაქო სამართლებრივი მიზნებიც გააჩნია.

43. როგორც აღინიშნა, ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია. ეს ნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი თავად იღებენ გადაწყვეტილებას, როგორც, ზოგადად, თანაცხოვრების, ისე ამ თანაცხოვრების სამართლებრივი შედეგების თაობაზე. შესაძლებელია, ქალსა და მამაკაცს, თანაცხოვრების მიუხედავად, სულაც არ ჰქონდეთ მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის სურვილი. თანაცხოვრების სამართლებრივი შედეგების ქორწინებასთან გათანაბრების შემთხვევაში, მათ მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების დადგენა უაღრესად გართულდება და შეუძლებელიც კი გახდება.

44. ამ შემთხვევაში, ისინი იძულებულნი გახდებიან ყოველი ცალკეული გარიგება ცალკე შეათანხმონ და დააფიქსირონ, რაც ყოველად არააგონივრულია.

45. საბოლოოდ, კი ამ ვითარებამ, შეიძლება, უფლება-მოვალეობათა წარმოშობაზე უარის თქმის რეგისტრაცია, ე.ი. ნეგატიური ფორმით დადგენილი განსხვავება გამოიწვიოს. ამის შესაბამისად, ქორწინების რეგისტრაცია მეუღლეთა ნების დასადგენად, მათ უფლება-მოვალეობათა განსასაზღვრად და ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად ძალზედ მნიშვნელოვანია.

46. სსკ-ის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაქორწინება არ დაიშვება: ა. იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან; ბ. პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავებს შორის; გ. ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის; დ. მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; ე. იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი მზარდაჭერის მიმღებია და რომლებსაც არ დაუდიათ ამ კოდექსის 1172-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქორწინო ხელშეკრულება.

47. საქართველოს კანონმდებლობა, ზოგიერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, პოლიგამიის ან ახლო ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირისათვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს (ამასთან დაკავშირებით, იხ. მაგ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე შტუბინგი გერმანიის წინააღმდეგ – *Stubing v Germany* (განაცხადი no. 43547/08). ამ ვითარებაში, ზნეობის დარ-

ღვევით წარმოშობილი ცოლ-ქმრული ურთიერთობების სამართლებრივად შემზღუდავი, სწორედ, ზემოხსენებული ნორმაა. ამგვარი ურთიერთობების რეგისტრაციის დაუშვებლობით სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში, თანამცხოვრებ პირთა მიმართ მისი სამართლებრივი შედეგების აღიარებაზე უარს აცხადებს. ეს ნიშნავს, რომ ქორწინების რეგისტრაციას ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრული მიზანიც აქვს. ქორწინების რეგისტრაცია სუბიექტური და ირაციონალური მოთხოვნა არ არის. იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს და გონივრული ახსნაც გააჩნია.

48. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოში ქორწინების რეგისტრაციის წესს სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესი“ განსაზღვრავს. ინსტრუქციის მიხედვით, ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს როგორც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, ისე ნოტარიუსის მიერ. ინსტრუქციის 41-ე მუხლის თანახმად, ქორწინების რეგისტრაცია, ჩვეულებრივ, განცხადების შეტანის დღესვე ხორციელდება – განცხადების შეტანის დღეს ქორწინების რეგისტრაციაზე უარს თქმა შესაძლებელია, მხოლოდ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში წარდგენილ ქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადებათა სიმრავლის გამო. ინსტრუქციის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ჩვეულებრივ, ქორწინების რეგისტრაციისათვის, მხოლოდ, დაქორწინების მსურველ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიც საკმარისია. ქორწინების რეგისტრაცია სპეციალური სარიტუალო ცერემონიალის გარეშე საქართველოში უფასოა. ამის შესაბამისად, საქართველოში ქორწინებისათვის დადგენილი პროცედურები არის სწრაფი, მარტივი და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

49. სააპელაციო პალატის აზრით, თუ ქალსა და მამაკაცს ქორწინების რეგისტრაცია სურთ და სამართლებრივად დამაბრკოლებელი გარემოებები არ გააჩნიათ, საქართველოში მათ ამისათვის ყველაზე მინიმალური დრო და საშუალება დასჭირდებათ. შედარებით ხანგრძლივი, თუმცა ასევე მარტივი და ხელმისაწვდომი იყო ეს პროცედურები საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის მოქმედების დროსაც. შესაბამისად, კანონით გამოყენებული საშუალებები ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად უაღრესად თანაზომიერია.

50. ამრიგად, ქორწინებაში არ მყოფი მეუღლისათვის თანაცხოვრების პერიოდში შეძენილ ქონებაზე უფლების შეზღუდვა დისკრიმინაცია არ არის. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ არ მიიჩნევს. მეტიც, როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინება ქალი-სა და მამაკაცის კავშირია ოჯახის შექმნის მიზნით.

51. ქონებრივ-სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, თანაცხოვრებისა და ქორწინების გათანაბრების შემთხვევაში, კონსტიტუციის ეს ნორმა აზრს დაკარგავს. ამიტომ, სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად იგი გამოყენებულ უნდა იქნას.

52. სააპელაციო პალატისათვის ცნობილი, საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, ქონებრივი შედეგის მიხედვით, ქორწინებისა და თანაცხოვრების გათანაბრებას არ ითვალისწინებს.

53. მსგავსი კატეგორიის საქმეებზე იდენტური ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც.

54. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევას ყველაზე მეტად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ განხილული საქმე შერიფე იითი (Serife Yigit) თურქეთის წინააღმდეგ – Serife Yigit v. Turkey (განაცხადი no. 3976/05). ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 1976 წელს განმცხადებელი რელიგიური წესით დაქორწინდა ომერ კოჩთან (Omer Koc). მეუღლეებს ექვსი შვილი შეეძინათ. მათ ქორწინების რეგისტრაცია გადაწყვიტეს, მაგრამ 2002 წლის 10 სექტემბერს ომერ კოჩი, ავადმყოფობის შედეგად, გარდაიცვალა.

55. 2003 წლის 11 სექტემბერს განმცხადებელმა როგორც საკუთარი, ისე შვილის, ემინეს სახელით სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და ქორწინების ნამდვილობისა და შვილის მამად ომერ კოჩის აღიარება მოითხოვა.

56. რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით განმცხადებელს ქორწინების ნამდვილად აღიარებასა და რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანაზე უარი ეთქვა, ემინეს მამად ომერ კოჩის აღიარების თაობაზე მოთხოვნა კი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამის შემდეგ, შერიფე იითმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეორე სექციის 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა.

57. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელ-

მნიფოს განმცხადებლის მიმართ ევროპული კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლები არ დაურღვევია.

58. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განსახილველი საქმე შეადარა საქმეს მუნოს დიაზი ესპანეთის წინააღმდეგ და განმარტა, რომ ამ შემთხვევისგან განსხვავებით, შერიფე იითს ვერ ექნებოდა სახელმწიფოსაგან თანაცხოვრების სამართლებრივი შედეგების აღიარების მართლზომიერი მოლოდინი. სასამართლომ ხაზი გაუსვა თურქეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო ქორწინების მარეგულირებელი ნორმების სიცხადესა და ხელმისაწვდომობას და სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება დაადასტურა (Serife Yigit v. Turkey – განაცხადი ნო. 3976/05; პ. 86).

59. უფრო ადრე, 1986 წელს განხილულ საქმეში „ს. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ასევე დაადგინა, რომ თანაცხოვრება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს არ წარმოშობდა.

60. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ არც 1985 წელს მოქმედი საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი, არც 1997 წლის 25 ნოემბრიდან მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც, ამ პერიოდში, საქართველოში მოქმედი რომელიმე ნორმატიული აქტი ქორწინებასთან თანაცხოვრების სამართლებრივი შედეგების გათანაბრებას არ ითვალისწინებდა და ითვალისწინებს. შესაბამისად, მოსარჩელეს სახელმწიფოსაგან ქორწინებისა და თანაცხოვრების, საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, გათანაბრების მართლზომიერი მოლოდინი ვერანაირად ექნებოდა.

61. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ არ არსებობს არცერთი მეტ-ნაკლებად სანდო კვლევა, რომელშიც ასახული იქნებოდა, თუ რამდენად არის გავრცელებული საქართველოში მეუღლეთა ქორწინების გარეშე თანაცხოვრება, რამდენი ხანი გრძელდება ის და რა არის ამის გამომწვევი მიზეზი. აღსანიშნავია, რომ ქორწინების, ამა თუ იმ ფორმით, რეგისტრაციას იცნობს ყველა სამართლებრივი სისტემა. ეს კი ნიშნავს, რომ, საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე, იგი აუცილებელია და დემოკრატიის პრინციპებს სავსებით შეესაბამება. ქონებრივი შედეგების თვალსაზრისით ქორწინებისა და თანაცხოვრების გათანაბრების მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება არ არსებობს.

62. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტმა სადავო ბინა დაქორწინებამდე (და არა თანაცხოვრების დაწყებამდე) შეიძინა, ეს კი ნიშნავს, რომ მოსარჩელეს ამ ნივთიდან წილი არ

ეკუთვნის.

63. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ შეცდომით განმარტა სსკ-ის 1163-ე მუხლი, რასაც შედეგად მცდარი გადანყვეტილების მიღება მოჰყვა.

#### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

64. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

65. კასატორმა მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა ეფუძნება სსკ-ის 1163-ე მუხლის არასწორ განმარტებას და არამართებულია, როგორც ქონების გაუმჯობესების შედეგად ღირებულების ოდენობის გაზრდის მათი ენციკლოპედიური პარამეტრის განსაზღვრის, ისე სამართლის წყაროდ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1971 წლის გადანყვეტილების გამოყენების თვალსაზრისით. სსკ-ის 1163-ე მუხლის შინაარსი საერთოდ არ შეიცავს მინიშნებას, რომ ამ ნორმის მიზნებისათვის ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა მისი ფასმატების გამომხატველი კონკრეტული და მყარად განსაზღვრული უცვლელი პროცენტული განაკვეთით უნდა განისაზღვროს. ის მოცემულობა, რომ ამ საკანონმდებლო ნორმაში ქონების ღირებულების მატების პროცენტული გამოხატულება არ განისაზღვრება დავის გადანყვეტის საზომად, შემთხვევითი არ არის და კანონმდებლის ამგვარი მიდგომა სწორედ იმ ასპექტით არის განპირობებული, რომ ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა არა მხოლოდ ფასმატების კონტექსტში შეიძლება ვლინდებოდეს, არამედ ნივთის სამეურნეო თუ სხვა ფუნქციური დანიშნულების არსებითი ცვლილებით, რა თვალსაზრისითაც ყოველი კონკრეტული საქმის გადანყვეტა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, დავის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე.

66. კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორედ ამ მართებული მიდგომით გადანყვეტა წინამდებარე დავა, როდესაც მეუღლეთა თანასაკუთრებითი რეჟიმის წარმოშობის წინაპირობად მიიჩნია და განსაზღვრა ბინის სტრუქტურული მდგომარეობის ცვლილება, რის შედეგადაც პრაქტიკულად ოროთახიანი ბინა სამოთახიანად იქცა, რასაც დაემატა ფართის მიშენება და ბინის პირვანდელი ფართობის (35.00 კვ.მ.) 64.05 კვ.მ-მდე გაზრდა.

67. შესაბამისად, სადავო ბინის ფუნქციური დანიშნულების ამგვარი ცვლილება სწორედ ოჯახური თანაცხოვრებით და, მათ შო-

რის, ნევრთა რაოდენობის მატებით იყო განპირობებული (ქორწინების რეგისტრაციის მომენტში მხარეებს მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდათ, ხოლო მეორე სწორედ ბინის შეძენის შემდგომ შეეძინათ).

68. ამდენად, სადავო ბინის კაპიტალური რემონტი და რეკონსტრუქციის მიზანი, როგორც ბინის ფუნქციური დანიშნულების ცვლილების (გაუმჯობესების, მატების), ისე მისი კეთილმოწყობის თვალსაზრისით (საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანა), იმგვარად ბუნებრივად იყო დაკავშირებული მოსარჩელისა და მოპასუხის ოჯახურ თანაცხოვრებასთან, რომ მოსარჩელის თანასაკუთრებითი უფლების წარმოშობის ქრილში ბინის ფუნქციური დანიშნულების არსებითი ცვლილება და გაუმჯობესება უფრო მეტი ღირებულების მატარებელ ეფექტს იძენს, ვიდრე ბინის ფასის ციფრობრივი გამოხატურება, თუმცა განსახილველ შემთხვევაში ამ მხრივაც მნიშვნელოვანი ცვლილება აქვს განცდილი სადავო ბინას, რადგან მისი ღირებულების 49.2%-იანი მატება პროცენტული ნიშნითაც მნიშვნელოვანი ცვლილებაა.

69. კასატორმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1971 წლის გადაწყვეტილების მოხმობა სრულიად არარელევანტური ინიციატივაა, რადგან ქართული და გერმანული სამართლის სისტემებით ერთმანეთთან დაახლოება ყველა შემთხვევაში არ გამოდგება რომელიმე მათგანის მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებისთვის. ამ თვალსაზრისით სასამართლოს ყურადღების მიღმა რჩება ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჯერ ერთი, აქ საუბარია 1971 წელს მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რომლის შემდგომ გასული დრო ნახევარსაუკუნოვანი პერიოდს მოიცავს და მის მანძილზე უამრავი ცვლილება არის მომხდარი, როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო პრაქტიკის განვითარების კუთხით, თუნდაც გერმანიაში, ხოლო მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გერმანული ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების არსებულ რეალობაში გადმოტანას უშლის ხელს, მდგომარეობს სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში, რა მხრივაც ქართული და გერმანული რეალობა, დიამეტრალურად განსხვავებულ სივრცეში იმყოფება.

70. კასატორის განმარტებით, მოცემული საქმის სააპელაციო პალატაში განხილვის ეტაპზე სასამართლოს მიერ მხარეთათვის დათქმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, თუ რა ოდენობა მიიჩნევა უძრავი ქონების არსებით გაუმჯობესებად პროცენტული გამოხატულების თვალსაზრისით, მოპასუხემ განმარტა, რომ ასეთი ოდენობა 50%-ზე მეტი მაინც უნდა იყოს. მოპასუხის ამ პოზიციი-

თაც რომ ვიმსჯელოთ არითმეტიკული ქეშმარიტებაა, რომ 50%-ზე მეტში 50.01%-იც მოიაზრება, ხოლო სადავო ბინის გაუმჯობესება მისი ღირებულების 49.2%-ს შეადგენს. შესაბამისად, მოპასუხის პოზიციით განსაზღვრულ 50%-ზე მეტსა და საქმეზე დადგენილი დანამატის 49.2%-იან მაჩვენებელს შორის სხვაობა 0,81%-ია, რა რეჟიმშიც უსამართლობა იქნებოდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმის გამო, რომ 50.01%-ს 81% აკლია, მით უმეტეს იმ სამართლებრივი ნიუანსის ფონზე, რომ კანონი არ განსაზღვრავს რაიმე მყარ საპროცენტო განაკვეთს.

71. შესაბამისად, ქონების ფასმატებით პროცენტული გამოხატულება რომც განისაზღვროს სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებულ „ღირებულების მნიშვნელოვანი გადადების“ მთავარ ფაქტორად, კასატორის მოსაზრებით, მყარი მინიმალური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა აშკარად უსამართლო ტენდენციაა, რადგან, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, ამა თუ იმ მყარ საპროცენტო განაკვეთამდე მიახლოებული მონაცემების შემთხვევაში, რაც შესაძლოა მასზე სულ რაღაც 0.1%-ით ნაკლებსაც შეადგენდეს, მეუღლის თანასაკუთრებით უფლების წარმოშობას არ უნდა განაპირობებდეს.

72. ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ სსკ-ის 1163-ე მუხლით განსაზღვრული თანასაკუთრებითი რეჟიმის გავრცელების საკითხი გადაწყვეტას არამცთუ ქონების ღირებულების ფასნამეტის მყარ პროცენტულ გამოხატულებაზე აქცენტირებით უნდა დაექვემდებაროს, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქონებრივი სიკეთის ფუნქციური დანიშნულებისა და ოჯახის ინტერესებზე ორიენტირებული ცვლილებების არსებობის შეფასების ქრილში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

73. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 27 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 29 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსკ-ის 391-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე.

74. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებას, რომლითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა ეფუძნება სსკ-ის 1163-ე მუხლის არასწორ განმარტებას და არამართებულია, რო-

გორც ქონების გაუმჯობესების შედეგად ღირებულების ოდენობის გაზრდის მაორიენტირებელი პარამეტრის განსაზღვრის, ისე სამართლის წყაროდ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოყენების თვალსაზრისითაც. კასატორის მოსაზრებით, სსკ-ის 1163-ე მუხლის შინაარსი არ მიუთითებს, რომ ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა მისი ფასმატების გამომხატველი კონკრეტული და მყარად განსაზღვრული უცვლელი პროცენტული განაკვეთით უნდა განისაზღვროს. ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა არა მხოლოდ ფასმატების კონტექსტში შეიძლება ვლინდებოდეს, არამედ ნივთის სამეურნეო თუ სხვა ფუნქციური დანიშნულების არსებითი ცვლილებით. ნინამდებარე საქმეში მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმ გარემოებას აყრდნობდა, რომ ბინის სტრუქტურული მდგომარეობის ცვლილების შედეგად ოროთახიანი ბინა სამოთახიანად იქცა, რასაც დაემატა ფართის მიშენება და ბინის პირვანდელი ფართობის (35.00 კვ.მ.) 64.05 კვ.მ-მდე გაზრდა.

75. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები (დასაბუთებელი) საკასაციო პრეტენზია შემდეგი გარემოებების გამო:

76. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

77. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სა-

სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

78. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38). კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

79. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ

რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა, მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

80. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

81. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების მდებარე: ქ. თბილისი, ..., ს/კ ... 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობას, იმ საფუძველით, რომ მხარეები ოჯახურ თანაცხოვრებას ახორციელებდნენ არა მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ უფრო ადრეული პერიოდიდან. ოჯახური თანაცხოვრების პერიოდში მოსარჩელემ თავისი პირადი ფულადი სახსრებით (3000 აშშ დოლარის ოდენობით), შეიძინა ქ. თბილისში, ..., კორპ. №1-ში მდებარე №88 ბინა (საკადასტრო კოდი №...), რომელიც მისი მეუღლის (მოპასუხის) სახელზე აღრიც-

ხა. ბინის მდგომარეობა გარემონტების შედეგად, რომელიც რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში განხორციელდა, არსებითად გაუმჯობესდა; უძრავი ქონება გადაგეგმარდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ღირებულება.

82. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

83. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ:

84. – სადავო ბინა მოპასუხემ შეიძინა 1994 წლის 22 ოქტომბერს.

85. – 1995 წლის 16 სექტემბერს მხარეები დაქორწინდნენ.

86. – 1998-2006 წლებში მხარეებმა სადავო ბინა გაარემონტეს, კერძოდ: ა) მიაშენეს, სულ 5,45 კვ.მ ფართის მქონე ნაგებობა, საიდანაც 2,95 კვ.მ იყენებენ აივნად, ხოლო და 2,5 კვ.მ-ით გაზარდეს ერთ-ერთი საძინებელი ოთახის ფართი; ბ) გალესეს კედლები; გ) მოჭიმეს იატაკი; დ) დააგეს პარკეტი; ე) გამოცვალეს კარ-ფანჯარა და დამონტაჟეს ვისოსები; ვ) გამოცვალეს ელექტრო გაყვანილობა; ზ) საძინებელსა და მისაღებ ოთახს შორის ამოაშენეს კედელი; თ) მოაწყვეს თალი ლოჯიასა და მისაღებ ოთახს შორის; ი) დაამონტაჟეს რკინის კარი და კ) სააბაზანოში მოაწყვეს „ავზი“. აღნიშნულის შედეგად სადავო ბინის ღირებულება გაიზარდა.

87. – მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 18 დეკემბრის დასკვნის თანახმად, დასკვნის შედგენის დროისათვის, სადავო ბინის მდგომარეობა, ზემოხსენებული სამუშაოების გარეშე, შეადგენდა 65 041 ლარს, ხოლო ზემოხსენებული სამუშაოების ჩათვლით – 97 028 ლარს.

88. სამუშაოების შედეგად ბინის ღირებულება დაახლოებით (97 028-65 041)/65 041X100=49,179%, ე.ი. 49,2%-ით გაიზარდა, რაც მითითებულია საქსპერტო დაწესებულების განმარტებით ბარათში.

89. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძვლები. დასაბუთებული გადანყვეტილება მხარეებს აჩვენებს, რომ მათ ნამდვილად მოუსმინეს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფარ-

თო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ – Carmel Saliba v. Malta, N 24221/13, § 73, 29 ნოემბერი 2016; § 73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (რუიზ ტორია ესპანეთის წინააღმდეგ – Ruiz Torija v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 30, Series A N 303-A; § 30; ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, Hiro Balani v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 28, Series A N 303-B; § 28 ), შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ მხარეთა ძირითადი არგუმენტები (ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ –Buzescu v. Romania, N 61302/00, § 67, 24 მაისი 2005, § 67. დონადე საქართველოს წინააღმდეგ – Donadze v. Georgia, N 74644/01, § 35, 7 მარტი 2006;).

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნისა და მისი განმარტებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრობლემაში, სწორედ მოპასუხის საპროცესო ვალდებულებას წამოადგენდა სარწმუნოდ მიეთითებინა და დაედასტურებინა მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძვლებისაგან განსხვავებული გარემოებების არსებობა.

91. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაქნე-

ლის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხა-

რისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მიხედვით, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“ (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.). კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიციაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

92. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას.

93. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავისი სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის. მტკიცების საგანს შეადგენს ის გარემოებები, რომლებსაც პროცესუალურ სამართალურთიერთობებში წარმოადგენს სამართლებრივი ფაქტები. ერთმანეთისაგან განასხვავებენ გარეგან და შინაგან ფაქტებს. შინაგან ფაქტებს წარმოადგენს განზრახვა, განსაზ-

ღვრული გარემოებების ცოდნა. სხვაობა შინაგან და გარეგან ფაქტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ შინაგანი ფაქტები შესაძლოა მიუღწეველი იყოს და, როგორც წესი დგინდება გარეგანი ფაქტების მეშვეობით. მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები კლასიფიცირდება დადებით და უარყოფით ფაქტებად. მათი ამგვარი კლასიფიკაცია დამოკიდებულია მოვლენაზე ან ქმედებაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ან რომლებიც განხორციელდა, ან რომლებსაც ადგილი არ ჰქონია ან რომლებიც არ განხორცილებულა. გარდა ამისა, გერმანული საპროცესო სამართლის თეორიაში განსხვავებენ ფაქტებს, რომლებიც უშუალო კავშირშია გამოსაყენებელი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან და ირიბ ფაქტებს, რომლებსაც არა აქვს მნიშვნელობა საქმისათვის. ერთიმეორისაგან განსხვავდება მთავარი ფაქტი, რომელიც შეადგენს მტკიცების საგანს კონკრეტულ საქმეზე (ზიანის მიყენება, უსაფუძვლო გამდიდრება, ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევა) და მტკიცებითი ფაქტი, რომელიც სხვა ასეთივე ფაქტებთან კრებადობით ადასტურებს ან უარყოფს მტკიცების საგანში შემავალ მთავარ ფაქტს. სამოქალაქო საქმეზე დასადგენი ფაქტები ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც ხასიათითა და შინაარსით, ასევე იმ შედეგით, რომლებსაც მათ უკავშირებს კანონი. ჯერ კიდევ, საქმის აღძვრის ეტაპზე – სარჩელის წარმოებაში მიღების დროს, სამართლო ადგენს ისეთი გარემოებების არსებობა ან არარსებობას, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივი შედეგი (სარჩელის წარმოებაში მიღება, უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე). მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარჩელი მიღებულია წარმოებაში, წამოიჭრება მეორე საკითხი, კერძოდ, რომელი ფაქტები უნდა იქნეს დადგენილი იმისათვის, რომ სასამართლომ შეძლოს სწორად გადაწყვიტოს საქმე. ესენი, როგორც წესი, მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტებია, რადგან მათ უკავშირდებათ მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ან მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებულად ცნობა და დაკმაყოფილება, ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმის მიხედვით, დამტკიცდა თუ არა მოთხოვნის საფუძველში მითითებული ფაქტები (სარჩელის საფუძველი). სარჩელი, თვისობრივად უნდა შეესაბამებოდეს მატერიალური მოთხოვნის საფუძველს. მასში ნათლად უნდა იყოს წარმოჩენილი მოსარჩელისათვის სასურველი მატერიალური მიზანი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო სარჩელისა და შესაგებლის შინაარსიდან გამომდინარე, მხარეთა მტკიცებით საქმიანობას წარმართავს ამ გარემოებების დადასტურებისათუ მათი უარყოფის მიმართულებით (იხ., ილონა გაგუა „მტკიცე-

ბულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, რედაქტორები; ზურაბ ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი, გვ: 155, 156). პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

94. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

95. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

96. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში. კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოე-

ულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

97. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

98. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები.

99. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვევტა სასამართლოში დაკავშირებული გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

100. ამრიგად, სასამართლო ვერ გადანყვევტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

101. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნიადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

102. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელიც

მელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვნიადობის პრინციპების მოთხოვნათა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

103. სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) გარემოებები, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს (ე.წ. აწმყოს ფაქტები) და ამიტომ შესაძლებელია მათი გრძობადი აღქმის გზით დადგენა და ბ) გარემოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში და ამიტომ მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით, მტკიცებულების გამოყენებით.

104. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. მაგალითად, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება და ა.შ.

105. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლო (საპროცესო) მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, თუ ვინ არის სასამართლო მტკიცების სუბიექტი. სასამართლო მტკიცების სუბიექტებად სამოქალაქო პრო-

ცესში გვევლინებიან მხარეები – მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თანამონაწილეები.

106. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცება წარმოადგენს სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა.

107. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

108. შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგნის განსაზღვრის დროს უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ სარჩელისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის მითითებული ფაქტებით, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც კანონის თანახმად არ

აქვს მნიშვნელობა ამ მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. თუ ეს ფაქტები იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნას (შესაგებელს) – სასამართლომ არ უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

109. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადანყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი)“ (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).

110. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

111. სასამართლო მტკიცებითი პროცესის წარმმართველი მოქმედება მხარეთა მტკიცებითი საქმიანობაა, რომელიც მხარეებზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზების საპროცესო საშუალებად გვევლინება. მტკიცების ტვირთის საკანონმდებლო განსაზღვრებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კერძო დავის მატერიალურსამართლებრივ შედეგს განაპირობებს პროცესის მონაწილე სუბიექტების წარმატებული მტკიცებითი საქმიანობა. მტკიცების ტვირთი ესაა, მოდავე მხარეებს შორის მატერიალურსამართლებრივი და საპროცესოსამართლებრივი რისკების იმგვარი გადანაწილება, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. მტკიცებითი საქმიანობის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა და შესაბამისად, კერძო ხასიათის დავის წარმატებით დასრულება.

სასამართლო მტკიცებით პროცესში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. რაც შეეხება მოპასუხეს, თუ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას, მაშინ მოპასუხეზეა დამოკიდებული საქმის განხილვის საბოლოო შედეგის (რეზულტატი) იდენტიფიცირება. ასეთი მიდგომის საფუძველია სსსკ-ის 102-ე მუხლის ნორმატიული დანაწესი, რომელშიც კონცენტრირებულია მხარეთა ვალდებულებები დაასაბუთონ ან გააქარწყლონ (უარყო, შეარყიონ) მოსარჩელის მოთხოვნები. იმავედროულად, მოპასუხის მოვალეობას, უპასუხოს მოსარჩელის მიერ მითითებულ და საქმისათვის (მოთხოვნის წარმოშობა-არწარმოშობისათვის) რელევანტურ გარემოებებს სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს. მოპასუხის სტადიაზე მონმდება, თუ რამდენად აქარწყლებს და არყევს იგი მოსარჩელის სტატიაზე განხორციელებული შემონმების შედეგად შექმნილი მოთხოვნის წარმოშობის ვარაუდს. მოპასუხის მტკიცების სტადიაზე მონმდება ის, თუ რატომის შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი და ა.შ.) (იხ., ილონა გაგუა „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, რედაქტორები; ზურაბ ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი, გვ: 222-232).

112. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საპირისპიროდ, მოპასუხემ, შესაგებელში სადავოდ გახადა მოსარჩელის სასარგებლოდ საკუთრების უფლების წარმომშობი გარემოებები და განმარტა, რომ სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებას. მოპასუხემ ქონება იყიდა დაქორწინებამდე. ქორწინების განმავლობაში ქონება გარემონტდა, თუმცა, მომხდარა საცხოვრებელი სახლი არსებითად არ გადაკეთებულა, არც მშენებლობა დასრულებულა და არც სახლი გადაგემარებულა. საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა მხოლოდ სამრემონტო სამუშაოები: იატაკზე დაიგო პარკეტი, გაილესა კედლები, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, დამონტაჟდა გისოსები, გაკეთდა გასასვლელი (არკა) ლოჯსა და მისაღებ ოთახს შორის, რაც შეეხება 2.95 კვ.მ ფართის აივნის მიშენებას და 2.50 კვ.მ ფართით ოთახის გაზრდას, ამით ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუმცა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის განმარტება ვერ გადასწონის მოსარჩელის მიერ თავისი პოზიციის დასადასტურებლად წარმოდგენილ მტკიცებულებას – სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 18 დეკემბრის დასკვნას, რომელშიც მითითებუ-

ლია, რომ დასკვნის შედგენის დროისათვის, სადავო ბინის მდგომარეობა, მასში ჩატარებული სამუშაოების გარეშე, შეადგენდა 65 041 ლარს, ხოლო ზემოხსენებული სამუშაოების ჩათვლით – 97 028 ლარს. სამუშაოების შედეგად ბინის ღირებულება დაახლოებით (97 028-65 041)/65 041X100=49,179%, ე.ი. 49,2%-ით გაიზარდა, რაც მითითებულია საქსპერტო დაწესებულების განმარტებით ბარათში.

113. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა, ესაა მტკიცებულების ერთ-ერთი სახე, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქმის გარემოებათა დასადგენად. იმის მიხედვით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოებაა დასადგენი, შესაძლებელია ჩატარდეს ტრადიციული და არატრადიციული ექსპერტიზა, მათ შორისაა, სამშენებლო და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზები. ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილება აქვთ იმ საქსპერტო ორგანოებს, რომელთა საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული დებულები-სა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. შესაბამისად, როდესაც საუბარია ექსპერტიზის დასკვნაზე, როგორც სსსკ-ით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მტკიცებულებაზე (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი) იგულისხმება კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების მქონე საქსპერტო ორგანოს მიერ ჩატარებული ექსპერტის წერილობითი შედეგი (დასკვნა). თავად ექსპერტი კი, პროცესის მონაწილე დამხმარე სუბიექტია, რომელიც ფლობს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, მედიცინის, ხელოვნების ან ხელობის დარგში. მის მიერ შედგენილ დასკვნაში გადმოცემულია გამოკვლევის შინაარსი, შედეგები და პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებზე. სსსკ-ის 162-ე მუხლის ნორმატიული გაგებით, მტკიცების ამ საშუალებით შესაძლებელია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა, ხოლო ამგვარი მტკიცებულების გარეშე, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ექსპერტიზის საჭიროება საქმეზე დასადგენი გარემოებების თავისებურებიდან გამომდინარეობს. ექსპერტიზის დასკვნა, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კვლევის წერილობითი შედეგი პასუხს სცემს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით მხარეთა ანდა სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებს (იხ., ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, გვ: 97-99, 102, 106-107, 112-113. რედაქტორები: ზურაბ ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მტკიცების საპროცესო ვალდებულების შესრულების პირობებში, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის სა-

წინააღმდეგო მტკიცების საპროცესო საშუალების წარმოდგენის ვალდებულებამ, მოპასუხის მხარეზე გადაინაცვლა.

114. ამ მოცემულობაში საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადანყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადანყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადანყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ან ამ გადანყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადანყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადანყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადანყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

115. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის სწორი ინტერპრეტაციის დროს. განსახილველ შემთხვევაში, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს – სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია, სსსკ-ის 1163-ე მუხლიდან (თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განუული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (გადაგემარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული) გამომდინარეობს.

116. წინამდებარე დავის ფარგლებში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მოპასუხის შედავების პირობებში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია სსკ-ის 1163-ე მუხლის წინაპირობების არსებობა.

117. კასატორი მიიჩნევს, რომ ნორმის მიზნებისათვის სადავო ქონების გაუმჯობესების პროცენტულობა არ წარმოადგენს ორიენტირს და არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. აღნიშნულს საკასაციო პალატა იზიარებს და მიუთითებს, რომ სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელებასთან დაკავშირებით არსებობს სასამართლო პრაქტიკა (იხ. სუსგ-ები №ას-72-2019, 19 აპრილი, 2019; №ას-7-7-2016, 16 მარტი, 2016 წელი; №ას-33-489-06, 16.03.2016წ; 11.01.2010წ. №ას-1078-1345-09, 8.09.2006წ.)

118. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა სწორედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის წინაპირობებთან მიმართებით უნდა შემოწმდეს. ნორმის დანაწესით: „თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განუყოფელი ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (გადაგეგმარება, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება, არსებითად გადაკეთება, შენობის ან ავტომანქანის კაპიტალური რემონტი და სხვა. იმავე საფუძველად გამოდგება სპეციფიკაციაც, როცა ერთი მეუღლის მასალის გადამუშავებაში მეორე მეუღლეს იღებს მონაწილეობას და იქმნება უფრო მეტი ღირებულების ახალი ნივთი. იგულისხმება, რომ ამ დროს ხდება მეორე მეუღლის სახსრების გამოყენებაც. (იხილეთ: რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 161). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული“. ცხადია სადავო ქონების მხოლოდ მიმდინარე რემონტი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის, არ შეიძლება ქონების საერთო საკუთრებად აღიარების საფუძველი გახდეს. ქონების რემონტი ან თანხების დაბანდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქონების თანასაკუთრებად აღიარების საფუძველი, როცა ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდება.

119. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მეტყველებს, რომ სადავო ქონების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც სსკ-ის 1163-ე მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხეს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რომელიც გააქარ-

წყლებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. მოპასუხეს არც კანონისმიერ დათქმაზე, რომელიც ქონების გაზრდილი ღირებულების არსებობის პირობებშიც კი, გამორიცხავდა ინდივიდუალური ქონების თანასაკუთრებად ტრანსფორმირებას, არ მიუთითებია (საქორწინო კონტრაქტის არსებობა). ამასთან, მოპასუხეს არ წარმოუდგენია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის საპირისპირო მტკიცებულება (ექსპერტიზის დასკვნა). შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოდავე მხარეთა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში, მათ მიერ განეული ხარჯების შედეგად, მოხდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად გადაქცევა, კერძოდ, რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში მხარეების მიერ განეული ხარჯების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეუღლეთა მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება, რამაც გამოიწვია ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა. მეუღლეთა რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში სადავო ბინა მოყვანილი იქნა საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში ბინაში განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად. მოხდა ქონების გადაგეგმარება, კერძოდ 2.95კვ.მ. აივნის მიშენების და მისაღებ ოთახში ორი ხის კონსტრუქციის ტიხარის მოშორების ხარჯზე, ოთახს გაუკეთდა კაპიტალური გასასვლელი (არკა) და კედელი, რამაც მოახდინა, მისაღები ოთახის იზოლაცია, ერთ-ერთი საძინებელი ოთახის წარმოქმნა და არსებული საძინებელი ოთახის გაზრდა 2.50კვ.მ-ით, ასევე, ბინას გაუკეთდა აივანი, გარდა ამისა სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას დაიგო პარკეტი, შეიცვალა კარ-ფანჯარა და ჩაისვა მეტალოპლასმასის კარ-ფანჯარა, დამონტაჟდა გისოსები, გამოიცვალა ელექტროგაყვანილობის სისტემა, გასუფთავდა და გაილესა, შეიფითხა, შეიღება და მოჩუქურთმებული იქნა კედლები, გაერთიანდა აბაზანა და საპირფარეშო, გაკეთდა კაფელ-მეტლახი, აბაზანაში, სამზარეულოში და აივანზე. სამზარეულოში მოჭიმული იქნა იატაკი, აბაზანაში მოეწყო აუზი, ყველა ოთახში დამონტაჟდა სანათები, შესაბამისად, არსებობდა ოროთახიანი ბინა და რეკონსტრუქციის ხარჯზე გახდა სამოთახიანი, რითაც გადაგეგმარდა და მნიშვნელოვნად გაიზარდა ქონების ღირებულება, ხოლო მიშენებული ოთახის, აივნის და შიდა რეკონსტრუქციის ხარჯზე არსებითად შეიცვალა ქონების მდგომარეობა.

120. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით – მონმეთა ჩვენებებითაც დადასტურებულია, რომ 1994 წლის 22 ოქტომბერს შეძენილ, თ. ჯ-ს სახელზე რეგისტრირებულ სადავო უძრავ ქონებაში, მხარეების რეგისტრირებული ქორწინების პერიოდ-

ში მოხდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება, აღნიშნული ბინა უვარგისი იყო საცხოვრებლად და პირადად ი. ჯ-ას მიერ მოხდა რემონტის დაწყება, რომელიც მიმდინარეობდა 1998-2006 წლების განმავლობაში. საქმეზე წარმოდგენილი მონმე გ. კ-ი განმარტავს, რომ არის მშენებელი და მოსარჩელე ი. ჯ-ას დაკვეთით პირადად აწარმოებდა საამშენებლო სამუშაოებს, კერძოდ 2005-2006 წლებში მოახდინა აივნის მიშენება, რომლის ხარჯზე გადაიდა არსებული საძინებელი ოთახი და მიემატა ახალი საძინებელი ოთახი, გააკეთა კარ-ფანჯარაზე და აივანზე მოძრავი რკინის გისოსები. რა დროსაც ეხმარებოდა მონმე – პ. ნ-ი, რომელმაც ასევე დაადასტურა გ. კ-ის ჩვენება. მონმე ე. კ-ის განმარტებით, ი. ჯ-ასთან თხოვნის საფუძველზე 1998 წელს შევიდა და წელიწადნახევრის განმავლობაში ცხოვრობდა სადავო ბინაში, სადაც ი-ს მიერ, იმ დროისათვის დაგებული იყო მხოლოდ პარკეტი და გაკეთებული იყო წყალგაყვანილობა, ბინას არ ჰქონდა აბაზანა, კედლები იყო გასალესი, იგივეს ადასტურებს მონმე ზ. ა-ი, რომელიც განმარტავს, რომ 1998 წლიდან 2003 წლამდე ეხმარებოდა ი. ჯ-ას და მისმა მამამ ი-ს თხოვნის საფუძველზე გააკეთა წყალგაყვანილობის და კანალიზაციის მილები, შეასწორა ელექტროგაყვანილობა, კედლები იყო გასალესი, არ ჰქონდა საპირფარეოს კარები. ძირითადი რემონტი, რაც მოიცავდა აივნის მიშენებას, კედლების დანგრევას და აშენებას ოთახების მომატების მიზნით, კარ-ფანჯრის გაკეთება, პარკეტის დაგება, ლესვითი სამუშაოები – ი-მ გააკეთა. იგივეს განმარტავენ მონმეები მ. ნ-ია და ი. ნ-ა. აღსანიშნავია ასევე მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი მონმეების განმარტებები, რომლებიც თანხვედრაშია მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მონმეების ჩვენებებთან, ბ. ქ-ა და გ. ქ-ა განმარტავენ, რომ 2005-2006 წლებში გაკეთდა კაფელ-მეტლახი, გასუფთავდა, გაილესა, შეიფითხა, შეიღება კედლები და გაკეთდა ჩუქურთმები. მონმეთა ჩვენებები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ მხარეების რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რაც მოიცავდა რეკონსტრუქციას, გადაგეგმარებას, რემონტს.

121. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ევროსასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მონმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. *the Ludi v. Switzerland*, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, №238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და *the Schuler-Zgraggen v. Switzerland* გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მონმის ჩვენე-

ბის მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

122. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ბინის კაპიტალური რემონტი და რეკონსტრუქციის მიზანი, როგორც ბინის ფუნქციური დანიშნულების ცვლილების (გაუმჯობესების, მატების), ისე მისი კეთილმოწყობის თვალსაზრისით (საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანა), იმგვარად ბუნებრივად იყო დაკავშირებული მოსარჩელისა და მოპასუხის ოჯახურ თანაცხოვრებასთან, რომ მოსარჩელის თანასაკუთრებითი უფლების წარმოშობის ქრილში ბინის ფუნქციური დანიშნულების არსებითი ცვლილება და გაუმჯობესება უფრო მეტი ღირებულების მატარებელ ეფექტს იძენს, ვიდრე ბინის ფასის ციფრობრივი გამოხატურება, თუმცა ამ მხრივაც მნიშვნელოვანი ცვლილება აქვს განცდილი სადავო ბინას.

123. ამ განჩინების 53-59 პარაგრაფებში მითითებულ მსჯელობასთან მიმართებით, რომ მოპასუხესთან თანაცხოვრების საფუძვლით მოსარჩელეს ვერ ექნებოდა რაიმე მოლოდინი ქონებრივი უფლების წარმოშობის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმისაგან – *Perife Yidit v. Turkey* – განაცხადი ნო. 3976/05 – განსხვავებით, სადაც აღნიშნულია, რომ მხარეს ვერ ექნებოდა სახელმწიფოსაგან თანაცხოვრების სამართლებრივი შედეგების აღიარების მართლზომიერი მოლოდინი, განსახილველ საქმეში, მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 1163-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომელიც ნორმით დადგენილი წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, ერთ-ერთ მეუღლეს წარმოუშობს ქონებრივ უფლებას.

124. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო კერძო სამართალს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერ ქვეყანაში. მისი შინაარსი დაიყვანება კოლიზიური პრობლემის გამოვლენასა და სამართლის სისტემათა შორის კონკურენციის თავიდან აცილებაში. კოლიზიური ნორმების მეშვეობით საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს, უცხოური ელემენტის მონაწილეობით წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის, რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული. განმარტებისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ უცხო ელემენტის მატარებელი შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბი-

ექტი, ობიექტი ან იურიდიული ფაქტი. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით.

125. საკასაციო პალატა იზიარებს წინამდებარე გადაწყვეტილების 3.65-ში აღნიშნულ კასატორის პრეტენზიას და მიაჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მოსარჩელემ შეძლო და დადასტურა სსკ-ის 1163-ე მუხლის წინაპირობების არსებობა სადავო უძრავ ქონებაზე საუთრების უფლების წარმოშობის დასაბამებლად, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა რეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით და იგი უცხო ქვეყნის კომპონენტს არ შეიცავს, შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო გამოცდილებას, მოცემულ საქმეზე გავლენა ვერ ექნება.

126. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 1163-ე მუხლის ნორმის მიზნებისათვის, ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა არა მხოლოდ ფასმატების კონტექსტში შეიძლება ვლინდებოდეს, არამედ ნივთის სამეურნეო თუ სხვა ფუნქციური დანიშნულების არსებითი ცვლილებით, რის გამოც, ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე, ქონებრივი სიკეთის ფუნქციური დანიშნულებისა და ოჯახის ინტერესებზე ორიენტირებული ცვლილებების არსებობის შეფასების კონტექსტში.

127. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

128. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

129. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოიშვა უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ... კორპ. 19, ბინა 88, ს/კ ... 1/2 ნაწილზე მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, სარჩელი უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

130. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია, სსსკ-ის 53-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ, მოსარჩელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ი. ჯ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს.
4. ი. ჯ-ა ცნობილ იქნეს თ. ჯ-ას სახელზე რეგისტრირებული ქ. თბილისში, ... კორპ. 19, ბინა 88-ში (ს/კ ...) მდებარე უძრავი ნივთის 1/2-ის მესაკუთრედ.
5. თ. ჯ-ას დაეკისროს ი. ჯ-ას სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების სახით 2000 ლარის გადახდა.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

### შვილების აღზრდა მშობლების ურთიერთშეთანხმებით

#### ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-196-2019

2 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიჭიაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:

1.1. ა. ჭ-იამ (შემდგომში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხა-  
რე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. კ-ძის (შემდგომში – მოპასუ-  
ხე, აპელანტი ან კასატორი) მიმართ და მოითხოვა 2013 წლის 27  
ივნისს დაბადებულ შვილთან – მ. ჭ-ასთან ურთიერთობის შემდეგი  
წესის განსაზღვრა: წაიყვანოს შვილი სახლში ყოველი კვირის პა-  
რასკევეს, დღის 16:00 საათიდან კვირა საღამოს 19:00 საათამდე;  
ზამთრის არდადეგებზე, ყოველი წლის 7 იანვარს დღის 14:00 საა-  
თიდან 19 იანვრის საღამოს 18:00 საათამდე; ზაფხულის არდადე-  
გებზე, 1 ივლისის დღის 10:00 საათიდან 20 აგვისტოს საღამოს 18:00  
საათამდე; ბავშვის სრულწლოვანებამდე კვირის დანარჩენ დღე-  
ებში ჰქონდეს შეუზღუდავად შვილის ნახვის უფლება მისი ცხოვ-  
რების რეჟიმის დაურღვევლად, ხოლო, შვილის დაბადების დღესა  
და აღდგომის დღესასწაულზე, დღის 16:00 საათიდან მეორე დღის  
16:00 საათამდე მიეცეს შვილის სახლში წაყვანის უფლება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მხა-  
რეები 2011 წლიდან იმყოფებოდნენ ქორწინებაში და ცხოვრობ-  
დნენ იტალიაში. თანაცხოვრების პერიოდში, 2013 წლის 27 ივნისს,  
შეეძინათ შვილი. მოპასუხესთან თანაცხოვრება შეწყვეტილია,  
არასრულწლოვანი შვილი კი, აღსაზრდელად იმყოფება მოპასუხეს-  
თან იტალიაში. მოსარჩელეს სურს ყველაფერი გააკეთოს, რათა  
შვილი აღზარდოს ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად. იზ-

რუნოს მისი სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, შვილის უპირატესი ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ აღნიშნული შეუძლებელია, რადგან შვილის ნახვის უფლებას არ აძლევს მოპასუხე. მოსარჩელე ორი წლის განმავლობაში ზრდიდა და შვილს, რადგან მეუღლე მუშაობდა. დაძაბული ურთიერთობის გამო, თვითონ ჩავიდა გერმანიაში, მიიღო ლტოლვილის სტატუსი და უხდიდნენ 350 ევროს. საჩუქრებს უგზავნიდა ცოლ-შვილს, მაგრამ მოპასუხე შვილის ნახვის უფლებას არ აძლევს.

## **2. მოპასუხის/არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის პოზიცია:**

2.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე მოძალადე მეუღლეა, რის გამოც იტალიაში ნასამართლევია. ის მოპასუხემ გამოიყვანა ციხიდან იტალიის დატოვების პირობით. ძალადობდა ცოლ-შვილზე, არის ამორალური, კრიმინალი და ალკოჰოლზე დამოკიდებული. ოჯახში ძალადობის გამო, გაფრთხილებული იქნა, რომ განმეორების შემთხვევაში ჩამოერთმეოდა მშობლის უფლება და ბავშვი გადაეცემოდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს;

2.2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ა-ის რაიონული განყოფილების 2017 წლის 20 თებერვლის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის ოჯახის შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ ოჯახის საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობები დამაკმაყოფილებელია. ოჯახს შეუძლია, ბავშვს შეუქმნას მზრუნველი და კეთილსაიმედო გარემო. სააგენტომ გასცა რეკომენდაცია, ორივე მხარემ გაითვალისწინოს მხოლოდ შვილის ინტერესები. მშობლებს შორის არსებული კონფლიქტი არ უნდა აისახოს ბავშვზე და ამ უკანასკნელს უნდა შეექმნას განვითარებისათვის კეთილსაიმედო და უსაფრთხო გარემო.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნება დაერთო მოსარჩელეს, ურთიერთობა იქონიოს 2013 წლის 27 ივნისს დაბადებულ შვილთან ყოველი დღის 12:00 საათიდან იმავე დღის 17:00 საათამდე ნახვის უფლებით, ისე რომ არ დაირღვეს ბავშვის ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების წესი.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის შვილთან ურთიერთობის შემდეგი წესის განსაზღვრა: 2 დღე, თვის პირველი და მესა-

მე კვირის შაბათსა და კვირას დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე; თვის მეორე და მეოთხე კვირის სამშაბათსა და ოთხშაბათს, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე, ბავშვის ცხოვრების წესის დაურღვევლად; გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში ბავშვთან მამის ურთიერთობა განისაზღვროს დედის მხრიდან ბებუის ან ბავშვის ნდობით აღჭურვილი სხვა პირის თანხლებით, რათა მას არ ჰქონდეს დაუცველობისა და შიშის გრძნობა.

##### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

##### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეილთან ურთიერთობის წესის შემდეგნაირად განსაზღვრა: კვირაში ორი დღე, თვის პირველსა და მესამე კვირაში შაბათ-კვირას, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე, ხოლო მეორე და მეოთხე კვირაში – სამშაბათსა და ოთხშაბათს 12:00 საათიდან 17:00 საათამდე ბავშვის ცხოვრების წესის დაურღვევლად; გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ბავშვთან მამის ურთიერთობის ბავშვის ნდობით აღჭურვილი პირის თანხლებით განსაზღვრა.

##### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

##### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობის წესის განსაზღვრა არასრულწლოვან შვილთან. სააპელაციო პალატამ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოთქმული შეფასებები და დასკვნები, დადგენილად მიიჩნია, რომ მამა-შვილისათვის ურთიერთობის ყოველდღიური რეჟიმის დანესება (ყოველი დღის 12:00 საათიდან იმავე დღის 17:00 საათამდე ნახვის უფლებით, ისე რომ არ დაირღვეს ბავშვის ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების წესი) შეესაბა-

მებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია კანონის მოთხოვნები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამონმებს, რომლებიც ძირითადად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების კვლევას და არააღსრულებადი გადაწყვეტილების მიღებას შეეხება. კასატორის განმარტებით, არასრულწლოვანი ხდება 6 წლის, ხოლო იმ დროისათვის, როდესაც გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, ის იქნება სკოლის მოსწავლე და განსაზღვრული რეჟიმი მამა-შვილის ურთიერთობისა შეუძლებელი აღმოჩნდება, გამოიწვევს მხარეთა შორის კონფლიქტს და სასამართლოსათვის კვლავ მიმართვის აუცილებლობას. ურთიერთობის წესზე მსჯელობისას სასამართლოს არ გამოუკვლევია ის საკითხი, თუ სად უნდა განხორციელდეს მშობლისა და შვილის შეხვედრა, რადგანაც ბავშვი ხან იტალიაში და ხან საქართველოში იმყოფება. სააპელაციო განხილვის ეტაპზე სასამართლომ ჩართო დავაში სოციალური მუშაკი, თუმცა, მისი არცერთი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ იზიარებდა საქმეში არსებულ დასკვნას და ის ფაქტიც არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე სხდომაზეც კი კონფლიქტური იყო, შეურაცხყოფას აყენებდა სასამართლოს. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკა, თუმცა, არ ირკვევა განსახილველი დავა და გამოყენებული პრაქტიკა ერთსა და იმავე ფაქტებს ემყარება თუ არა. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთა აპელანტის განმარტებებს და აღნიშნა, თითქოს მხარე მხოლოდ იმას ხდიდა სადავოდ, მამა-შვილის ურთიერთობა წარმართულიყო ნდობით აღჭურვილი პირის თანხლებით თუ მის გარეშე.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-

ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.2.1. 2013 წლის 27 ივნისის დაბადებული მ. ქ-ას მშობლები არიან ა. ქ-ია და ი. კ-ძე. მ. ქ-ია ცხოვრობს დედასთან იტალიაში, ქალაქ ს-ში;

1.2.2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აბაშის რაიონული განყოფილების 2017 წლის 20 თებერვლის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის ოჯახის საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობები დამაკმაყოფილებელია. ოჯახს შეუძლია ბავშვს შეუქმნას მზრუნველი და კეთილსაიმედო გარემო. გაცემულია რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, მიზანშეწონილია, ორივე მხარემ გაითვალისწინოს მხოლოდ შვილის ინტერესები. მშობლებს შორის არსებული კონფლიქტი არ უნდა აისახოს ბავშვზე და ბავშვს უნდა შეექმნას განვითარებისათვის კეთილსაიმედო და უსაფრთხო გარემო;

1.2.3. არასრულწლოვნის კანონიერმა წარმომადგენელმა – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტმა განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში, აუცილებელია მისი ურთიერთობა როგორც დედასთან ისე – მამასთან;

1.2.4. საქმეში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალებით, მათ შორის იტალიის ქალაქ ს-ს მოსამართლის განკარგულებით ირკვევა, რომ 2014 წლის თებერვალ-მარტიდან ამავე წლის 17 ოქტომბრამდე მოსარჩელე თითქმის ყოველდღე ნასვამ მდგომარეობაში სცემდა მეუღლე ი. კ-ძეს მძიმე ნივთების გამოყენებით, ხელით და ა.შ., ემუქრებოდა სიკვდილით. ამ ძალადობებს ესწრებოდა მათი ერთი წლის შვილი და ტიროდა;

1.2.5. საქმეში წარმოდგენილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებითა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის განჩინებით დადგენილია, რომ 2017 წლის 14 მარტს ი. კ-ძე იმყოფებოდა იტალიაში, ხოლო არასრულ-

ნლოვანი მ. ჭ-ია ქ. ქუთაისში. შვილს საბავშვო ბაღში სანახავად მიაკითხა მამამ, რომელმაც სცადა საბავშვო ბაღიდან მისი უნებართვოდ გაყვანა. აღნიშნულმა ბავშვში გამოიწვია სტრესი და საფრთხე შეუქმნა, როგორც მის სიმშვიდეს, ასევე ჯანმრთელობასა და ემოციურ მდგომარეობას. ამ ქმედების გამო, სასამართლო გადაწყვეტილებით ა. ჭ-იას აეკრძალა მ. ჭ-თან 20 დღით იმ ადგილებში მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა;

1.2.6. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის 2017 წლის 31 იანვრის დასკვნის თანახმად, მ. ჭ-ას კოგნიტური განვითარება ასაკის შესაბამისია. საუბრობს ორ ენაზე, როგორც ქართულად ასევე – იტალიურად, უყვარს ზღაპრებისა და ლექსების მოსმენა, მოსწონს თანატოლებთან თამაში. ბავშვის ემოციური მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია... ბავშვმა სოციალურ მუშაკთან საუბარში დაადასტურა დედის მონათხრობი და აღნიშნა, რომ მამა სცემდა დედას, თვითონ კი მაგიდის ქვეშ იმალებოდა.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მტკიცებულებათა ყოველმხრივი შეფასებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დადგენის გარეშე გამოიტანა, ასევე, ანგარიშგასანევია მისი პოზიცია გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობასთან დაკავშირებით. საკითხის სწორად შეფასების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლზე, რომლითაც გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, მოხმობილი ნორმა ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინდადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი თავადვე იძლევა ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მი-

ღებულის აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

1.3.2. მოხმობილი კონვენცია ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მურევებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, როდესაც იგი არასრულწლოვნის უფლებებს შეეხება, მიუხედავად კანონით რეგლამენტირებული ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპისა, ამოსავალი დებულება ყოველთვის ბავშვის საუკეთესო ინტერესია, რომლის უზრუნველყოფის მიზნით დაიშვება, როგორც ერთ-ერთი, ისე – ორივე მშობლის უფლების შეზღუდვა, თუკი მხოლოდ ამ გზითაა

შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

1.3.3. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზეც. სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოებების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე და 1202-ე მუხლებით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები). მხედველობაშია მისაღები გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასებისათვის ევროსასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რო-

მელიც მოითხოვს იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადანყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს, მონმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (*Havelka and Others v. the Czech Republic*, საჩ. ნომ. 23499/06, § 62, 2007 წლის 21 ივნისი; *Haase v. Germany*, საჩ. ნომ. 11057/02, § 97, ECHR 2004-III (extracts)).

1.3.4. განსახილველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის მასალების შეფასების პარალელურად სააპელაციო პალატამ დაადგინა რა მამა-შვილის ურთიერთობის შესაძლებლობა ყოველდღიურ ფორმატში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების საპირისპიროდ, სასამართლოს არ უმსჯელია იმ საკითხზე, ურთიერთობის მყისიერი და ინტენსიური დაწყება ფსიქოლოგიურ სტრესს მიაყენებს თუ არა არასრულწლოვანს. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ ოთხი წლის ასაკის ბავშვის ნაამბობი ოჯახში ძალადობის თაობაზე, რომელიც მისი ერთი წლის ასაკში განხორციელდა, შესაძლოა მართლაც არ წარმოადგენდეს არასრულწლოვანის გააზრებულ მონათხრობს, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც ბავშვისათვის ცნობილია ძალადობის ფაქტის თაობაზე, ხოლო თავად ძალადობა წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში უპირობოდ დასაგმობ ქმედებას, უნდა გამოინახოს გზა ბავშვის მხრიდან ამ ფაქტის გააზრების და მამის მიმართ არასასურველი დამოკიდებულების ეტაპობრივად შეცვლისათვის. ამ კუთხით სპეციალისტის (ფსიქოლოგის) მონაწილეობა, მისი ჩართულობის აუცილებლობა, მამა-შვილის ურთიერთობის სურათის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის გაანალიზება წარმოადგენს საკითხის გადანყვეტის უალტერნატივო გზას.

1.3.5. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, წინამდებარე განჩინებით არ ცდილობს რაიმე ფორმით შეზღუდოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლით აღიარებული რომელიმე მშობლის ინტერესი, უფრო მეტიც, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მრავლისმომცველ უფლებებზე, თუმცა მიიჩნევს, რომ ყოველგვარი რისკი, რომელიც არასრულწლოვანის ნორმალურ განვითარებას შეიძლება შეეხოს, უნდა გამოირიცხოს. ამ მხრივ სასამართლოს მხედველობაში აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (*Johansen v. Norway*) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადანყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული

ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური გამოცდილებაც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Cyliz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. „ოჯახური ცხოვრების პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands, 2005 წლის პირველი დეკემბერი). კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს. ამ კონტექსტში, მე-8 მუხლის არსებითი მიზანია პირის დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან დისკრეციული ქმედებისაგან. გარდა ამისა, ოჯახური ცხოვრების ეფექტურ „პატივისცემას“ ახასიათებს პოზიტიური ხასიათის ვალდებულებები. მე-8 მუხლი მოი-

ცავს მშობელთა უფლებას, მიიღონ ზომები, რაც საშუალებას მისცემს მათ, ხელახლა გაერთიანდნენ თავიანთ შვილებთან, და ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები. ეს ასევე ეხება იმ შემთხვევებს, სადაც ბავშვებთან კონტაქტთან და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული დაგვიბი წარმოიშობა მშობლებსა და/ან ბავშვების ოჯახის სხვა წევრებს შორის. თუმცა, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით, არ არის აბსოლუტური ხასიათის. მშობლის იმ ბავშვთან ხელახალი გაერთიანება, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობს სხვა პირებთან ერთად, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა საჭირო გახდეს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ამგვარი მომზადების ხასიათი და მასშტაბი დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, თუმცა, ყველა დაინტერესებული მხარის გაგება და თანამშრომლობა ყოველთვის იქნება ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. ეროვნულმა ხელისუფლებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს ამგვარი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ამ სფეროში ძალდატანების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს, რადგან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები, ასევე, უფლებები და თავისუფლება და განსაკუთრებით ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი უფლებები. თუკი მშობელთან კონტაქტი საფრთხეს უქმნის ამ ინტერესებს ან აბრკოლებს ამ უფლებების განხორციელებას, ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია, შექმნას სამართლიანი ბალანსი. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს. მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს (იხ. „ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“). სააპელაციო სასამართლომ პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას იხელმძღვანელა ამ უკანასკნელი საქმითაც, თუმცა, არ გაითვალისწინა ის საკითხი, რომ სხენებულ საქმეზე საკვანძო საკითხს წარმოადგენდა არა მამის მცდელობა, დაებრუნებინა შვილი, არამედ – შვილის სურვილი, ეცხოვრა იმ გარემოში, სადაც ის იყო ინტეგრირებული. ამ უკანასკნელ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არასრულწლოვანთა მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია მათი მამისათვის გადაცემა იმ პირობებში, როდესაც დედის გარდაცვალების შემდეგ არასრულწლოვნები ცხოვრობდნენ დეიდასთან და მათ, მტრული დამოკიდებულების გამო, არ ჰქონდათ სურვილი მამასთან საცხოვრებლად გადასვლის, რომელმაც მოი-

ხადა სასჯელი (პირობითი მსჯავრი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა), ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისაგან თავის დასაღწევად ჩართული იყო ე.წ „მეტადონის პროგრამაში“, ასევე აღარ აღენიშნებოდა პიროვნული აშლილობის ნიშნები. ამ მხრივ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე კვლევას.

1.3.6. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის დისპოზიციის მიხედვით, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ბავშვის აღზრდის საკითხზე მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი აღქმა ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმომადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომადგენლობა პასიური ქმედებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩასატარებელი სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გააცნობიეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ დაკისრებული მოვალეობანი. მან ეფექტური გზით უნდა განიოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამგვარად კი, ვერ იქნება განხილული წინამდებარე საქმეზე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებები, ვინაიდან საუკეთესო ინტერესის დადგენისათვის უპირატესი პიროვნული ურთიერთობები, ბავშვის მიჯაჭვულობა ერთ-ერთ მშობელთან, მისი მეორე მშობლის გარემოში ინტეგრაციის საკითხის გადაჭრა უნდა იყოს და არა მშობლის საცხოვრის ფორმალური აღწერა. ამ მიზანს არ პასუხობს საქმეში წარმოდგენილ დასკვნებში ასახული უზოგადესი ხასიათის რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარებისათვის სასურველია მისი ორივე მშობელთან ურთიერთობა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სოციალურმა სამსახურმა, როგორც არასრულწლოვნის კანონიერმა წარმომადგენელმა მოცემულ დავაში არ გაატარა ეფექტიანი ღონისძიებები სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტის ხელშესაწყობად, საქმეში არ მოიპოვება ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც დინამიკაში დააკვირდებოდა მამა-შვილის ურთიერთობას და სრულყოფილ სურათს მის-

ცემდა სასამართლოს იმისა, თუ რამდენად პოზიტიურად აისახება ბავშვის განვითარებაზე მამასთან ურთიერთობა, თავის მხრივ, ეს საკითხი არ გამხდარა ქვემდგომი სასამართლოების კვლევის საგანიც, რაც გადანყვეტილების არასაკმარის დასაბუთებაზე მეტყველებს. საქმეზე – „ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ამგვარი წარმომადგენლობა შეაფასა უარყოფითად, ევროსასამართლოს განმარტებით, სამსახური ფორმალურად ჩაერთო სამართალწარმოებაში მხოლოდ სააპელაციო ეტაპიდან, გამოტოვა რა, გაურკვეველი მიზეზების გამო, პირველ ინსტანციაში საქმის მთლიანი განხილვა. სააპელაციო სამართალწარმოებაში მისი ჩართვის შემდეგ, სოციალური მომსახურების სააგენტომ და მისმა შესაბამისმა რაიონულმა განყოფილებამ მიიღო „დაინტერესებული მხარის“ სტატუსი, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე დებულებას „დაინტერესებული მხარის“ სტატუსთან და/ან მის შემდგომ საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ შეძლო სოციალური მომსახურების სააგენტომ ეფექტურად წარმოედგინა ბავშვების ინტერესები, როცა მას არ გააჩნდა ფორმალური პროცედურული როლი ამ საქმეში. ბავშვების ინტერესების წარდგენის მიზნით მოხდა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მისი შესაბამისი რაიონული განყოფილების დანიშვნა, სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1200-ის §2-ის შესაბამისად. მაგრამ ისევ გაურკვეველი რჩება, თუ ზუსტად რას გულისხმობს წარმომადგენლობის ეს ტიპი. პრაქტიკულად, სამართალწარმოების ორ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს სხვადასხვა წარმომადგენელი ბიჭებს მხოლოდ რამდენიმეჯერ შეხვდა ერთადერთი მიზნით, მოემზადებინათ რამდენიმე ანგარიში ბიჭების საცხოვრებელ პირობებთან და მათ ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ბიჭების მონიტორინგისა და მათთან სანდო ურთიერთობის დამყარების მიზნით ადგილი არ ჰქონია რეგულარულ და ხშირ კონტაქტს ბიჭებთან. ამ კონტექსტში გათვალისწინებულ უნდა იქნას ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ, რომელიც არ არის რატიფიცირებული საქართველოს მიერ, მაგრამ წარმოადგენს შესაბამისი პრინციპების ინტერპრეტაციის სასარგებლო ინსტრუმენტს. ზემოთხსენებული კონვენციის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ წარმომადგენლის მოვალეობაა, იმოქმედოს სათანადო წესით ბავშვის სახელით, რაც გულისხმობს ბავშვისთვის ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდებას, ბავშვის შეხედულებების დადგენას და სასამართლო ხელისუფლების წინაშე მათ წარდგენას.

1.3.7. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიუბრუნდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაში გაჟღერებულ იდეას, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს (იხ. მაგ: CASE OF S.L. AND J.L. v. CROATIA, განაცხადი №13712/11, 7 მაისი 2015 წელი, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ არსებობს სრული კონსენსუსი, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში, იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები არის უპირატესი) და ამ კონცეფციის ფარგლებში ერთმანეთისგან გამიჯნავს შეპირისპირებულ სიკეთეებს, რომელთა კონკურენციაც წინამდებარე განჩინებით განსჯის საგანს წარმოადგენს. შეპირისპირებული სიკეთეები შემდეგია: ა) მამის „ოჯახური ცხოვრების“ პატივისცემის უფლება; ბ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი. ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევა შეფასებას ექვემდებარება ე.წ „პროპორციულობის – სამართლიანი ნონასწორობის ტესტით“ (ე.წ „მიხედულების ზღვრის თეორიის“ თანახმად, ჩარევის პროპორციულობის დასადგენად შეფასებას ექვემდებარება სადავოდ ქცეული უფლების/თავისუფლების ბუნება; სუბიექტის მიმართ ამ უფლების მნიშვნელობა; ქმედების ხასიათი; ჩარევის გამართლებების ხარისხი და ევროპის საბჭოს ქვეყნების მხრიდან სადავო საკითხზე აშკარა კონსენსუსის არსებობა). „ოჯახური ცხოვრების“ უფლების დადგენის მიზნით პრეცედენტულ სამართალში განმარტებულია, რომ სახეზე უნდა იყოს მშობლისა და შვილის სოციალური ინტეგრაცია და შეჩვევის ინტენსიური ხასიათი, რაც ამავდროულად ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს – იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში.

1.3.8. გარდა ზემოხსენებულისა, პალატა ასევე ეთანხმება კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების თაობაზე. მხარეთა შორის სადავო არაა ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ცხოვრობს და იზრდება დედასთან, ის ხშირად იმყოფება საზღვარგარეთ. ეს საკითხი დაადგინა სააპელაციო პალატამაც, თუმცა, აპელანტის პრეტენზიის საპირისპიროდ აღნიშნა, რომ იტალიაში მოსარჩელის დარჩენის შეუძლებლობის შემთხვევაში ავტომატურად შემცირდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული მშობლისა და შვილის ურთიერთობის პერიოდი, რაც არა საკითხის გადაწყვეტაზე, არამედ – მის ღიად დატოვებასა და შემდგომი დავების წარმოშობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოში დანიშნული ზეპირი განხილვი-

სას წარმოდგენილ იქნა მტკიცებულება – ცნობა არასრულწლოვნის სკოლაში მიყვანის თაობაზე, რომელიც პალატამ ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლებში დაურთო საქმეს, თუმცა, იმის გამო, რომ საქმე წინამდებარე განჩინებით არ სრულდება, ამასთან, რომ არ დაირღვეს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საპროცესო პრინციპები (სსსკ-ის მე-4 და მე-5 მუხლები) და მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, გამოხატოს პოზიცია ხსენებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ამ ეტაპზე შეფასებას არ აძლევს მას და მიიჩნევს, რომ ეს დოკუმენტი საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს უნდა შეაფასოს სააპელაციო სასამართლომ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათი (სსსკ-ის 266-ე მუხლი) ვლინდება არა მხოლოდ სასამართლო პროცედურების დასრულებაში, არამედ, მიღებული გადაწყვეტილება დარღვეული/სადავო უფლების ეფექტიანი დაცვის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რათა გადაწყვეტილებით საბოლოოდ აღმოიფხვრას სამართლებრივი ურთიერთობის ხარვეზი და მიღებული სიკეთე ეფექტიანი და ხელმისაწვდომი იყოს მისი სუბიექტებისათვის. სხვაგვარად სამართალწარმოების მიზანი ვერ იქნება განხორციელებული, ხოლო დარღვეული უფლება – აღდგენილი, შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს არა მხოლოდ უფლების საკითხი, არამედ – მისი შემდგომი განხორციელების რეალური შესაძლებლობა.

#### **1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული მსჯელობის გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და შემდგომ განსაზღვროს ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობის წესი მასთან.

#### **2. პროცესის ხარჯები:**

ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გ ა ვ შ ვ ი ს ი ნ ტ ა რ ე ს ე ბ ი ს დ ა ტ ვ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ ი**

№ას-1232-2019

5 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** მამობის დადგენა, მამის გვარის მინიჭება (ძირითად სარჩელში), შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება (შეგებებულ სარჩელში); საკითხი, რომელზედაც მიღებულია განჩინება – საკასაციო საჩივრის უარყოფა

### **ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:**

1. გ. ტ-ი (შემდეგში: მოსარჩელე, არასრულწლოვანის მამა, შეგებებული სარჩელის მოპასუხე), 2015 წლის მაისის თვეში დაქორწინდა მ. ქ-ზე (შემდეგში: მოპასუხე, არასრულწლოვანის დედა, აპელანტი ან კასატორი); მოპასუხე იმხანად არასრულწლოვანი იყო და, ქორწინების ფაქტიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში (იხ. განაჩენი, გამოკითხვის ოქმი);

2. თანაცხოვრების პერიოდში წყვილს, 2016 წლის 2 აპრილს შე-

ეძინა შვილი – მ. ქ-ი (პ/ნ ...; იხ. დაბადების მოწმობის ასლი);

3. მოპასუხე და გ. ლ-ლი (შემდეგში: შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა (იხ. ქორწინების მოწმობა);

#### **4. სასარჩელო მოთხოვნა**

4.1. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს დადგინდეს მოსარჩელის მამობა მისი მცირეწლოვანი შვილის, მ. ლ-ის მიმართ, ბავშვის მიენიჭოს მამის გვარი – ტ-ი და შესაბამისი ცვლილებები იქნეს შეტანილი მ. ლ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში №..., კერძოდ, მამის გრაფაში ნაცვლად გ. ლ-ის გვარისა (ნაცვლად გვარისა „ლ-ი“) მიეთითოს ბავშვის ბიოლოგიური მამის გ. ტ-ის გვარი – ტ-ი (იხ. სარჩელი და დაზუსტებული სარჩელი).

#### **5. მოპასუხეთა შესაგებელი**

5.1. მოპასუხეებმა წერილობით წარდგენილი შესაგებელით არ ცნეს სარჩელი და მისი უარყოფა მოითხოვეს.

#### **6. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა**

6.1. თავდაპირველი სარჩელის მოპასუხემ გ. ლ-ლმა, თავის მხრივ, შეგებებული სარჩელი აღძრა და მოითხოვა: დადასტურდეს გ. ლ-ლის მიერ 2016 წლის 2 აპრილს დაბადებული მ. ლ-ის შვილად აყვანის ფაქტი (იხ. შეგებებული სარჩელი).

#### **7. შეგებებული სარჩელის პასუხად წარდგენილი შესაგებელი**

7.1 შეგებებული სარჩელის პასუხად ბავშვის მამამ წერილობით წარადგინა სარჩელი და არ ცნო შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, შესაბამისად, მისი უარყოფა მოითხოვა.

#### **8. თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

8.1. თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის – არასრულწლოვანის ბიოლოგიური მამის სარჩელი დაკმაყოფილდა შემდეგნაირად: გ. ტ-ი (პირადი №...) ცნობილი იქნა მ. ლ-ის (პირადი №0...) მამად და შევიდა ცვლილება 2016 წლის 2 აპრილს დაბადებული მ. ლ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში (ჩანაწერის ნომერი – ...) და გაიცა დაბადების მოწმობა: მამის გრაფაში გ. ლ-ლის ნაცვლად მიეთითა მამა – გ. ტ-ი და ბავშვის გვარის გრაფაში მიეთითა – ტ-ი.

8.2. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელით მოსარჩელე გ. ლ-ლის სარჩელი.

**8.3. საქალაქო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში დასახელებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:**

8.3.1. მ. ქ-ი გ. ტ-ს შვილს არ აჩვენებს (იხ. სარჩელი; დაზუსტებული სარჩელი);

8.3.2. მას შემდეგ რაც დავა დაიწყო მამობის დადგენის თაობაზე, მ. ქ-მა და მისმა მეორე მეუღლემ გ. ლ-ლმა მიმართეს სამოქალაქო რეესტრს და ცვლილებები შეიტანეს მ-ს დაბადების სააქტო ჩანაწერში, კერძოდ მ-ს მამად მიეთითა გ. ლ-ლი და მ-ს გვარად განისაზღვრა – ლ-ი (იხ. მ. ლ-ის დაბადების მონობის ასლი);

8.3.3. გურჯაანის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის ნ. ქ-ის მიერ 2018 წლის 13 აგვისტოს გაცემული №3826 დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ „2015 წლის მაისში სიყვარულით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გ. ტ-ი დაქორწინდა მ. ქ-ზე. დაოჯახების შემდეგ დასახლდნენ სოფელ ... გ-ს მშობლების სახლში. გ-ს მშობლებმა სიხარულით მიიღეს რძალი. მაისის თვეში გაიგეს, რომ მ-ა ორსულად იყო და მალევე დააყენეს აღრიცხვაზე ქ. თბილისში შპს კლინიკაში „ა. ს-ე“. გ-ს და მ-ს (ყოფილი დედამთილი) მ-ა რეგულარულად დაჰყავდათ ექიმთან ჯანმრთელობის მონიტორინგის მიზნით. 2016 წლის 2 აპრილს იმავე კლინიკაში შეეძინათ მდედრობითი სქესის ახალშობილი. რადგან იმ დროისთვის ბავშვის დედა არასრულწლოვანი იყო, ქორწინების რეგისტრაცია ვერ მოხერხდა მ. ქ-ის ასაკიდან გამომდინარე. გ-ს სიდედრის რეკომენდაციით, ბავშვი გატარდა ბიოლოგიური დედის გვარზე – ქ-ზე. გ. ტ-ი არასრულწლოვანთან ქორწინების გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც კი მისცეს. მოპოვებული ინფორმაციით, თავდაპირველად ახალშობილი მ. ქ-ი ცხოვრობდა მამის ოჯახში. თვენახევრის ასაკში მ-ს შეხვდა ყივანახველა, რის გამოც სასწრაფოდ წაიყვანეს „ჯ-ის“ გურჯაანის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში, საიდანაც კატასტროფის ბრიგადამ ბავშვი გადაიყვანა ქ. თბილისში. საავადმყოფოში 16 დღე-ღამის განმავლობაში მთლიანად მზრუნველობას ახორციელებდა მ-ს ბიოლოგიური ბებია (მამის მხრიდან) – მ. გ-ი. ბიოლოგიური მშობლები: გ. და მ-ა კი იმყოფებოდნენ გ-ს მამის ძმის ოჯახში და იქედან დადიოდნენ ბავშვის სანახავად. ოჯახში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღეში გ-ს და მ-ას დაეძაბათ ურთიერთობები. რის შემდეგაც მ-ა წავიდა სახლიდან. გ. ყოველ კვირა დღეს აკითხავდა შვილს ხან სოფელ ბ-ში, ხან ქალაქ რუსთავში, ხოლო გამზრდელ ბებიას (გ-ს დედას) არ აჩვენებდნენ შვილიშვილს მ-ას ოჯახის წევრები. მ. ქ-ის გათხოვების შემდეგ, გ. ყოველთვის იჩენდა ინტერესს საკუთარი შვილის მიმართ, მაგრამ ყოფილი მეუღლის წინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებს ვერც შვილის ნახვას და ვერც სათანადო ზრუნვას“. ამავე დასკვნის თანახმად გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მცხოვრები ბავშვის ბიოლოგიური მამის – თავდაპირველი მოსარჩელის

ოჯახში არის კეთილსაიმედო გარემო არასრულწლოვან მ. ლ-ის სრულფასოვანი ზრდა-განვითარებისათვის.

8.3.4. კახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკის ე. ტ-ის მიერ 2018 წლის 3 აგვისტოს გაცემული №3688 დასკვნის თანახმად, შესრულდა ბავშვის მ. ლ-ის და მისი მშობლების გ. ლ-ლის და მ. ქ-ის ოჯახის შეფასება. განხორციელებული ვიზიტების და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ გ. ლ-ლისა და მ. ქ-ის ოჯახში ბავშვისათვის შექმნილია უსაფრთხო და კეთილსაიმედო გარემო. გოგონას ყველა საჭიროება დაკმაყოფილებულია. ის იზრდება მზრუნველ და მოსიყვარულე გარემოში. ოჯახში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და განვითარებას. დასკვნის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სასურველია იგი იზრდებოდეს სრულფასოვან ოჯახში, მშობლების გვერდით. ამასთანავე, მას უფლება აქვს, იცოდეს სიმართლე საკუთარი წარმომავლობის შესახებ. მიზანშეწონილია აღნიშნული ინფორმაცია ბავშვისათვის მიწოდებულ იქნეს ასაკის შესაბამისად.

8.3.5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

8.3.6. სსსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დაამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადანყვე-

ტილებში.

8.3.7. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს დადგინდეს თავდაპირველი მოსარჩელის – გ. ტ-ის მამობა მისი მცირეწლოვანი შვილის – მ. ლ-ის მიმართ; შესაბამისად, მ. ლ-ს მიენიჭოს მამის გვარი – ტ-ი და სათანადო ცვლილებები იქნეს შეტანილი მ. ლ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში №..., კერძოდ, მ. ლ-ს მამის გრაფაში ნაცვლად გვარისა „ლ-ი“ მიეთითოს მისი ბიოლოგიური მამის გ. ტ-ის გვარი – „ტ-ი“.

8.3.8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1190-ე მუხლის თანახმად, 1. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით. 2. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. 3. ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს. 4. თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას. ამავე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით ბავშვის მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც ერთმანეთთან დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილ შვილებს.

8.3.9. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მამობის დადგენისათვის არ არის აუცილებელი ზემოხსენებული მუხლის დისპოზიციით განსაზღვრული ყველა პირობის არსებობა, მაგრამ აუცილებლად უნდა არსებობდეს ერთ-ერთი მათგანი. განსახილველი

ნორმის მიხედვით, მამობის დადგენისას აუცილებელია ისეთი გარემოებების არსებობის დადასტურება, რომლებიც უკავშირდება საოჯახო ურთიერთობებს, ოჯახის შექმნის მიზანს ან პოტენციური მამის მიერ მამობის აღიარების ფაქტს. „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ქორწინების გარეშე დაბადებული თითოეული ბავშვის მამობის დადგენა შეიძლება დამყარდეს ან დადგინდეს ნებაყოფლობითი აღიარებით ან სასამართლო გადაწყვეტილებით.

8.3.10. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. ქ-სა და გ. ტ-ს შორის არსებობდა ფაქტობრივი თანაცხოვრება, რა დროსაც შეეძინათ შვილი, 2016 წლის 2 აპრილს დაბადებული მ. ქ-ი, ბავშვის დაბადებისას მოპასუხე მ. ქ-ი იყო არასრულწლოვანი; წყვილმა ვერ მოახერხა სამოქალაქო რეესტრში, ერთობლივად მისვლა, ხოლო შემდეგ მათ დაეძაბათ ურთიერთობა; ბავშვის დედამ უარი განაცხადა ბავშვის ბიოლოგიური მამა (თავდაპირველი მოსარჩელე) ჩაწერილიყო შვილის დაბადების მონმობაში და, შესაბამისად, ბავშვს მინიჭებოდა ბიოლოგიური მამის გვარი. ბავშვის დედამ 2016 წლის ნოემბერში შექმნა სხვა ოჯახი გ. ლ-ლთან (შეგებებული სარჩელის ავტორთან), ხოლო ბავშვის ბიოლოგიური მამის მიერ 2017 წლის 21 ივნისს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის შემდეგ, 2017 წლის 22 აგვისტოს უკვე გ. ლ-ლი (ბავშვის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი) ჩაენერა ბავშვის მამად და ბავშვს მისცეს გვარი – ლ-ი.

8.3.11. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამასა და დედას ეკისრებათ იგივე ვალდებულებები ბავშვთა ზრუნვაზე, როგორც მათ ექნებოდათ ქორწინების შემთხვევაში. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მეორე მუხლი ადგენს თითოეული ბავშვისათვის კონვენციით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო უფლების ხელმისაწვდომობას და მათ დაცვას დისკრიმინაციისაგან ნებისმიერი საფუძვლით. რაც შეეხება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებებს, იგი დაცულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით – საქართველოს კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსით, ასევე „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციით.

8.3.12. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი

ბელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ამავე კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად, ბავშვი რეგისტრირდება დაბადებისთანავე და დაბადების მომენტიდან აქვს სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლება, აგრეთვე რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლება, იცნობდეს თავის მშობლებს და მათი მხრიდან ზრუნვის უფლება. კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად კი, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადანიშნულებების მიღება. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცვლებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

8.3.13. სსკ-ის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. სასამართლო განმარტავს, რომ კანონისმიერი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების მიზანს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს არასრულწლოვანი ბავშვის უპირატესი ინტერესის დაცვა. თავის მხრივ, არასრულწლოვანის „უპირატესი ინტერესი“ („main interest“) – მიიღოს მშობლებისაგან ის სამართლებრივი სიკეთე, რაც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა, რომელიც მონოდებულია უზრუნველყოს ბავ-

შვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით. ამავ რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადანყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

8.4. მოცემულ შემთხვევაში, 2016 წლის 2 აპრილს დაბადებული მ. ლ-ი არის მცირეწლოვანი და მის მიმართ მამობის დადგენა შეესაბამება ბავშვის ინტერესს, ვინაიდან მას აქვს უფლება, შეინარჩუნოს კავშირი როგორც დედასთან, ასევე ბიოლოგიურ მამასთან, აღიარებული იყოს არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების პატივისცემა, მოახდინოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზება, მათ შორის, მიიღოს მშობლებისაგან სარჩო, საცხოვრისი, განათლებაში ხელშეწყობა, მისი აღზრდა-განვითარებისა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო სიკეთეები.

8.5. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავისა და გურჯაანის რაიონული განყოფილების მიერ წარმოდგენილი დასკვნების სამართლებრივი ანალიზის შედეგად, მხარეთა პოზიციის, მათ შორის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის რაიონული განყოფილების წარმომადგენლის პოზიციის, მოცემულ შემთხვევაში მცირეწლოვანი ბავშვის ქეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სასარჩელო მოთხოვნა მამობის დადგენის თაობაზე, მ. ლ-ისათვის ბიოლოგიური მამის გვარის – ტ-ის მინიჭებისა და მ. ლ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ მ. ლ-ის მამის გრაფაში ნაცვლად გ. ლ-ლის გვარისა „ლ-ი“ ბიოლოგიური მამის – გ. ტ-ის გვარის „ტ-ის“ მითითება დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

8.6. შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე – დადასტურდეს გ. ლ-ლის მიერ 2016 წლის 2 აპრილს დაბადებული მ. ლ-ის შეილად აყვანის ფაქტი – მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, ბავშვს ჰყავს როგორც ბიოლოგიური დედა, ასევე – ბიოლოგიური მამა, რომელსაც არ შეუწყვეტია, ბავშვის დაბადების მომენტიდან, ბავშვზე ზრუნვა, ხოლო მას შემდეგ, რაც მ. ქ-ი წავიდა გ. ტ-ის ოჯახიდან, ამ უკანასკნელის მცდელობის მიუხედავად, ბავშვის დედა ბიოლოგიურ მამას არ აჩ-

ვენებდა ბავშვს, ისევე როგორც – მამის ოჯახის წევრებსაც, მოცემულ შემთხვევაში გ-ს დედას. დადგენილია ის გარემოებაც, რომ შეგებებული მოსარჩელის – გ. ლ-ლისათვის ცნობილი გახდა, რომ გ. ტ-ს სარჩელი ჰქონდა შეტანილი სასამართლოში მამად ცნობისა და ბავშვისათვის გვარის მინიჭების თაობაზე, ამის შემდეგ ჩაენერა იგი ბავშვის მამად და ბავშვს მიანიჭა თავისი გვარი „ლ-ი“. მოცემულ შემთხვევაში განსახილველ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს გაუმართლებლად მიაჩნია, ვინაიდან ბავშვის ბიოლოგიურ მამას, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა მ-ა ქ-თან, არ განუცხადებია უარი თავისი შვილის მამობაზე. სსკ-ის 1251-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ ბავშვის გასაშვილებლად, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა.

8.7. გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-7 მუხლის თანახმადაც, ბავშვს აქვს უფლება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სცნობდეს თავის მშობლებს და მას ასევე აქვს უფლება მშობელთა მზრუნველობაზე. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და ზემოხსენებული სამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

## **9. მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

9.1. მოპასუხეებმა (მათ შორის შეგებებული სარჩელის ავტორმა) სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, თავდაპირველი სარჩელის უარყოფა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს შემდეგ ძირითად არგუმენტებზე დაყრდნობით:

9.1.1. სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. ლ-სა და მ. ლ-ს შორის ჩამოყალიბებულია ის ურთიერთობა, რაც ნამდვილ მამა-შვილს შორის შეიძლება არსებობდეს;

9.1.2. სასამართლომ არ იმსჯელა, თუ რატომ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს მისი დაბადების სააქტო ჩანაწერში მოსარჩელის მითითება და რატომ არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს გ. ლ-ლის მიერ მისი შვილად აყვანა და მისი მამად მითითება;

9.1.3. გ. ლ-ლის კეთილშობილება, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოვლინდა, რომ მ. ქ-ს შესთავაზა ბავშვის თავისთან სახლში მიყვანა, ოჯახთან ერთად ცხოვრება და შვილად აღიარება. თავდაპირველი მოსარჩელე არ იყო დაბადების სააქტო ჩანაწერსა და დაბადების მონობაში მითითებული, შესაბამისად, როგორც მამა არა-

ნაირ ინტერესს არ იჩენდა ბავშვის მიმართ. გ. ლ-ლმა სამართლებრივად და მორალურადაც სწორად გადაწყვიტა მ-ს არსებობისათვის მიეცა კანონიერი სახე. იგი მოპასუხესთან ერთად გამოცხადდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განაცხადა, რომ იყო ბავშვის მამა. ბავშვმა იცის, რომ მისი მამა გ. ლ-ლია, მას ჰყავს ძმა ზ. ლ-ი, რომელთან ერთადაც იზრდება და უყვარს. გ-ს მშობლები – პაპა და ბებია იჩენენ მზრუნველ და თბილ დამოკიდებულებას მის მიმართ.

9.1.4. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე აპელანტები წინააღმდეგი არიან სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის და გ. ტ-თან ბავშვის ურთიერთობის. როდესაც ბავშვი გაიზრდება და ექნება დამოუკიდებელი განსჯის უნარი, იგი შეიტყობს სინამდვილეს და თავად გადაწყვეტს ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობის საკითხს, რომელსაც მამად ყოფნის ფაქტი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რაც მ. ქ-ის მეორედ ქორწინების შესახებ შეიტყო.

9.1.5. აპელანტები სადავოდ ხდიან იმასაც, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება და ასეთად უთითებენ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 7.3.7 პუნქტში ასახულ გარემოებებზე (საუბარია ნ. ქ-ის დასკვნაზე – იხ. წინამდებარე განჩინების 8.3.3 ქვეპუნქტი).

## **10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10.2. სააპელაციო სასამართლომ მართებულად დადგენილად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება და გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამართლებრივი მოტივაციისას ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო კოდექსის მეორე კარზე, რომელიც ეძღვნება მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების სამართლებრივ ურთიერთობას. 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. სასამართლომ განმარტა, კანონისმიერი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების მიზანს ერთმნიშვნელოვნად არასრულწლოვანი ბავშვის უპირატესი ინტერესის დაცვა წარმოადგენს.

10.3. ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილია თითოეული ბავშვისათვის კონვენციით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო უფლების ხელმისაწვდომობა და მათი დაცვა დისკრიმინაციისაგან ნებისმიერი საფუძვლით. ამავე კონვენციის მე-7 მუხლით კი ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია, იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში (Mikulic v. Croatia, no. 53176/99 judgment of 07.02.2002), მიიჩნია, რომ, ვინაიდან სადავო იყო მამობის საკითხი და ეს ნაწილი არ იყო დადგენილი, შესაბამისად, ოჯახური ცხოვრება არ იყო სახეზე. ეს შემთხვევა სასამართლომ განიხილა პირადი ცხოვრების ქრილში, რომელიც, სასამართლოს შეფასებით, გულისხმობს ინდივიდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ინტეგრაციას, რაც ასევე მოიცავს უფლებას, სოციალურ იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში სრულად გამოიყენება ბავშვის კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ ამ საქმეზე მოიშველია მის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება (Gaskin v. the United Kingdom) და განაცხადა, რომ პირს აქვს იმის უფლება, მოახდინოს იდენტიფიკაცია და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მისი პიროვნების, მათ შორის ბიოლოგიური მშობლების შესახებ.

10.4. სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით კი, პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე.

10.5. საკასაციო სასამართლო მის მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხ-

ლით აღიარებულია ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რომელიც ვრცელდება კონვენციის ყველა სუბიექტზე. ოჯახურის ცხოვრების პატივისცემის უფლება მოიცავს ასევე ბიოლოგიური მშობლის უფლებას, შვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში რეგისტრირებული იყოს მშობლად და განახორციელოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობები (სსკ-ის 1187-ე მუხლი). ამდენად, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებულია ბავშვის თვითგამორკვევის უფლება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ასევე უფლებას, იცოდეს საკუთარი ბიოლოგიური წარმომავლობა. ამასთან, აღნიშნული უფლების წართმევის შემთხვევაში, ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს; მითითებული კი, არ წარმოადგენს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს. შესაბამისად, სახეზეა არასრულწლოვანის უფლებების დარღვევა, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში მ-ს ფიზიკური და გონებრივი მოუწინააღმდეგობის გამო აკავშირებდეს გ. ლ-ლთან ისეთი ემოციური მიჯაჭვულობა, რომ ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენა ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით აღნიშნული ინტერესი დაცული იქნება ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მოსარჩელის სასარგებლოდ შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით.

10.6. განსახილველ შემთხვევაში, მხარეები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ბავშვისთვის მამის გვარის მისანიჭებლად სავალდებულო არ იყო ქორწინების ფაქტის რეგისტრაცია, თუმცა მოსარჩელეს ამ საკითხზე არ უზრუნია. რაც შეეხება, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, აპელანტებს რაიმე დასაბუთებული არგუმენტები აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოსთვის არ წარმოუდგენიათ.

10.7. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი დაბადების მომენტიდან 18 წლის ასაკამდე. აღნიშნული კანონით განისაზღვრება ბავშვის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. 7 წლამდე ასაკის ბავშვი ქმედუნაროა. მის უფლებას მისი კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მეურვე) ასორციელებს. 7-18 წლამდე ასაკის ბავშვი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა და მისი ნების გამოსავლენად აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, ხოლო სრულად ქმედუნარიანი კი, 18 წლის დადგომისთანავე ხდება (სსკ-ის მე-12 მუხლის პირველი და მეორე ნაწილი; ასევე ამავე კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი). უფრო მეტიც, ფიზიკური პირის უფლება, თავად აირჩიოს სახელი გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით, სახელდობრ, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს

სახელსა და გვარს. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ (სსკ-ის მე-17 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები). აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედება სამომავლოდ დამოკიდებულია თავად არასრულწლოვანის ნებაზე, რომელსაც, სრულწლოვანების მიღწევის დროისათვის, სამართლებრივი შესაძლებლობა ექნება კიდევ ერთხელ გადახედოს მითითებულ საკითხს და თავად განსაზღვროს იგი.

10.8. შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას და გაზიარებული ვერ იქნება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ ბავშვს ჰყავს როგორც ბიოლოგიური დედა, ასევე – ბიოლოგიური მამა, რომელსაც არ შეუწყვეტია ბავშვის დაბადების მომენტიდან ბავშვზე ზრუნვა და, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა მ. ქ-თან, გ. ტ-ს არ განუცხადებია უარი თავისი შვილის მამობაზე.

10.9. პირველი ინსტანციის სასამართლომ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მართებულად მიუთითა სსკ-ის 1251-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, იმ ბავშვის გასაშვილებლად, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა.

10.10. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით აპელანტებმა ვერ დაამტკიცეს საკუთარი მოთხოვნის დასაბუთებლობა, რაც მათი სააპელაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

## **11. მოპასუხეთა საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

11.1 მოპასუხეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, შესაბამისად, თავდაპირველი სარჩელის უარყოფა, მოითხოვეს შემდეგ ძირითად გარემოებებზე დაყრდნობით:

11.1.1. თავდაპირველი სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებულში ბავშვის დედამ ნაწილობრივ ცნო სარჩელი და მიუთითა, რომ ბავშვის ბიოლოგიური მამა არ აქცევდა შვილს ყურადღებას, არ ზრუნავდა მასზე; ბავშვი თბილ ოჯახურ ატმოსფეროში იზრდება და მოპასუხეები არ ეთანხმებიან ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში მოსარჩელის მითითებას; ამ უკანასკნელთან ცხოვრება და ქორწინება იყო იძულებითი და თვალთმაქცური,

მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არიდების მცდელობით განპირობებული; არც ბავშვის ბიოლოგიურ მამას, არც მისი ოჯახის წევრებს არ უცვნიათ ბავშვის დაბადება, არ დასწრებიან მშობიარობას, არ მისულან სამშობიაროში ბავშვის გამოსაყვანად, არ უფიქრიათ იმაზე, რომ ბავშვს სჭირდებოდა კანონიერად ცნობა, მამის მონაცემების რეგისტრაცია სააქტო ჩანაწერში;

11.1.2. კასატორი გ. ლ-ლი არა მხოლოდ მეუღლის (ბავშვის დედის), არამედ თვითონ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე კატეგორიული წინააღმდეგია მისი დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის და ამ ეტაპზე ბავშვის ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობის; როდესაც ბავშვი გაიზრდება, ექნება დამოუკიდებელი განსჯის უნარი, შეიტყობს სინამდვილეს, იგი თავად გადწყვეტს ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობის საკითხს; მოსარჩელეს მამად ყოფნის ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ გააახსენდა, რაც ბავშვის დედის მეორე ქორწინების შესახებ შეიტყო;

11.1.3. კასატორები უთითებენ თავდაპირველი სარჩელის პასუხად აღძრულ შეგებებულ სარჩელზე და იმ გარემოებაზე, რომ ბავშვსა და მისი დედის რეგისტრირებულ მეუღლეს შორის სწორედ ისეთი ურთიერთობაა, როგორც შესაძლოა ბიოლოგიურ მამასთან იყოს; თავდაპირველ მოსარჩელეს არ დაუზუსტებია საკუთარი სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხეთა წრე; მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, გ. ლ-ლს ბავშვი მიღებული ჰყავს, როგორც ბიოლოგიური შვილი, თვითონ და მისი ოჯახი ზრუნავენ და ზრდიან ბავშვს, როგორც საკუთარს, შეგებებული სარჩელის ავტორს სურს როგორც გამზრდელი მშობლის, ისე მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესების დაცვა;

11.1.4 კასატორი უთითებს შეგებებული სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე, კერძოდ: სსკ-ის 1187-ე, 1190.1, 1191.1, 1239-ე მუხლებზე;

11.1.5 კასატორი აღნიშნავს, რომ თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ, სასამართლომ საქმეში დაინტერესებულ პირად ჩააბა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელსაც 2018 წლის 27 ივნისის განჩინებით დაევალა მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლის დანიშვნა და დავის საგანთან დაკავშირებით დასკვნის წარდგენა, რაც მხარეთა სოციალური გარემოს, ეკონომიკური პირობების შეფასებაში გამოიხატა და არა იმაში, თუ რამდენად მისაღები იყო ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მისი ინტერესებისათვის ცვლილებები იმ პირობებში, როდესაც ბიოლოგიურ მამას მიტოვებული ჰყავდა ბავშვი, როდესაც მისი დაბადების დროს არ უზრუნია ბავ-

შვის მამად მითითებაზე სააქტო ჩანაწერში; ბავშვს ყველგან – ბაღში, სამედიცინო დაწესებულებებში, ოჯახის ახლობლების წრეში იცნობენ როგორც გ. ლ-ლის შვილს, ბავშვს ჰყავს იმავე გვარის მატარებელი ძმა – ზ. ლ-ი; თვითონ ბავშვს გ. ლ-ლი მიაჩნია მამად, ისევე როგორც მისი მშობლები – ბებია-პაპად. არავის უფიქრია ბავშვის განცდაზე და სტრესზე, რა დაემართება, როდესაც ერთ დღეს მისთვის უცხო მამაკაცი მივა და ეტყვის, რომ გ. ლ-ლი, რომელსაც მამას ეძახის და ზრუნავს მასზე, არაა მამა და ის პირია მამა, რომელმაც მისი არასრულწლოვანი დედა მიატოვა, ბავშვს გვარი არ მისცა და შვილი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც მისი დედა ხელმეორედ დაქორწინდა;

11.1.6. კასატორი არ ეთანხმება და აკრიტიკებს ბავშვის ბიოლოგიური მამის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში რაიონული სასამართლოს მიერ მითითებულ სამართლებრივ საფუძვლებს (სსკ-ის 1190-ე მუხლი, „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 მუხლები, მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) რეკომენდაცია), რაც ბავშვის ინტერესების მიხედვით არ იქნა გამოყენებული; კასატორთა მტკიცებით, სასამართლოს არ შეუფასებია და ზერელედ იმსჯელა საქმეში წარდგენილ დასკვნებზე, ასევე – ბავშვის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, მის ფსიქიკურ განწყობაზე გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით; უსაფუძვლო და საეჭვოა უპირატესობის მინიჭება გურჯაანის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნისათვის, დაუსაბუთებელია, თუ რის გამო მიენიჭა ერთ დასკვნას მეორესთან შედარებით უპირატესობა;

11.1.7. არც სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ მოიშველია, მაგრამ არ შეაფასა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 06.08.2018 წ. გაცემული დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ ბავშვს მისი წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ასაკის შესატყვისად, დაუსაბუთებელია, რატომ მიენიჭა უპირატესობა 13.08.2018 წ. დასკვნას;

11.1.8 სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებები არ უნდა იქნეს კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული, რადგან განსახილველ საქმეზე განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებებია; მოცემულ შემთხვევაში ბიოლოგიურ მამას მიენიჭა

უპირატესობა იმ დროს, როდესაც ბავშვი მშვილბლის ოჯახში როგორც ბიოლოგიური შვილი ისე იზრდებოდა. კასატორი უთითებს ლ. ქ-ის დისერტაციაზე სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სადაც საუბარია არაბიოლოგიური მამის მიერ მამობის ტვირთის სრულად აღებაზე, რაც ამ უკანასკნელს, როგორც მზრუნველს ანიჭებს უპირატესობას ბიოლოგიურ მამასთან შედარებით;

11.1.9 კასატორები ყურადღებას ამახვილებენ სსკ-ის 1190-ე მუხლში განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს და უთითებენ, რომ ამ დანაწესის მიზანი სწორედ ისაა, რომ როდესაც მამობის ტვირთს იღებს არაბიოლოგიური მამა, რომელიც ბავშვის დედასთან ერთად ერთობლივ მეურნეობას ეწევა, აქვს ერთობლივი ჭერი, ერთად ზრდიან ბავშვს, უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს არაბიოლოგიურ მამას, რომელიც ზრუნავს ბავშვზე. მოცემულ შემთხვევაში შეგებებული სარჩელის ავტორი (კასატორი) სწორედ ის მზრუნველი პირია, რომელმაც ბიოლოგიური მამის მიერ დავის აღძვრის შემდეგ, ბავშვის დედასთან ერთად მიმართა სამოქალაქო რეესტრის სამსახურს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შესატანად და მამის გრაფაში მისი რეესტრაციის მოთხოვნით, რაც იმას ადასტურებს, რომ კასატორისათვის ძვირფასია ბავშვი და შეეცადა გოგონას დაცვას ბიოლოგიური მამის ძალადობისაგან;

11.1.10 კასატორები ასევე აკრიტიკებენ და არ ეთანხმებიან სსკ-ის 1251.1 მუხლის გამოყენებას, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბავშვის სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის დროისათვის ბავშვის დედა ჯერ კიდევ მარტოხელა დედა იყო (სსკ-ის 1191.1 მუხლი) და მას თანხმობა არ სჭიდებოდა. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 1239-ე და 1248-ე მუხლებით; კასატორი ციტირებს პროფესორ მიხეილ ბიჭიას სამეცნიერო ნაშრომიდან „ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი მნიშვნელობა“ და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ დაარღვია ბავშვის კანონიერი და უპირატესი ინტერესი, მისი უფლება, იზრდებოდეს ოჯახში და ატარებდეს გამზრდელი/მშვილბელი მამის გვარს ბიოლოგიური ძმის მსგავსად;

11.1.11 საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, რადგან საკითხი ეხება ბავშვის ინტერესებს, რაც უგულებელყოფილია ბიოლოგიური მამის და სასამართლოს მიერ.

11.1.12. ფაქტობრივ უსწორობაში კასატორი უთითებს სოც. მუშაკის 13.08.2018 წლის №826 დასკვნაში აღწერილ გარემოებებზე (იხ. წინამდებარე განჩინების 8.3.3 ქვეპუნქტი).

## **12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

12.1. საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებაზე და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორებს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვთ წარმოდგენილი.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

15. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, პროცესუა-

ლურ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას და იმსჯელებს იმაზე, თუ ბავშვის ბიოლოგიური მამის თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე (მამობის დადგენა, ბავშვისათვის მამის გვარის მინიჭება და შესაბამისი ცვლილების შეტანა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში ბიოლოგიური მამის გვარის მითითებით), რამდენად აკმაყოფილებს შეგებებული სარჩელისათვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებს გ. ლ-ლის სარჩელი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სსსკ-ის 189-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით /შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელის სარჩელის დაკმაყოფილებას/ და „გ“ ქვეპუნქტით /შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება/ განსაზღვრული საფუძვლების შემონახვა.

16. საქმის მასალების მიხედვით ძირითადი მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებით და საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმულ იქნა გ. ლ-ლი. მესამე პირის სტატუსით საქმეში ჩაბმულმა გ. ლ-ლმა 2018 წლის 4 იანვარს შეგებებული სარჩელი აღძრა ძირითადი მოსარჩელის (შესაბამისად შეგებებული სარჩელის მოპასუხის) გ. ტ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა არასრულწლოვანის შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის მამის გრაფაში მითითებულია არაბიოლოგიური მამა – გ. ლ-ლი, რომელიც მცირეწლოვანის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება. სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს ფაქტობრივი გარემოება, რომ არასრულწლოვანი მ-ს დაბადების სააქტო ჩანაწერში, მამის გრაფაში შეგებებული სარჩელის ავტორის (არაბიოლოგიური მამის) გვარის მითითება მას შემდეგ მოხდა, რაც ბავშვის ბიოლოგიურმა მამამ 2017 წლის 21 ივნისს სარჩელი აღძრა მამობის დადგენის მოთხოვნით, სააქტო ჩანაწერში ცვლილება შეტანილია 2017 წლის 22 აგვისტოს (იხ. წინამდებარე განჩინების 8.3.2 ქვეპუნქტი);

17. სსსკ-ის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით, ხოლო მეორე ნაწილი სამ დამოუკიდებელ წინაპირობას განსაზღვრავს მოსამართლის მიერ შეგებებული სარჩელის მისაღებად, ეს წინაპირობები გამომდინარეობს იქიდან, რომ შეგებებული სარჩელი აღიძვრის სხვა ძირითადი (თავდაპირველი) სარჩელის გამო და თუ ძირითადი სარჩელი არ იქ-

ნებოდა აღძრული, მაშინ შესაძლოა აღძრულიყო დამოუკიდებელი სარჩელის სახით. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ არის მიმართული პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად, არ არის გამოვლენილი სსსკ-ის 189.2-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წინაპირობა, რაც შეეხება ამავე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს (დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტში), „ბ“ ქვეპუნქტის წინაპირობის შემთხვევაში შეგებებულმა სარჩელმა მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა გამოორიცხოს თავდაპირველი (ძირითადი) სარჩელის დაკმაყოფილება, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით განსაზღვრულ შემთხვევას არ უკავშირდება; ბავშვის ბიოლოგიური მამის სასარჩელო მოთხოვნას (მამად ცნობის, ბავშვის სათვის მამის გვარის მინიჭების და დაბადების სააქტო ჩანაწერის შესაბამის გრაფაში გვარის ნაწილში ცვლილების შეტანაზე) ვერ უპირისპირდება, სარჩელის გამოორიცხვის კუთხით არაბიოლოგიური მამის მოთხოვნა შვილად აყვანის შესახებ, რადგან ბიოლოგიურ მამას არათუ უარი არ განუცხადებია მამობაზე და არ გამოუვლენია თანხმობა გაშვილებაზე, არამედ სწორედ ამას მოითხოვს ძირითადი სარჩელით. რაც შეეხება, სსსკ-ის 189.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, თუკი მივიჩნევთ, რომ არსებობს ურთიერთკავშირი პირვანდელ და შეგებებულ სარჩელებს შორის, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს და უკავშირდება ბავშვის უფლებას, იცოდეს მისი წარმომავლობის, ბიოლოგიური მშობლის ვინაობა, იმავდროულად შესაფასებელია არსებობს თუ არა ბიოლოგიური მამის სარჩელის უარყოფისა და არაბიოლოგიური „მამის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები, ბავშვის საუკეთესო და უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, მაშინ ბუნებრივია, რომ შესაძლებელია ურთიერთკავშირი გამოიკვეთოს პირვანდელ და შეგებებულ სარჩელებს შორის.

18. საკასაციო სასამართლო მხარეთა საყურადღებოდ განმარტავს, რომ ნებისმიერ დავაში ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ენიჭება უპირატესობა და ამ თვალსაზრისით ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების სამართლებრივ მოტივაციაში „ბავშვის უფლებათა კონვენციის“, „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციისა და ევროპის საბჭოს სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) რეკომენდაციით განსაზღვრული დებულებების მოხმობა, სავსებით დასაბუთებულია. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განმარტებაში უთითებს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა ბავშვის, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მფლობელ სუბიექტად აღიარება და არა მისი დაცვის ობიექ-

ტად მიჩნევა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (Gnahore v. France, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადანონოს მშობლების ინტერესი (Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მშობელს არა აქვს ისეთი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014, Scozzar and Giunta v. Italy [GC], no. 39211/98 and 41963/98, § 169, ECHR 2000-VIII, and P., C. And S. v. the United Kingdom. no. 56547/00, § 177, ECHR 2002-VI).

19. საკასაციო სასამართლო მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობას ერთ-ერთ საქმეში – „ნ.ნ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი № 71776/12; 2 თებერვალი, 2016 წ.), სადაც სასამართლომ განმარტა: „ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება, აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს“. სასამართლოსათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვა და ინდივიდუალური შეფასება, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს ეხება სადავო საკითხი, უპირატესობა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, №25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, №28945/95, 10.05.2001, პარ.72)“ – იხ. სუსგ-ები: №ას-967-916-2015, 15.12.20156; №ას-1141-1061-2017 17.10.20176; №ას-861-2019, 03.10.20196.

20. განსახილველ შემთხვევაში კასატორთა ძირითადი პრეტენზია იმას ეფუძნება, რომ ბავშვის საუკეთესო და პრიორიტეტული ინტერესების გაუთვალისწინებლად მიიღო სააპელაციო სასამართლომ განჩინება და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. კასატორებს მიაჩნიათ, რომ ბავ-

შემა, შედარებით მოზრდილ ასაკში, თვითონ უნდა მიიღოს გადან-ყვეტილება ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობისა და მისი დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში გვარის ცვლილების შესახებ, რადგან მას ყველა იცნობს არაბიოლოგიური მამის – ლ-ის გვარით და ამავე გვარის ბიოლოგიური ძმა ჰყავს, შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი სტრესი, რაც ბავშვისათვის ბიოლოგიური მამის ვინაობის (შესაბამისად სააქტო ჩანაწერში ამ გვარის მითითებას) გამჟღავნებას მოჰყვება, რადგან ბავშვისათვის მძიმე იქნება „ერთ დღეს“ იმის გაცნობიერება, რომ უცხო მამაკაცია მისი ბიოლოგიური მამა და არა ის პიროვნება, რომელთან ერთადაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს ოჯახურ, მზრუნველ გარემოში.

21. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არ არის გასაზიარებელი კასატორთა არგუმენტები, რადგან ბავშვის უფლებათა კონვენცია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას განსაზღვრავს, ხოლო საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების სასამართლო წესით განხილვის დროს სასამართლო კონტროლი ხორციელდება ინკვიზიციური სამართალწარმოების გზით, რაც დასადაგენ გარემოებათა წრის სასამართლოს ინიციატივით განსაზღვრაში და მტკიცებულებათა გამოთხოვაში გამოიხატება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას (ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი), სასამართლოსათვის უპირატესია ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხარდაჭერა, ამასთან, დასახელებული კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის სტანდარტის დასაცავად, მამა-შვილს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა, მშობელსა და შვილს შორის კონტაქტი არის ის ამოსავალი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო, რათა ოჯახური ცხოვრების კონვენციისეული მიდგომა იყოს დაცული (შეად. სუსგ №ას-1149-1081-2015, 06.05.2016წ.).

22. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში ზავადკა პოლონეთის წინააღმდეგ (Zawadka v. Poland, No 48542/99, 23.06.2005, საბოლოო გახდა 12.10.2005წ.), კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ეროვნული სასამართლოების უმოქმედობა, გადაედგათ ნაბიჯები, რათა მომხდარიყო მომჩივნის – მამის უფლებების რეალიზება, იძულებით აღსრულება, ენახა საკუთარი შვილი, როდესაც დედამ უარი განაცხადა, დამორჩილებოდა მშობლებს შორის ადრე მიღწეულ შეთანხმებას. საბოლოოდ, მომჩივანმა, დაკარგა მუდმივი კონტაქტი ბავშვთან, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს დამდგარა ექვემ მისი უნარები, ყოფილიყო მშობელი.

23. კასატორთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ოჯახური გარემო არ განიმარტება მშობ-

ლებისა და შვილების მარტოოდენ ერთ ჭერქვეშ ცხოვრების უფლებად და ამ გზით ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვად, არამედ ოჯახური გარემო გულისხმობს ასევე ბავშვთან ურთიერთობის ხელმისაწვდომობას მშობლისათვის, რაც სწორედ ბავშვის პრიორიტეტული ინტერესებითაა ნაკარნახევი, რამდენადაც ეს შესაძლებელია იცნობდეს თავის მშობლებს და მიიღოს მათი მხრიდან ზრუნვა (ბავშვის უფლებათა კონვენციის 7.1 მუხლი), ამასთან, კონვენციის თანახმად, სწორედ მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებაა, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მათ შორის, მოქალაქეობა, სახელი (რაც სსკ-ის 17.1 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის სახელსა და გვარს მოიცავს), ოჯახური ურთიერთობა, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა (კონვენციის 8.1 მუხლი); კონვენცია დაუშვებლად მიიჩნევს ბავშვის მიერ თავისი ინდივიდუალობის ნაწილის ან ყველა ელემენტის დაკარგვას და ასეთი შემთხვევისათვის მონაწილე სახელმწიფოებს ავალებს ბავშვის უზრუნველყოფას საჭირო დახმარებითა და დაცვით მისი ინდივიდუალობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განსორიებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

24. განსახილველ შემთხვევაში ბავშვის ბიოლოგიურმა მამამ სასარჩელო წარმოების გზით მოითხოვა მამობის დადგენა და ბავშვის სააქტო ჩანაწერის მამის გრაფაში შესაბამისი ცვლილების შეტანა – ბავშვის გვარად ბიოლოგიური მამის გვარის მითითება. ბავშვის ბიოლოგიური მამის სასარჩელის მოპასუხემ (ბავშვის დედამ) არ უარყო ფაქტობრივი ქორწინება მოსარჩელესთან და თანაცხოვრების დროს ბავშვის შექმნა, მხოლოდ ის გახადა სადავო, რომ ბიოლოგიური მამა არ აკითხავდა ბავშვს და არ მონაწილეობდა მის აღზრდაში; ასევე, ბავშვის დედამ პირადი მოსაზრება გამოხატა, რომ მას არავითარი სურვილი არ აქვს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში ჩაენეროს მოსარჩელე (ბიოლოგიური მამა), დედას ჰყავს მეორე ოჯახი, სადაც ბავშვი უზრუნველად იზრდება და ეს მის ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს (იხ. შესაგებელი).

25. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით გამოვლენილია, რომ ბავშვს დაბადების დროს დედის – მ. ქ-ის გვარი მიენიჭა, მის სააქტო ჩანაწერში, მამის გრაფაში მხოლოდ მას შემდეგ შევიდა ცვლილება 2017 წლის 22 აგვისტოს და მიეთითა

არაბიოლოგიური მამის გვარი, რაც ბიოლოგიურმა მამამ სარჩელი აღძრა 2017 წლის 21 ივნისს; დადგენილია, რომ ბავშვის დედა არ აჩვენებს შვილს ბიოლოგიურ მამას; მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით – გ. ლ-ლმა კი შეგებებული სარჩელი აღძრა 2018 წლის 4 იანვარს და მოითხოვა შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება. ამ გარემოებების მოხმობა საკასაციო სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ საკასაციო სასამართლო გაასაჩივრებელი განჩინების საკასაციო წესით არსებითად განხილვის დროს ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, რაც მისთვის სავალდებულოა (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ასევე, იმის წარმოსაჩენად, რომ კასატორთა პრეტენზია ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებით, მათ შორის, მისთვის ბიოლოგიური მამის გვარის მიინიჭებიდან გამომდინარე შესაძლო მავნე ფსიქოლოგიურ ზეგავლენაზე არაფრითაა დასაბუთებული; საკასაციო სასამართლო კასატორთა პრეტენზიის გასაქარწყლებლად მიუთითებს, რომ 2016 წლის 2 აპრილს დაბადებულ მ. ქ-ს დედის გვარი – ქ-ი მიენიჭა იმავე წლის 5 აპრილს (იხ. დაბადების მოწმობა) და ბავშვი ამ გვარით ირიცხებოდა 2017 წლის 22 აგვისტომდე (იხ. დაბადების მოწმობა), სანამ ბავშვის ბიოლოგიური დედისა და მისი მეუღლის ერთობლივი განცხადების საფუძველზე სააქტო ჩანაწერის მამის გრაფაში ცვლილება არ შევიდა და მ-ს გვარი – ლ-ი არ მიენიჭა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავშვის გვარის – ქ-ის ლ-ით შეცვლას ბიოლოგიური დედისა და მისი მეუღლის გადაწყვეტილება დაედო საფუძველად, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც მცირეწლოვანის ბიოლოგიურ მამას უკვე აღძრული ჰქონდა სარჩელი და ბავშვის გვარის ცვლილება, სრულიად ცხადია, რომ არ უკავშირდებოდა მისი ვინაობის (მშობელთან კავშირის) ცოდნის მიზანს და ამით – ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კასატორთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომ ბავშვს ყველა ლ-ის გვარით იცნობს, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვს ეს გვარი 2017 წლის 22 აგვისტოდან აქვს დარეგისტრირებული, შესაბამისად, ის გარემოება, რომ ბავშვი დედის გვარზე იყო მანამდე, ასევე ცნობილი იყო იმ საახლობლო წრისათვის, რომელიც მ. ქ-ისა და გ. ლ-ლის გულშემატკივრები არიან. ესეც რომ არ იყოს, არაფრითაა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომ აღარაფერი ითქვას იმ უსაფუძვლო მიზეზზე, რომ თითქოსდა შეგებებული სარჩელით მოსარჩელე ცდილობს ბავშვის დაცვას ბიოლოგიური მამის ძალადობისაგან (იხ. წინამდებარე განჩინების 11.1.9 ქვეპუნქტი), რადგან რაიმე ძალადობა ან ასეთის მცდელობა არც შესაგებელში, არც შეგებებულ სარჩელში არაა მიითითებული და ასეთი გარემოება ქვემდგომი ინსტანციის სასამარ-

თლოების მსჯელობის საგანიც კი არ ყოფილა.

26. საკასაციო სასამართლო ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების გათვალისწინებით სრულიად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ბავშვმა უნდა შეინარჩუნოს მისი კავშირი ბიოლოგიურ მამასთან როგორც გვარის სახით, ისე ურთიერთობის გაუმჯობესების გზით და ამ თვალსაზრისით ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და შეფასებებს საქმეში წარდგენილი ფსიქოლოგიური დასკვნების შესახებ. კასატორის მოსაზრების პასუხად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სოციალური მუშაკის 2018 წლის 3 აგვისტოს დასკვნა ასახავს ბავშვის საცხოვრებელ გარემოსა და პირობებს დედასთან და მისი მეუღლის ოჯახში, ხოლო 2018 წლის 13 აგვისტოს დასკვნა – ბიოლოგიური მამის საცხოვრებელ გარემოსა და პირობებს, ორივე დასკვნით იკვეთება ის გარემოება, რომ ბავშვისათვის უსაფრთხო, მზრუნველი და დაცული გარემო არსებობს, როგორც დედის, ისე ბიოლოგიური მამის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილებზე, ხოლო 03.08.2018 წლის დასკვნა უთითებს იმაზე, რომ ბავშვს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი წარმომავლობის შესახებ, შესაბამისი ინფორმაცია კი ასაკის შესაბამისად უნდა მიენდოს. არც ერთი დასკვნა არ იძლევა საფუძველს ბიოლოგიური მამის სასარჩელო მოთხოვნის საწინააღმდეგო მსჯელობისათვის, ხოლო სსკ-ის 1190.8 მუხლის თანახმად, არ არის გამოვლენილი ისეთი გარემოება, რაც მამობის დადგენაზე უარის თქმის საფუძველი გახდებოდა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. მშობლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ შვილების მიმართ, ხოლო მშობლის უფლების განხორციელებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1197-ე, 1199-ე მუხლები). არასრულწლოვანის ბიოლოგიური მამის დადგენა და დაბადების სააქტო ჩანაწერის მამის გრაფაში ბიოლოგიური მამის გვარის მითითება სწორედ ბავშვის სახელის, მისი წარმომავლობის ცოდნის უფლებას უკავშირდება და არ ხელყოფს ბავშვის საუკეთესო და პრიორიტეტულ ინტერესებს. მშობლის უფლებას ყოველთვის გადასწონის ბავშვის უფლება და მისი უპირატესი ინტერესი. ბავშვის ბიოლოგიური მამის დადგენა დაკავშირებულია ასევე მემკვიდრეობის უფლებასთან (სსკ-ის 1309-ე მუხლი), რაც საკუთრების უფლებას უკავშირდება და ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესის დაცვა.

27. კასატორთა მითითება სამეცნიერო ნაშრომებზე მოცემული

შემთხვევისათვის სრულად არათავსებადია, რადგან სამეცნიერო და აკადემიურ კვლევებში გამოთქმული მოსაზრებები კანონის დანაწესს ვერ შეცვლის, ამასთან, განსახილველი დავა არ უკავშირდება მარტოხელა მშობლის სტატუსს (რაც სსკ-ის დამოუკიდებელი მონესრიგებაა) და აქედან გამომდინარე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებებს. იმის გათვალისწინებით, რომ უცვლელად დარჩა ბიოლოგიური მამის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული ძირითადი სარჩელი, უსაფუძვლოა შეგებებული სარჩელის ნაწილის მოთხოვნა, რადგან ამ ნაწილშიც სააპელაციო სასამართლოს კვლევა და დასკვნები სრულად არის გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება თითოეული მხარისათვის, ყველა თანამდებობის პირისათვის სავალდებულოა და მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია (Apostol v. Georgia, §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40), ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40). სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება მხარეთათვის კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, რომელიც აღსრულებადი უნდა იყოს. მამა-შვილს შორის არსებული შესაძლო გაუცხოების აღმოფხვრისა და მათი ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედება ორივე მშობლის პასუხისმგებლობის საკითხია. მოცემულ შემთხვევაში ორივე მშობელზეა დამოკიდებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა და აქედან გამომდინარე შედეგების ბავშვისათვის გასაგებ ენაზე განმარტება ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობის ბალანსის შენარჩუნებით, ფრთხილად და მზრუნველობით. ოჯახური გარემო ბიოლოგიურ მშობლებთან (თუნდაც ერთმანეთთან დაშორებულებთან) ურთიერთობის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომობას ნიშნავს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვით, რაც ასევე დაკავშირებულია ბავშვის წარმომავლობის, მემკვიდრეობისა და შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვასთან.

29. ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაციით უარყოფილია მოპასუხეთა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

30. სსსკ-ის 55.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, ვინა-  
იდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა კასატორების მიერ გა-  
დახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ქ-ის და გ. ლ-ლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-  
რდება.

**არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი  
შეზღუდვის განქორწინებისას**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№ას-877-2019

3 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. ნ. ქ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინალმდეგე მხარე ან  
არასრულწლოვნის დედა) სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. კ-ის  
(შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან არასრულწლოვ-  
ნის მამა) მიმართ, 2013 წლის 21 იანვარს დაბადებული შვილის – თ.  
კ-ის (შემდგომში – არასრულწლოვანი) საცხოვრებელ ადგილად დე-

დის საცხოვრებლის განსაზღვრის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მხარეები 2018 წლის 22 მარტამდე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. თანაცხოვრების პერიოდში, 2013 წლის 21 იანვარს, შეეძინათ შვილი – თ. კ.-ი. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მეუღლეები ფაქტობრივად ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრებისა და განქორწინების შემდეგ თ. კ.-ი ცხოვრობდა დედასთან და კვირაში რამდენიმე დღეს ატარებდა მამასთან. სარჩელის აღძვრამდე ათი დღით ადრე მოპასუხემ შვილი წაიყვანა თავის სახლში მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე და ბავშვის საცხოვრებელ ადგილად თვითნებურად განსაზღვრა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი. მან არ გაითვალისწინებინა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით მისი ფსიქიკისათვის მიყენებული სტრესი და სხვა უარყოფითი შედეგები.

## **2. მოპასუხის, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის პოზიცია:**

2.1. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ შვილის საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრა მოსარჩელესთან შეთანხმებით და მისივე სურვილით. ბავშვი წინააღმდეგია წავიდეს საცხოვრებლად დედასთან. საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას მამა მოქმედებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ვერ აიძულებს შვილს იცხოვროს იქ, სადაც მას არ სურს. ბავშვი თავს კარგად გრძნობს მამის გარემოში, მოპასუხეს შეუძლია შექმნას ყველა პირობა შვილის სრულფასოვანი აღზრდისა და განვითარებისათვის. მოსარჩელე არ იჩენდა სათანადო მზრუნველობას შვილის მიმართ. მთელი დღე სახლიდან იყო გასული და ბავშვის აღზრდა მინდობილი ჰქონდა ძიძას. მამა არ უშლიდა და არც არასოდეს შეუშლის ხელს დედას, იქონიოს ურთიერთობა შვილთან, ამ უკანასკნელის სურვილის არსებობის შემთხვევაში;

2.2. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის განმარტებით, ბავშვთან ურთიერთობისას ორივე მშობელი თანაბარი უფლებებით სარგებლობს და ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირად ანგარიშსწორებას. მშობლებმა დავა უნდა გადაწყვიტონ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. სასურველია, მშობლები თავდაპირველად შეეცადონ ურთიერთობის მოწესრიგებასა და მორიგებას. ბავშვს ურთიერთობა უნდა ჰქონდეს როგორც დედასთან, ისე – მამასთან. ბავშვის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, არასრულწლოვანი აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, მშობლებმა თანაბრად გაინაწილონ პასუხისმგებლობა ბავშვის საჭიროების დაკმაყოფილებისა და სრულფასოვანი აღზრდა-განვი-

თარების ხელშეწყობისათვის. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნას და განმარტა, რომ იმ პირობებში, როცა ორივე მხარეს აქვს ერთნაირი საყოფაცხოვრებო პირობები და თანაბრად შეუძლიათ კარგი პირობები შეუქმნან შვილს, გადამწყვეტია ბავშვის ასაკი. თ-ის ასაკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი;

2.3. ფსიქოლოგიური კვლევა განხორციელდა რამდენიმე მიმართულებით:

### **ქცევაზე დაკვირვება გამოკვლევის პროცესში**

თ. კ-ი ძალიან ლალი და საზრიანი ბავშვია. სიხარულით დადის სეანსებზე. ვიზიტებზე დაჰყავს მამას პუნქტუალურად, გაცდენებისა და გადადების გარეშე. გარეგნულად თ-ი მოწესრიგებული და მოვლილია, მის ყურადღებას ადვილად იპყრობს გარშემო ყველაფერი. ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე, რთული იყო მისი დიაგნოსტიკება და მასთან მუშაობის კონკრეტული სამუშაო ტექნიკის გამოყენება. თ-ი უმეტესწილად თავად ირჩევდა, თუ რისი კეთება უნდოდა და ფსიქოლოგის მითითებას უგულვებელყოფდა. აქედან გამომდინარე, დასკვნა წარმოდგენილია ძირითადად დაკვირვებაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით.

თ-ი ხშირად სთავაზობდა ფსიქოლოგს: „მოდი არ ვილაპარაკოთ!“ „ნუ მეკითხები რაღაცეებს, არ ვიცი რა გიპასუხო!“ რამდენიმე სეანსი ოთახში შესვლამდე პირობის ჩამორთმევით დაიწყო, რომ არ ვისაუბრებდით დედაზე. რთული იყო ბავშვის ნდობის მოპოვება. რადგან პროცესი, რომელშიც იმყოფება, ბევრ უცხო პირს მოიცავს, რომლებიც ბავშვის თქმით „ნ-ს (დედას) ეხმარება“. თ-ი ახსენებს სასამართლო პროცესს, როგორც მისი ცხოვრების გამყოფს. მაგალითად: „სანამ სასამართლოები დაიწყებოდა...“ ბავშვი ხშირად ახსენებს ძიძებს, განსაკუთრებით ერთს (რ.) და ასევე თავის დებს: ა-სა და თ-ს. ბავშვს უყვარს ცხოველები და მამის სახლში ისინი მრავლად ჰყავთ. თ-ი განსაკუთრებული სიყვარულით საუბრობს მამაზე. ყველა მისი ნახატის მთავარი გმირი მამაა, მისი თქმით მას მართო დანოლის ემინია და მამასთან იძინებს. ხშირად ამბობს: „მამა მიყიდის მაგას, მამა მეც წამიყვანს მაქ!“ იხსენებს ისტორიებს, რომლებიც გადახდა მამასთან ერთად. აღნიშნავს იმასაც, რომ მამას ასევე უყვარს მისი ძმა – ლ., თუმცა თ-ს ეს სულაც არ მოსწონს. არ უყვარს ბალი: „ნერვებს მიშლიანო იქ“. ამ ეტაპზე არ დადის ბალში, ცდილობს დედა საერთოდ არ ახსენოს. მასზე შეკითხვებს პასუხობს შემდეგად: „არ მინდა მასზე ლაპარაკი!“, „ნერვებს მიშლის!“, „ასე სახეში მირტყამს!“, „ნასაყვანად რომ მოდის მამინ კი არა, მე-

რე მირტყამს!“ „თუ რამეს მიყიდის, მოვიდეს!“ ბავშვი არ ახსენებს დედის მშობლებს, თუმცა, დედის თქმით, ბავშვი დიდი ხნის განმავლობაში მათ გარემოცვაში იზრდებოდა.

მესამე სეანსზე დედებზე საუბრისას თ-მა დაასკვნა: „დედებს არ სცალიათ, აბა ხომ უნდა იმუშაონ“. საკუთარ დედაზე საუბრისას კი თქვა: „დედა ნერვებს მიშლის“, „ისე, ადრე დედასთან რომ ვიყავი, ხანდახან კარგი იყო, ახლა არაა კარგი!“

ბავშვის სასიამოვნო მოგონებები, რომლებიც დედასთან ცხოვრების პერიოდს მოიცავს, ძირითადად ძიძებთან ურთიერთობებზეა: „ძიძა კარგია, შეგიძლია უთხრა მეთამაშე!“ დედას? „დედას არა, სად სცალია!“ „დედას არ ვუყვარვარ“, „ნაღი, შენი დანახვაც არ მინდაო, მამასაც მასე უთხრა“

ბავშვი ხშირად იმეორებს, რომ მამას ძალიან უყვარს, გიჟდება მასზე. ერთ-ერთ სეანსზე:

- ფეხსაცმელი ვინ გიყიდა?
- დედამ! ის სულ ცდილობს заманить меня!
- ეგ რას ნიშნავს?
- ანუ იმიტომ მყიდულობს, რომ მის სახლში მომიპაროს!
- ვინ გითხრა ეს?
- მამამ!

ფსიქოლოგის ჩართულობით მოხდა დედისა და ბავშვის შეხვედრა, ფსიქოლოგის ოთახში ბავშვი წინასწარ იყო გაფრთხილებული, რომ ამ შეხვედრის შემდეგ არავინ დააძალებდა სადმე წასვლას (დედასთან). დედასთან შეხვედრისას ბავშვი იყო დაძაბული. თავდაპირველად რამდენჯერმე გამოავლინა ნერვული ტიკის ნიშნები. დედას არ უყურებდა, არ ეხებოდა და არ ელაპარაკებოდა. მხოლოდ იღებდა საჩუქრებს. შემდგომ სიტუაცია დამშვიდდა, თუმცა ბავშვი იყო ბოლომდე დაძაბული და გაღიზიანებული. შეხვედრის პროცესში დედაც იყო დაძაბული და დაბნეული. არ იცოდა მის ქმედებებს რა საპასუხო რეაქცია მოჰყვებოდა. დედა ავლენდა მზრუნველობით თვისებებს: „კბილი გექანება მგონი, ხომ?“ „მოდი თმა შეგიკრა თავიდან...“ და ა.შ.

ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე თ-მა თქვა, რომ იყო დედასთან: „დედასთან რომ ვიყავი დამავინწყდა მამასთან დარეკვა და მამა მეჩხუბა“, „მამა სულ გაგიჟდა, ამბობს, რომ შენ ნ-ს ეხმარები!“, „მამამ თქვა, ჩემთან თუ არ იცხოვრებ მოვკვდები“, დედამ? „დედამ არა“.

### **დასკვნა**

#### **დამოკიდებულება დედის მიმართ:**

თ-ი დედაზე არ საუბრობს, ჯიუტად აიგნორებს მის არსებობას. მას ეშინია, რომ დედა მოიპარავს და წაიყვანს მამისგან. დედის დანახვისას ავლენს აგრესიას, უკიდურესად იძაბება (მუჭებს

კრავს). შეინიშნება ამბივალენტური გრძნობები: სიყვარული და ამ გრძნობის გამოხატვის შიშიც. ბავშვს კატეგორიულად არ სურს იცხოვროს დედასთან.

**დამოკიდებულება მამის მიმართ:**

ბავშვს სიამოვნებს მამაზე საუბარი, სულ სიყვარულით და თავისუფლად საუბრობს მასზე. განსაკუთრებულად უყვარს ის და მასთან თავს დაცულად და საიმედოდ გრძნობს. იცის, რომ ყველა სურვილის ასრულება შეუძლია, ასევე დარწმუნებულია მამის მიმართ სიყვარულშიც.

**რა მიზეზი იწვევს ბავშვის აგრესიულ დამოკიდებულებას:**

თ-ს სჯერა, რომ დედა მის მოპარვას აპირებს. კონფლიქტური სიტუაცია მშობლებს შორის, სასამართლოები, ვიზიტები, აღსრულებები იწვევს სტრესს ბავშვში, რომელსაც დედის მიმართ აგრესიით გამოხატავს. ამბივალენტური გრძნობები, რომლებსაც ბავშვი თავად ვერ უმკლავდება ასევე იწვევს აგრესიას, დედის მიმართ უარყოფითი კომენტარები ესმის მამისგანაც.

**მიზეზი, თუ რატომ აცხადებს ბავშვი დედასთან წასვლაზე და მასთან ცხოვრებაზე უარს:**

ბავშვს მოსწონს ის გარემო, რომელშიც ამჟამად იმყოფება. მამასთან თავს დაცულად და საიმედოდ გრძნობს, იზრდება სიყვარულში და მზრუნველ გარემოში. მამა დიდ დროს უთმობს ბავშვს, რაც განსაკუთრებით ხიზლავს ბავშვს. ბავშვთან მუშაობამ აჩვენა, რომ დედასთან ცხოვრების პერიოდში ბავშვი განიცდიდა დედასთან ურთიერთობის ნაკლებობას, ის უფრო მეტს საუბრობს ძიებთან გატარებულ დროსა და ისტორიებზე. დედასთან ცხოვრებისას ის იყო გარკვეულ რეჟიმში და ჩარჩოებში მოქცეული, მამასთან კი ეს ჩარჩოები თითქმის არ არსებობს. ბავშვს უყვარს ბუნება და ცხოველები, რომელთან კავშირიც მამის საცხოვრებელში უფრო მეტად აქვს, ვიდრე დედასთან. ბავშვს სჯერა, რომ დედასთან წასვლით მამას ატკენს გულს, ფიქრობს, რომ ის (მამა) მოკვდება.

**არის თუ არა მამის გავლენა ბავშვის მიმართ დედისადმი აგრესიის გამოხატვისას:**

დედაზე საუბრისას იყენებს ერთსა და იმავე ფრაზებს „ნერვებს მიშლის“ და ასე „სახეში მირტყამს“. შეკითხვებზე პასუხობს: „ნუ მეკითხები, არ ვიცი რა გიპასუხო“ დედაზე საუბრობს უფროსების ლექსიკით: „დედას ჩემი მოსყიდვა უნდა“.

მამა არ ერიდება ბავშვის წინაშე დედაზე უარყოფით კონტექსტში საუბარს, განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ დედას ბავშვი არ აინტერესებს. მამა ხშირად იმეორებს ბავშვის თანდასწრებით – „აგერაა, თავს თუ შეაყვარებს, მე კი არ ვუშლი, მაგრამ მაგას არ უნდა შვილი!“ მამა საყვედურობს, როდესაც დედასთანაა და

მამასთან დარეკვა დაავიწყდა: „მამამ თქვა, მოვკვდები, თუ ჩემთან არ იცხოვრებო“.

ფსიქოლოგთან მუშაობის დასასრულს მამას ეჭვი შეაქვს ფსიქოლოგის მიუკერძოებლობაში – „მამა სულ გაგიჟდა, ამბობს, რომ ნ-ს ეხმარები“, რაც მიუთითებს ბავშვის დედის მიმართ დამოკიდებულებაზე მამის მხრიდან გავლენის არსებობაზე.

### **რეკომენდაციები:**

თ-ის მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ მათ შორის არსებული კონფლიქტის უარყოფითი გავლენის შედეგები, რაც აისახება ბავშვის არა მარტო ამჟამინდელ, არამედ სამომავლო ემოციურ მდგომარეობაზე.

მხარეებმა თავი შეიკავონ ბავშვის თანდასწრებით ერთმანეთის აუგად მოხსენიებისაგან, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. ითანამშრომლონ ერთმანეთთან და უზრუნველყონ იგი ემოციურად სტაბილური გარემოთი.

თავდაპირველად, ბავშვისა და დედის შეხვედრამდე, ბავშვს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ძალით არავინ წაიყვანს არსად, რომ არ მოიპარავენ. რეკომენდებულია დედასთან მარტო შეხვედრები, რა დროსაც დედა მთელ ყურადღებას შვილს დაუთმობს. სასურველია ერთობლივად ჩართვა თამაშებში და ისეთ აქტივობებში, რომელიც უყვარს ბავშვს.

შენწყდეს მამის მხრიდან ზემოქმედება ბავშვზე. საყვედურები დედასთან ურთიერთობაზე და ბავშვის შეშინება მისი სიკვდილით.

მშობლები შეთანხმებულად ესაუბრონ შვილს, იმაზე, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მათ ოჯახში. ესაუბრონ იმაზე, რომ ბავშვი არ არის დამნაშავე, რომ დედ-მამა ერთად აღარ ცხოვრობს, აუხსნან, რომ ცალ-ცალკე ცხოვრების მიუხედავად, ორივეს უყვარს ის. არასდროს მიატოვებენ მას და იზრუნებენ მასზე, ეს ორივემ ხშირად უნდა გაუმეოროს, რომ დადაბლდეს არსებული კონფლიქტური სიტუაციით გამოწვეული შფოთვის დონე.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს შვილთან ურთიერთობისათვის თავდაპირველად განესაზღვრა: პირველი ორი თვის განმავლობაში ყოველკვირეულად, პარასკევს 12:00 საათიდან, კვირა დღის 21:00 საათამდე ღამისთევით, თავის საცხოვრებელ ადგილას წაყვანის უფლებით. დაწესებული რეჟიმით შვილთან ურთიერთობის დაწყებიდან 2 თვის შემდეგ თ. კ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – ნ. ქ-ას საცხოვრებელი ადგილი.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადანყვევტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვევტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. გასაჩივრებული გადანყვევტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მარტის გადანყვევტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დედასთან არასრულწლოვნის ურთიერთობის წესისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე გასაჩივრებული გადანყვევტილება დარჩა უცვლელად, ამასთან, ბავშვის მამას თავის არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის განესაზღვრა ნახვის დღეები იმგვარად, რომ მოპასუხეს შესაძლებლობა ჰქონდეს არასრულწლოვანი შვილი კვირაში 2 (ორი) დღე: შაბათ-კვირას (შაბათს დღის 10:00 საათიდან, კვირა დღის 15:00 საათამდე), ასევე, ზაფხულისა და ზამთრის არდადეგების ნახევარი წაიყვანოს საკუთარ (მამის) ოჯახში (მისამართი: ქობულეთი, ... ქ. №96. ბავშვის წამოყვანა მამასთან და მისი დაბრუნება ძირითად საცხოვრებელ ადგილას უნდა უზრუნველდეს მოპასუხემ საკუთარი ხარჯებით).

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადანყვევტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადანყვევტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადანყვევტილების გაუქმების დასაბუთება:**

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადანყვევტილების კანონიერებას კასატორის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ფარგლებში შეამოწმებს, თუმცა, ვინაიდან წინამდებარე დავაში საკითხის გადანყვევტის ქვაკუთხედს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გამოკვლევა-დადგენა წარმოადგენს, სასამართლო განკარგავს ამავე კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინკვიზიციურობის

პრინციპს და შეეხება იმ საკითხთა წრეს, რომლებიც შესაძლოა აბრკოლებდეს ქვემდგომი სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულებას და არ ემყარებოდეს თ. კ-ის ჭეშმარიტი ინტერესების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასება-გამოკვლევას. საკაცო საჩივრის თანახმად:

1.1.1. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ასევე, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლით, თუმცა, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ყველა ხსენებული ნორმა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად ახდენს. სასამართლომ გადანყვეტილების გამოტანისას იმსჯელა ცალმხრივად, ყურადღება არ გაამახვილა სოციალური მუშაკის იმ დასკვნებზე, რომლებიც მხარს უჭერენ ბავშვის საცხოვრებლის მამის საცხოვრებელი ადგილით განსაზღვრას, ასევე, არ იქნა გათვალისწინებული არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მიერ პაექრობის დროს გამოთქმული მოსაზრება, რომელიც შემდგომ, სააპელაციო სასამართლოს დაჟინებული მოთხოვნის შესაბამისად შეიცვალა. გარდა ამისა, მამის საცხოვრებლის შესაბამისად ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას მხარს უჭერს ფსიქოლოგიც. სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ კასატორი მათ შორის იმ დღეებში, როდესაც არ ჰქონდა ვალდებულება, ხელს უწყობდა მოსარჩელის შეხვედრას შვილთან;

1.1.2. სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები;

1.1.3. სააპელაციო პალატა ადგენს, რომ მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნია ორი უძრავი ქონება, თუმცა, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ეს ქონებები სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულია იპოთეკით, შესაბამისად, მოსარჩელე სრულყოფილი მესაკუთრე მხოლოდ ვალდებულების შესრულების შემდეგ გახდება;

1.1.4. სასამართლო დედის საცხოვრისისა და შემოსავლების განსაზღვრისას ნაწილობრივ სარგებლობს საქმეში არსებული მასალებით. სასამართლო ადგენს, რომ მოსარჩელე 450 აშშ დოლარად ქირაობს 2-ოთახიან კეთილმოწყობილ ბინას, თუმცა, საქმეში არ არის ქირავნობის ხელშეკრულება წარმოდგენილი. მიკვრძობულია სასამართლოს დასკვნაც მოსარჩელის შემოსავლების თაობაზე, რადგანაც სასამართლოს არ დაუდგენია ამჟამად მას აქვს თუ არა სტაბილური შემოსავალი, რამდენადაც მოსარჩელეს არც კი წარმოუდგენია ცნობა შემოსავლების თაობაზე, გარდა ამისა, შეფასებული არ არის მოსარჩელის საკმაოდ დიდი საკრედიტო ვალდებუ-

ლების არსებობა.

1.1.5. სააპელაციო პალატამ საცხოვრებლის განსაზღვრისას იხელმძღვანელა ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის – თ. ბ-ზის განმარტებებით, თუმცა, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელს არც გამოუკვლევია ფაქტობრივი გარემოებები არასრულწლოვნის განწყობისა და მისი ცხოვრების პირობების თაობაზე.

1.1.6. სააპელაციო პალატა მძიმე შეფასებას აძლევს იმ ფაქტს, რომ სკოლამდელი აღზრდის ბავშვმა არ იცის ათეულზე მეტი დათვლა და სხვა, თუმცა, არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბავშვის განვითარება პოზიტიურადაა შეფასებული ფსიქოლოგის კვლევაში.

## **1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, დასაბუთებულ შედავებად განიხილება მხარის პრეტენზია, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტები მხარეთა მიერ შედავებული არ არის:

1.2.1. მოსარჩელე და მოპასუხე ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2018 წლის 22 მარტს მათ შორის შეწყდა ქორწინება განქორწინებით. განქორწინებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში მხარეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ;

1.2.2. თანაცხოვრების პერიოდში, 2013 წლის 21 იანვარს მათ შეეძინათ შვილი – თ. კ-ი. ცალ-ცალკე ცხოვრებისა და განქორწინების შემდეგ თ. კ-ის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა დედის ნ. ქ-ას საცხოვრებელი ადგილი, მამა სისტემატურად ნახულობდა შვილს და ზრუნავდა მასზე;

1.2.3. 2018 წლის 18 მაისს, მოსარჩელის შეტყობინების საფუძველზე, უზნის ინსპექტორ-გამომძიებელმა შეადგინა შემაკავებე-

ლი ორდერი მოპასუხის მიმართ. სარჩელის აღძვრამდე რამდენიმე დღით ადრე ამ უკანასკნელმა შვილი წაიყვანა საკუთარ სახლში და მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე განსაზღვრა მისი საცხოვრებელი ადგილი საკუთარი საცხოვრებელი ადგილით;

1.2.4. სასამართლო დავის მიმდინარეობისას შემომნდა როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობები.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის რაიონული განყოფილების 2018 წლის 10 ივლისის დასკვნა-რეკომენდაციის თანახმად:

ნ. ქ-ას საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს 2-ოთახიანი კეთილ-მონყობილი ბინა, რომელსაც ნ. ქ-ა ქირაობს 450 აშშ დოლარად. სახლი არის ავეჯითა და ტექნიკით განყოფილი, ბავშვს აქვს საწოლი კუთხე დედის საძინებელ ოთახში, ბავშვის ასაკის შესაბამისი ტანსაცმელი და სათამაშოები;

ნ. ქ-ა პროფესიით არის ექიმ-რენიმატოლოგი, კრიტიკული მედიცინის სრული პროფესორი და სწავლების პროგრამის ხელმძღვანელი. 2018 წლის ივლისის თვემდე იგი მუშაობდა „ბათუმის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში“ კლინიკური მენეჯერის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 10 000 ლარს. საქმეში წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2018 წლის 20 ოქტომბრიდან ნ. ქ-ა მუშაობს ქ. თბილისში, კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში კლინიკურ დირექტორად;

ნ. ქ-ამ განმარტა, რომ აპირებს საცხოვრებლად გადავიდეს ქ. თბილისში, სადაც იცხოვრებს მშობლებთან და შვილებთან, მათ შორის, თ. კ-თან ერთად, ... ქ. №7-ში და ...ში. ბინის ფართი 153.2 კვ. მეტრია. ბინა რეგისტრირებულია ნ. ქ-ას საკუთრებაში. ამავე მისამართზე ნ. ქ-ას საკუთრებას წარმოადგენს 31 კვ.მ ბინაც;

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქობულეთის რაიონული განყოფილების 2018 წლის 14 აგვისტოს დასკვნა-რეკომენდაციის თანახმად:

დ. კ-ის საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. ოთახები არის ნათელი, თანამედროვე ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით მონყოფილი. თ-ი იძინებს მამასთან ერთად. აქვს ასაკთან შესაფერისი სათამაშოები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი;

მოპასუხე სახლში ცხოვრობს მშობლებთან ერთად, თუმცა, ისინი მხოლოდ ზაფხულის სეზონს ატარებენ ქობულეთში, ხოლო სხვა დროს ცხოვრობენ თბილისში. თ-ი ამ პერიოდში რჩება სახლში მამასთან და უფროს ნახევარძმასთან ერთად. თ-ის აღზრდას პრაქტიკულად მხოლოდ მამა უძღვება, რომელიც ამავე დროს საქმიანობს საოჯახო სასტუმროში;

ქობულეთში, ... მდებარე სახლი, სადაც ცხოვრობს დ. კ-ი შვილებთან ერთად, რეგისტრირებულია მისი მამის – ნ. კ-ის სახელზე. მოპასუხის დედის – გ. კ-ის სახელზეა რეგისტრირებული ბინა ქ. თბილისში, ...;

დ. კ-ის განმარტებით, იგი თავადაც აპირებს საცხოვრებლად გადავიდეს ქ. თბილისში, თ-ის სასკოლო ასაკის დადგომისთანავე; ქობულეთის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის ნ. ჯ-ზის 2018 წლის 14 აგვისტოს დასკვნის თანახმად:

არ არის რეკომენდებული ბავშვის მონყვეტა იმ ოჯახზე, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს, ჩამოყალიბებული აქვს სოციალური კავშირები, ბავშვი ტრამვირებულია დედის გამო. ამიტომ არ არის რეკომენდირებული მკვეთრი ცვლილებები მისი ცხოვრების ამ ეტაპზე, მაგრამ ბავშვს აუცილებელია ჰქონდეს ურთიერთობა დედასთან. ამავე სოციალური მუშაკის მიერ 2018 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე მიცემული სიტყვიერი განმარტება პრინციპულად ეწინააღმდეგება ხსენებულ დასკვნას, სოც.მუშაკმა დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხი ვერ გასცა მოსამართლის კითხვაზე სად არის რეკომენდირებული განისაზღვროს თ. კ-ის საცხოვრებელი ადგილი. მან პრაქტიკულად უარყო საკუთარ დასკვნა-რეკომენდაციაში მითითებული მსჯელობა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. დასკვნაში კი, განმარტა, რომ ვიზიტისას ნათლად დაინახა დ. კ-ის ოჯახის წევრებთან თ-ის თბილი ურთიერთდამოკიდებულება და მიჯაჭვულობა ბებიასთან და ბაბუასთან. მანვე ახსნა, რომ აღნიშნული გარემოება არ გადაუმონმებია პირადად და მხოლოდ დ. კ-ის განმარტებას დაეყრდნო. სოციალური მუშაკის განმარტებით, ის არასრულწლოვანს მხოლოდ ერთხელ შეხვდა, არ გასაუბრებია ბავშვის დედას, არ შეუმონმებია მისი საცხოვრებელი ადგილი, სოციალური გარემო;

ბათუმის სოციალური სამსახურის სოციალური მუშაკის ნ. მ-ას 2018 წლის 18 ივლისის დასკვნითა და ამავე სამსახურის წარმომადგენელ გ. დ-ზის ახსნა-განმარტებით (06.11.18წ. სხდომის ოქმი):

მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნა წარმოდგენილი ნ. ქ-ას როლი თ-ის ცხოვრებაში. სოციალური მუშაკი პირადად ესაუბრა იმ ადამიანებს, რომლებმაც მიაწოდეს ინფორმაცია დედა-შვილის ურთიერთობაზე. დასკვნის თანახმად და წარმომადგენლის განმარტებით, ნ. ქ-ა კარგი დედაა. თ-ი დაბადებისთანავე და განქორწინების შემდეგ იზრდებოდა დედასთან, ხოლო მამასთან ურთიერთობა ჰქონდა ზაფხულის პერიოდში, სეზონურად. განქორწინების შემდეგ დედა არ უშლიდა ხელს მამასთან ურთიერთობაში. მამასთან

შეხვედრის შემდეგ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიცვალა და იგი აგრესიას იჩენდა დედის მიმართ, რაც უარყოფითად შეფასდა. სოციალური მუშაკის აზრით, მიზანშეწონილია ბავშვი დაუბრუნდეს იმ გარემოს სადაც იზრდებოდა, დედასთან განშორებამ შესაძლებელია მის ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედოს;

1.2.5. შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოპასუხის ძირითადი არგუმენტი არის ბავშვის სურვილი, იცხოვროს მამასთან და მიიჩნევს, რომ ბავშვის სურვილი არის მისი საუკეთესო ინტერესი. მოპასუხის განმარტებით, არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ საცხოვრებელ გარემოს, რომელიც მას მამასთან აქვს შექმნილი, იგულისხმება ეზო და შინაური ცხოველები, თუმცა, მოპასუხე ადასტურებს, რომ აპირებს საცხოვრებლად ქ. თბილისში გადასვლას, მას შემდეგ, რაც დასრულდება მისი ბინის მშენებლობა, რაც, ბუნებრივია, გამოიწვევს გარემოს ცვლილებას;

1.2.6. საქმეში წარმოდგენილი ფსიქოლოგის დასკვნისა და ფსიქოლოგის მიერ სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენების თანახმად (ბავშვთა ფსიქოლოგ ქ. დ-ს დასკვნა), თ-ი იმყოფება მამის ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ და ბავშვის ქმედება ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ყოფილი ცოლის მიმართ მოპასუხის დამოკიდებულებით, შესაბამისად, სახეზეა არა ბავშვის სურვილი, არამედ – მძიმე ფსიქოლოგიური არჩევანი. სპეციალისტის განმარტებით, ამ ზენოლამ უკვე ასახვა ჰპოვა თ-ის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რაც გამოიხატება მის ამბივალენტურ გრძნობებში დედის მიმართ, მის სურვილში თავი აარიდოს დედაზე საუბარს. ფსიქოლოგის ჩვენებით, თ-ი დედასთან დამოკიდებულების გამოსახატავად ხშირად ლაპარაკობს როგორც დიდი ადამიანი, დიდი ადამიანის ფრაზებითა და სიტყვებით. კითხვაზე: „ფენსაცმელი ვინ გიყიდა?“ თ-ი პასუხობს:

- „დედამ! ის სულ ცდილობს „заманить меня!“
- „ეგ რას ნიშნავს?“
- „ანუ იმიტომ მყიდულობს, რომ მის სახლში მომიპაროს!“
- „ვინ გითხრა ეს?“
- „მამამ“.

ფსიქოლოგის განმარტებით, ასე პატარა ბავშვები არ ლაპარაკობენ, მათ არ ჩვევიათ მსგავსი ტერმინების გამოყენება. თ-ი იმეორებს მამის სიტყვებს და გადმოსცემს მის განწყობას. მამის გავლენა იკვეთება შემდეგ სიტყვებშიც: „იმიტომ მყიდულობს, რომ მის სახლში მომიპაროს“. ამ დასკვნის საფუძველს ფსიქოლოგს ის გარემოება აძლევს, რომ ბავშვები, როგორც წესი, ამბობენ „ნამიყ-

ვანოს სახლში“ და არა „სახლში მომიპაროს“. დედასთან წასვლა მისთვის ასოცირდება „მოპარვასთან“. დედაზე საუბარი თ-ს არ უნდა იმ გარემოების გამო, რომ მას აყენებენ არჩევანის წინაშე, ხოლო მის არჩევანს მისი თავისუფალი ნება კი არ განაპირობებს, არამედ შიში, რომ თუ დედასთან წავა დაკარგავს მამას;

ფსიქოლოგის დასკვნით, დ. კ-ი შვილთან ურთიერთობისას იყენებს სიტყვებს, ფრაზებს, რომლის შინაარსიც უკავშირდება მის შესაძლო გარდაცვალებას, იმ შემთხვევაში თუ თ-ი საცხოვრებლად დედასთან გადავა. ფსიქოლოგი ხაზს უსვამს თ-ის ფრაზას „მამამ თქვა, მოვკვდები, თუ ჩემთან არ იცხოვრებო“. ასეთი ფრაზები განაპირობებს თ-ის ღრმა და ქვეცნობიერ შიშს, რომ დაკარგავს მამას, თუ საცხოვრებლად გადავა დედასთან. ამ შიშმა შეიძლება გამოიწვიოს შორსმიმავალი უარყოფითი შედეგები. ესაა მიძიმე კომპლექსების ჩამოყალიბების წინაპირობები მოზარდობასა და ზრდასრულ ასაკში. დედასთან ურთიერთობით გამოწვეული მამის შესაძლო დაკარგვის შიშის გამო თ-ი ვერ გამოხატავს გრძნობებს დედის მიმართ. ცდილობს დამალოს ეს გრძნობები და ურჩევნია მასზე არ ისაუბროს. მან არ იცის რა არის სწორი და რა არა. იგი პასუხობს არა საკუთარ აზრს, არამედ იმას რაც ესმის ხშირად უფროსებისგან.

ფსიქოლოგმა განმარტა, რომ თ-ი ძალიან თავისუფლებისმოყვარე ბავშვია. მამასთან მან იპოვა უსაზღვრო თავისუფლება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. შეუძლია თავისუფლად, უფროსების ჩარევის გარეშე მართოს საკუთარი დღის განრიგი, ითამაშოს, ისეირნოს გვიანობამდე, მამა ხელს არ უშლის და ყველანაირად ახალისებს მის ამ მდგომარეობას. სასამართლო სხდომაზე დადგინდა, რომ თ-ი ხშირად მარტოა, იძინებს გვიან, შესაბამისად იღვიძებს გვიან. მისი რეჟიმი ძირითადად მამის რეჟიმს ემთხვევა. მამასთან ცხოვრებისას თ-ი არ დადის ბაღში. თ-ის ცნობიერებაში მისთვის მიუღებელი შეზღუდვები დედასთან ცხოვრებასთან ასოცირდება. ფსიქოლოგის განმარტებით, მშობელი, რომელიც ბავშვს რეჟიმის ჩარჩოებს უწესებს, შეიძლება მიუღებელი იყო მისთვის, თუ ამის საწინააღმდეგოდ მეორე მშობელი მსგავსი შეზღუდვებისგან ათავისუფლებს.

### **ფსიქოლოგი მხარეებს აძლევს შემდეგ რეკომენდაციას:**

თ-ის მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ მათ შორის არსებული კონფლიქტის უარყოფითი გავლენის შედეგები, რაც აისახება ბავშვის არამარტო ამჟამინდელ, არამედ – სამომავლო ემოციურ მდგომარეობაზე. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ბავშვის თანდასწრებით ერთმანეთის აუგად მოხსენიებისაგან ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. ითანამშრომლონ ერთმანეთთან და უზრუნველ-

ყონ იგი ემოციურად სტაბილური გარემოთი;

თავდაპირველად, ბავშვისა და დედის შეხვედრამდე, ბავშვს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ძალით არავინ არ წაიყვანს მას, რომ არ მოიპარავენ. რეკომენდებულია დედასთან მარტო შეხვედრები, რა დროსაც დედა მთელ ყურადღებას შვილს დაუთმობს. სასურველია ერთობლივად ჩართვა თამაშებში და ისეთ აქტივობებში, რომელიც უყვარს ბავშვს; შეწყდეს მამის მხრიდან ზემოქმედება ბავშვზე. საყვედურები დედასთან ურთიერთობაზე და ბავშვის შეშინება მისი სიკვდილით;

მშობლები შეთანხმებულად ესაუბრონ შვილს, იმაზე, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მათ ოჯახში. ესაუბრონ იმაზე, რომ ბავშვი არ არის დამნაშავე, რომ დედ-მამა ერთად აღარ ცხოვრობს, აუხსნან, რომ ცალ-ცალკე ცხოვრების მიუხედავად, ორივეს უყვარს ის. არასდროს მიატოვებენ მას და იზრუნებენ მასზე, ეს ორივემ ხშირად უნდა გაუმეოროს, რომ დადაბლდეს არსებული კონფლიქტური სიტუაციით გამონეული შფოთვის დონე;

1.2.7. დედასთან ცხოვრებისას თ-ი გარკვეულ რეჟიმს ექვემდებარებოდა. მონესარიგებული იყო მისი თამაშის, კვების, ძილის რეჟიმი, დადიოდა ბაღში. მოპასუხე ვერ ასახელებს ვერცერთ დამაჯერებელ არგუმენტს ნ. ქ-ას მხრიდან მშობლის ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შესახებ, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო თ-ის ჩვეული საცხოვრებელი გარემოდან მონყვეტის საფუძველი;

1.2.8. ბავშვის ფსიქიკაზე ღრმა კვალი დაატყო მშობელთა შორის არსებულმა უთანხმოებამ. ეს მდგომარეობა ვითარდებოდა ბავშვის თვალწინ. ცალ-ცალკე ცხოვრების დაწყების შემდეგ თ-მა ცხოვრება განაგრძო დედასთან, თუმცა, იმის გამო, რომ მოსარჩელე მუშაობდა, ბავშვი ხშირად რჩებოდა ძიძასთან. ამდენად, მისი მოგონებები იმ პერიოდზე სწორედ ძიძასთან გატარებულ დროს უკავშირდება. მოცემული საქმის ფარგლებში მიღებული იქნა ორი დროებითი განკარგულება:

2018 წლის 15 ივნისის დროებითი განკარგულების თანახმად, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დროებით განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი. ამ განჩინების მიღების საფუძველი გახდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის მკვეთრად გამოხატული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ დ. კ-მა შვილის საცხოვრებელი ადგილი პრაქტიკულად ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, თვითნებურად განსაზღვრა, რაც სააგენტოს წარმომადგენლის მოსაზრებით, სრულიად მიუღებელი იყო. მიღებული დროებითი განკარგულება ვერ აღსრულდა. აღმასრულებელი ორგანოს განმარტებით ეს განპირობებული იყო თ-ის მხრიდან

კატეგორიული წინააღმდეგობით;

2018 წლის 4 სექტემბერს სასამართლომ მიიღო ახალი დროებითი განკარგულება, რომლის თანახმად, ნ. ქ-ას განესაზღვრა შვილის ნახვის კონკრეტული დღეები. აღნიშნული განჩინების მიღების შემდეგ შედგა 6 შეხვედრა დედა-შვილს შორის. სასამართლოში წარმოდგენილი ერთად გატარებული დროის ამსახველი ფოტოსურათებითა და ვიდეოებით აშკარად ჩანს თ-ის თბილი და ძალდაუტანებელი დამოკიდებულება დედის მიმართ, აღნიშნულის საწინააღმდეგო არგუმენტი მოპასუხეს არ წარმოუდგენია. მან საკუთარი ახსნა-განმარტების დროს დაადასტურა მსგავსი შეხვედრების აუცილებლობა და ის, რომ მისთვის მისაღებია ამ რეჟიმში ნ. ქ-ას ურთიერთობის გაგრძელება შვილთან;

1.2.9. 2019 წლის 19 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკითხული იქნა თ. კ-ი. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ: მან მხოლოდ 10-ის ფარგლებში იცის თვლა, დაავიწყდა ყველა ლექსი, სიმღერა რაც ადრე იცოდა. ბავშვის განმარტებით, დედას ის დაჰყავდა ბაღში, რაც მას არ უნდოდა, ხოლო მამას არ დაჰყავს ბაღში იმიტომ, რომ ეს მას არ სურს. მამა მას ყველა სურვილს უსრულებს. ბავშვს ყველა ნერვებს უშლის. მის დებს მოიხსენებს მატყუარებად, ხშირად მათ არ ხვდება, რადგან ისინიც ნერვებს უშლიან. მთელი დღე არის სახლში და თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს. გამოკითხვის დროს ბავშვი ყველა სიტყვის ბოლოს აღნიშნავდა, რომ „ეს ყველაფერი მისთვის მამას არ უთქვამს“, ხოლო დედის ხსენებაზე ბავშვს თვალები ცრემლებით ევსებოდა, მაგრამ ცდილობს ეს არ შეიმჩნიოს.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. როგორც უკვე ითქვა, წინამდებარე განჩინების კვლევის საგანს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დადგენა და იმის განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა იქნება ბავშვის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულფასოვანი წევრის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის სასარგებლო. დასახული მიზნის მისაღწევად სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლზე, რომლითაც გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არას-

რულნლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინდადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი თავადვე იძლევა ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეუულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

1.3.2. მოხმობილი კონვენცია ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ

გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნებისმიერი საკითხის გადანყვეტისას, როდესაც იგი არასრულწლოვნის უფლებებს შეეხება, მიუხედავად კანონით რეგლამენტირებული ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპისა, ამოსავალი დებულება ყოველთვის ბავშვის საუკეთესო ინტერესია, რომლის უზრუნველყოფის მიზნით დაიშვება, როგორც ერთ-ერთი, ისე – ორივე მშობლის უფლების შეზღუდვა, თუკი მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

1.3.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ქვმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადანყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

1.3.4. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს იმის თაობაზე, რომ დედის საცხოვრებელი გარემო წარმოადგენს კეთილსამედოს არასრულწლოვნისათვის და მოცემული დავის ფარგლებში, განქორწინებული მშობლებისა და არასრულწლოვნის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის მიზნით უნდა გამოინახოს არა მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის სასარჩელო მოთხოვნაზე სწორი გადანყვეტის საშუალება, არამედ, უნდა დადგინდეს მეორე მშობლის ურთიერთობის წესი ბავშვის მიმართ, თუმცა, საკითხი უნდა გადანყვედეს არა მხოლოდ მოსამართლის, როგორც ინდივიდის პირად გამოცდი-

ლებაზე დაყრდნობით, არამედ – ზედმინწევნით უნდა განიკარგოს სპეციალისტების – ბავშვის კანონიერი წარმომადგენლებისა და ფსიქოლოგების შესაძლებლობანი. საკასაციო პალატამ საქმის ზეპირ განხილვაზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მოიწვია მხარეები, მათ შორის, მესამე პირი და შეეცადა გამოეკვეთა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, თუმცა უშედეგოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს არ გაუტარებია რეალური ზომები და არც დამაჯერებელი ახსნა წარუდგენია საკასაციო სასამართლოსათვის, თუ რატომ ვერ შეძლო საკუთარი მოვალეობების შესრულება მაშინ, როდესაც მსგავსი ტიპის დავების გადანყვეტისას სწორედ არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული სამსახურის – მეურვეობის ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს, გამოიხატოს საკითხის გადანყვეტის გონივრული საშუალება და დაეხმაროს სასამართლოს არასრულწლოვნის ინტერესების დაცვაში. ამ მხრივ მართალია, ფსიქოლოგიური კვლევა ჩატარებულია მოცემული დავის ფარგლებში, თუმცა, იმის გათვალისწინებით რომ საქმის განხილვა, ობიექტურ მიზეზთა გამო, გაჭიანურდა, ამასთანავე, გამოიკვეთა ახალი გარემოებები, მხოლოდ მოსამართლის ინდივიდუალური დაკვირვება არ შეიძლება კვალიფიციური სპეციალისტის ჩარევის გარეშე დაედოს საფუძვლად ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას.

1.3.5. საკასაციო პალატა მიუბრუნდება იმ გარემოებას, რომ დედა-შვილს შორის წარმოშობილი გაუცხოების აღმოფხვრის მიზნით მიღებულ იქნა დროებითი განკარგულებები, რომელთაგან პირველი ვერ აღსრულდა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, განხორციელდა დედა-შვილის 6 შეხვედრა, რაც საფუძვლად დაედო დავის გადანყვეტას. პალატის დასკვნით, მხოლოდ ამგვარი მიდგომა საკითხის არაეფექტური გადანყვეტაა, რამდენადაც გართულებული ურთიერთობის ფონზე მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის შედეგად რეალური დასკვნის გამოტანა არასრულწლოვნის ემოციური დამოკიდებულების თაობაზე არასაკმარისია. პალატის ამგვარი შეფასების საფუძველს სააპელაციო სასამართლოში არასრულწლოვანთან წარმოებული გასაუბრება წარმოადგენს, სადაც არ შეინიშნება დედის მიმართ გაუცხოებისა და იმ შიშის აღმოფხვრის ფაქტი, რაც აშორებს არასრულწლოვანს დედასთან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დროებითი განკარგულების მიზნიდან გამომდინარე, იგი სადავო საკითხის თაობაზე რეალური სურათის წარმოჩენის საუკეთესო და ეფექტიან საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, საოჯახო დავაში საკითხის გამოკვლევის ქმედითი საშუალება უნდა იყოს და არ გააჩნდეს ფორმალისმის ელემენტები. საქმეზე „Cengiz Kinic v. Turkey“ (საჩივრის №16192/06, 6 დეკემბერი, 2011 წელი), სტრას-

ბურგის სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. მოცემული დავა შეეხებოდა განქორწინებული მშობლის საჩივარს, სადაც მომჩივანს სასამართლომ დააკისრა ქორწინებაში დაბადებულ შვილზე მეურვეობა, თუმცა, ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადო ღონისძიებების გატარება, რათა მშობელს შეძლებოდა შვილთან ურთიერთობა. ევროსასამართლოს შეფასებით, კონვენციის მე-8 მუხლი, მართალია, პირველ რიგში, მიზნად ისახავს პირთა დაცვას ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, თუმცა ოჯახური ცხოვრების „დაცულობის“ უფლება აგრეთვე მოიცავს პოზიტიურ ვალდებულებებსაც. ამ დებულების მიხედვით ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის განსხვავება არ არის მოცემული ზუსტი დეფინიციით. ორივე შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს შეპირისპირებულ ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფალი ფარგლებით (იხ. *Keegan v. Ireland*, 26 მაისი, 1994, § 49, Series A n 290). რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას – გადადგას გარკვეული ნაბიჯები, სასამართლო იმეორებს, რომ მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას, გაატაროს ღონისძიებები მის შვილთან გაერთიანების მიზნით და ხელისუფლების ვალდებულებას, განახორციელოს მსგავსი ღონისძიებები (მაგალითისთვის, იხ. *Neulinger and Shuruk v. Switzerland [GC]*, n 41615/07, § 140, ECHR 2010 -., *Ignaccolo-Zenide v. Romania*, n 31679/96, §94, ECHR 2000-I, და *Nuutinen v. Finland*, n 32842/96, § 127, ECHR 2000-VIII). კონვენციის მიზანია დაიცვას არა თეორიული და ილუზორული, არამედ კონკრეტული და ეფექტიანი უფლებები (იხ. *mutatis mutandis, Artico v. Italy*, 13 May 1980, § 33, series A no 37). ოჯახური ცხოვრების დაცულობა მოითხოვს, მშობელსა და შვილს შორის სამომავლო ურთიერთობები მონესრიგდეს ყველა რელევანტური ფაქტორის გათვალისწინებით. მე-8 მუხლის მიხედვით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გადანყვეტილების მიღების ხანგრძლივობა (*W. v. United Kingdom*, 8 ივლისი, 1987, § 65, Series A no 121, *McMichael v. United Kingdom*, 24 თებერვალი, 1995, §§ 87 და 92, Series A no o 307-B, და *Dore v. Portugal*, n o 775/08, § 45, 1-ლი თებერვალი, 2011). ამ კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ გატარებული ღონისძიებების ადეკვატურობა ფასდება მისი განხორციელების სიჩქარით. ნამდვილად, მშობლის უფლებასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის გადანყვეტილებების აღსრულება, საჭიროებს დაუყოვნებლივ მიდგომას, ვინაიდან დროის გასვლას შეიძლება ჰქონდეს გამოუსწორებელი შედეგები შვილებსა და იმ მშობლებს შორის, რომლებიც მათთან ერთად არ ცხოვრობენ

(Ignaccolo-Zenide, cited above, § 102; see also Pini and Others v. Romania, nos. 78028/01 and 78030/01, § 175, ECHR 2004-V). მოცემულ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი იყო, მიიღო თუ არა ეროვნულმა ხელისუფლებამ ყველა ზომა, რომელიც მათ გონივრულად მოეთხოვებოდათ იმ სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც ეხებოდა მშობლისა და შვილის ურთიერთობის აღდგენას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მშობლებისა და ბავშვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არ იქნა მოთხოვნილი 2008 წლის სექტემბრამდე, შესაბამისი დასკვნები კი წარდგენილ იქნა 2008 წლის დეკემბერში, წყვილის დაშორებიდან და მომჩივნის მიერ განქორწინების მოთხოვნის წარდგენიდან დიდი ხნის შემდეგ. ექსპერტთა დასკვნების მიხედვით, მომჩივანსა და შვილს შორის ადეკვატური ურთიერთობის გარეშე დროის გასვლამ იქონია გადამწყვეტი როლი ამ უკანასკნელის მხრიდან მამის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მართალია, სასამართლო აღიარებს, რომ ბავშვის ნახვისა და მეურვეობის უფლების ქრილში მხარეთა მიერ შეუსრულებლობა განსაკუთრებით რთულად მოსაწესრიგებელია სასამართლოების მეშვეობით, თუმცა სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალები არ აჩვენებდა, რომ საოჯახო საქმეების განმხილველმა მოსამართლემ გამოავლინა ძალისხმევა, მხარეების შერიგების მიზნით ან რომ მან გადადგა ნაბიჯები, რათა ხელი შეეწყოს სასამართლო გადანაცვლებების ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის. რაც შეეხება ღონისძიებებს, რომლებიც სავარაუდოდ შესაძლებელს გახდიდა მომჩივანსა და მის შვილს შორის ოჯახური კავშირის აღდგენას, სასამართლომ გაიმეორა, რომ ამ სენსიტიურ სფეროში ბავშვებთან მიმართებით იძულებითი ღონისძიებების გამოყენება მართალია არ არის სასურველი, თუმცა, სანქციების გამოყენება არ უნდა გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, ცალსახად უკანონოდ იქცევა (Maire v. Portugal, n o 48206/99, § 76, ECHR 2003-VII). სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს პოზიტიური ღონისძიებები, რომლებიც მშობლის შვილთან ურთიერთობის აღდგენის შესაბამისია, არ არის აბსოლუტური. მიუხედავად ამისა, ამ პროცესში ჩართული ყველა პირის თანამშრომლობა და შეხედულებები მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტორია (Maumousseau and Washington v. France, n o 39388/05, § 83, 6 December 2007).

1.3.6. ზემოხსენებული განმარტებების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს გასაჩივრებული გადანაცვლებების აღსრულებადობის საკითხს. საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე, როგორც ითქვა, გამოიკვეთა მეურვეობის ორგანოს ზედაპირული დამოკიდებულება ბავშვის ოჯახთან გაერთიანების სა-

კითხის მიმართ, ხოლო, მამა, რომელიც ფორმალურად აცხადებს, რომ არ არის დედა-შვილის ურთიერთობის წინააღმდეგი, კვლავ დედასთან შვილის ურთიერთობის სურვილის არარსებობაზე მიუთითებს, თუმცა, გაურკვეველია ამგვარი სურვილი შეესაბამება თუ არა სინამდვილეს: პირველი ინსტანციის წესით განხილვისას დადგინდა, რომ ბავშვს რეალური დამოკიდებულება არ გამოუთქვამს, არამედ, ის შეიძლება ითქვას, იყო გარკვეული მსხვერპლის როლში, ხოლო, სააპელაციო განხილვის ეტაპზე რაიმე საფუძვლიანი ფსიქოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, მით უფრო როდესაც დროებითი განკარგულებების აღსრულებაზე დაკვირვებით სასამართლო ადგენს დედა-შვილის ურთიერთობის გაუმჯობესების ფაქტს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადანყვეტილების საბოლოო ხასიათი (სსსკ-ის 266-ე მუხლი) ვლინდება არა მხოლოდ სასამართლო პროცედურების დასრულებაში, არამედ, მიღებული გადანყვეტილება დარღვეული/სადავო უფლების ეფექტიანი დაცვის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რათა გადანყვეტილებით საბოლოოდ აღმოიფხვრას სამართლებრივი ურთიერთობის ხარვეზი და მიღებული სიკეთე ეფექტური და ხელმისაწვდომი იყოს მისი სუბიექტებისათვის. სხვაგვარად სამართალწარმოების მიზანი ვერ იქნება განხორციელებული, ხოლო დარღვეული უფლება – აღდგენილი. მოცემული დავის აღსრულებადობის საკითხზე მხვედლობისას საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ბავშვის ობიექტურ სურვილზე და ამ გზით გადანყვეტილების აღსრულების შესაძლებლობაზე (დამატებით იხ. ევროსასამართლოს გადანყვეტილება „ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ“. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არასრულწლოვანთა მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია მათი მამისათვის გადაცემა იმ პირობებში, როდესაც დედის გარდაცვალების შემდეგ არასრულწლოვნები ცხოვრობდნენ დეიდასთან და მათ, მტრული დამოკიდებულების გამო, არ ჰქონდათ სურვილი მამასთან საცხოვრებლად გადასვლის, რომელმაც მოიხადა სასჯელი (პირობითი მსჯავრი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა), ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისაგან თავის დასაღწევად ჩართული იყო ე.წ. „მეტადონის პროგრამაში“, ასევე აღარ აღენიშნებოდა პიროვნული აშლილობის ნიშნები).

1.3.7. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, წინამდებარე განჩინებით არ ცდილობს რაიმე ფორმით შეზღუდოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლით აღიარებული რომელიმე მშობლის ინტერესი, უფრო მეტიც, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მრავლისმომცველ უფ-

ლებაზე, თუმცა მიიჩნევს, რომ ყოველგვარი რისკი, რომელიც არასრულწლოვნის ნორმალურ განვითარებას შეიძლება შეეხოს, უნდა იქნას გამოორიცილებული. ამ მხრივ სასამართლოს მხედველობაში აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Cyliz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (Tuquabo-Tekle and Others v. the Nether-

lands, 2005 წლის პირველი დეკემბერი). კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს. ამ კონტექსტში, მე-8 მუხლის არსებითი მიზანია პირის დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან დისკრეციული ქმედებისაგან. გარდა ამისა, ოჯახური ცხოვრების ეფექტურ „პატივისცემას“ ახასიათებს პოზიტიური ხასიათის ვალდებულებები. მე-8 მუხლი მოიცავს მშობელთა უფლებას, მიიღონ ზომები, რაც საშუალებას მისცემს მათ, ხელახლა გაერთიანდნენ თავიანთ შვილებთან, და ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები. ეს ასევე ეხება იმ შემთხვევებს, სადაც ბავშვებთან კონტაქტთან და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული დავები წარმოიშობა მშობლებსა და/ან ბავშვების ოჯახის სხვა წევრებს შორის. თუმცა, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით, არ არის აბსოლუტური ხასიათის. მშობლის იმ ბავშვთან ხელახალი გაერთიანება, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობს სხვა პირებთან ერთად, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა საჭირო გახდეს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ამგვარი მომზადების ხასიათი და მასშტაბი დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, თუმცა, ყველა დაინტერესებული მხარის გაგება და თანამშრომლობა ყოველთვის იქნება ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. ეროვნულმა ხელისუფლებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს ამგვარი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ამ სფეროში ძალდატანების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს, რადგან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები, ასევე, უფლებები და თავისუფლება და განსაკუთრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი უფლებები. თუკი მშობელთან კონტაქტი საფრთხეს უქმნის ამ ინტერესებს ან აბრკოლებს ამ უფლებების განხორციელებას, ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია შექმნას სამართლიანი ბალანსი. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს (იხ. „ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“).

1.3.8. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის დისპოზიციასზე, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ბავშვის აღზრდის საკითხზე მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო სა-

კითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი აღქმა ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმომადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომადგენლობა პასიური ქმედებებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩასატარებელი სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გააცნობიეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ დაკისრებული მოვალეობანი. მან ეფექტური გზით უნდა განიოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამგვარად კი, ვერ იქნება განხილული წინამდებარე საქმეზე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებები.

#### **1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

#### **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის

თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა განიხილეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **პ ა ვ ი ს ა და გ ა გ ი ი ს უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ა რ ა ს რ უ ლ წ ლ ო ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ს მი მ ა რ თ**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№ას-617-2020

2 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. გ. ბ-იამ (შემდგომში – „პირველი მოსარჩელე“ ან „მამა“) და დ.

გ-ზემ (შემდგომში – „მეორე მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „ბეზია“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ხ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „დედა“) მიმართ და მოითხოვეს არასრულწლოვან შვილთან/შვილიშვილთან – ა. ბ-თან (შემდგომში – „შვილი“, „შვილიშვილი“, „არასრულწლოვანი“ ან „ბავშვი“) ურთიერთობის წესის განსაზღვრა. კერძოდ, მამამ მოითხოვა: ყოველი კვირის პარასკევს 16:00 საათიდან კვირის 10:00 საათამდე, ასევე, ყოველი წლის 22 იანვარს (ბავშვის დაბადების დღე) დღის მეორე ნახევარში ბავშვთან ერთად ყოფნის უფლება; 2) ზაფხულისა და ზამთრის არდადეგების პერიოდში ბავშვის დასასვენებლად წაყვანის უფლება – 14 დღე აგვისტოში და 14 დღე იანვარში; 3) დედის მივლინებაში ყოფნის პერიოდში არასრულწლოვანის მამასთან დარჩენის უფლება. მეორე მოსარჩელემ მოითხოვა ყოველი კვირის ხუთშაბათს 16:00 საათიდან პარასკევს 10:00 საათამდე ბავშვთან ურთიერთობის უფლება.

## **2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:**

2.1. პირველი მოსარჩელე და მოპასუხე 2008 წლიდან 2011 წლამდე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ქორწინების პერიოდში შეეძინათ შვილი. ქორწინების შეწყვეტის შემდგომ მოპასუხე გადავიდა სხვა ბინაში და თან წაიყვანა არასრულწლოვანი შვილიც;

2.2. განქორწინების შემდგომ მოპასუხემ მამას აუკრძალა შვილთან ურთიერთობა. მას ბავშვის ნახვის საშუალება ეძლევა მხოლოდ შორიდან, მისი სკოლაში ყოფნის პერიოდში;

2.3. მოპასუხეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო, ხშირად უწევს მივლინებაში წასვლა, რა დროსაც ბავშვი რჩება მამინაცვალთან მაშინ, როცა მას ჰყავს ბიოლოგიური მამა;

2.4. შვილთან ურთიერთობის აკრძალვის მიუხედავად, მამას არ შეუწყვეტია ბავშვზე ზრუნვა. ამ წლების განმავლობაში იგი იხდის და კერძო ბალის გადასახადს, ასევე, იხდის კერძო სკოლის საფასურსაც;

2.5. მამას ბავშვისთვის სახლში მონყობილი აქვს კომფორტული საძინებელი, ასევე, შექმნილი აქვს მისთვის საჭირო ყველა პირობა;

2.6. რაც შეეხება ბეზიას, მას ძალიან უყვარს თავისი შვილიშვილი, თუმცა იმის გამო, რომ მოპასუხემ აუკრძალა მისი ნახვა, 2011 წლის შემდეგ ბავშვი მხოლოდ შორიდან ჰყავს ნანახი. მიუხედავად ამისა, იგი ზრუნავს შვილიშვილზე და ბანკში მის სახელზე გახსნილი აქვს ანაბარი არასრულწლოვანის მომავლის უზრუნველსაყოფად.

## **3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი:**

3.1. მოსარჩელეებს აქვთ ბავშვთან ურთიერთობის საშუალება

და ისინი შეუზღუდავად ამყარებენ მასთან პირდაპირ კონტაქტს;

3.2. მოპასუხის მივლინებაში ყოფნის დროს ბავშვი ცხოვრობს საკუთარ სახლში, სადაც მასზე ის ადამიანები (მოპასუხის და, მეუღლე და დედა) ზრუნავენ, რომლებიც მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში იღებენ მონაწილეობას მის აღზრდაში. არ იცვლება ბავშვის დღის განრიგი და აქვს ზუსტად ის პირობები, რაც დედასთან ყოფნის დროს;

3.3. მამა ბოროტად იყენებს შვილთან ურთიერთობის უფლებას და მასთან ყოფნის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებს ბავშვის დედას, მის ოჯახს და უკრძალავს მათთან კონტაქტს;

3.4. ბებია უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვზე, შეურაცხყოფას აყენებს ბავშვისათვის ყველაზე ძვირფას და ავტორიტეტულ ადამიანს – დედას და მოიხსენიებს მას დამამცირებელი სიტყვებით, რაც ბავშვს მორალურ ზიანს აყენებს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 დეკემბრის განჩინების საფუძველზე წინამდებარე საქმის მასალები გაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სერვისცენტრს; მასვე დაევალა არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლის დანიშვნა, მხარეთა სოციალური გარემოს, საცხოვრებელი პირობების, კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებების შესწავლა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ბავშვის შეხედულებების გარკვევა და დასკვნის მომზადება.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 აპრილის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით წინამდებარე საქმეში ჩაება არასრულწლოვანი და, მასთან გასაუბრებაზე დასწრების მიზნით, სასამართლო სხდომაზე მინვეულ იქნა თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგი.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 აპრილის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით წინამდებარე საქმეში ჩაბმულ იქნა ფსიქოლოგი და აღნიშნულის უზრუნველყოფა, ამ უკანასკნელის მიერ წერილობითი მოსაზრების (ფსიქოლოგიური გამოკვლევის) წარდგენის სახით, დაევალა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს).

7. მოსარჩელეთა შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 03 ივნისის განჩინებით მიღებულ იქნა დროებითი განკარგულება,

რომლის თანახმად გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მამას არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა ყოველი კვირის შაბათი დღე – 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 03 ივნისის გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; პირველ მოსარჩელეს განესაზღვრა არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის შემდეგი წესი: 1) ყოველი კვირის პარასკევს 16:00 საათიდან წაყვანით, ღამით დარჩენის უფლებით და შაბათს – 18:00 საათზე დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით, ბავშვის ყოველდღიური რეჟიმის და ურღვევლად და მისი ინტერესების გათვალისწინებით (2.1. პუნქტი); 2) ყოველი წლის 22 იანვარს – არასასწავლო დღის შემთხვევაში, 14:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო, სასწავლო დღის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ 18:00 საათამდე, წაყვანითა და დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით (2.2. პუნქტი); 3) ყოველი წლის ზამთრის არდადეგებზე 07 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით, ასევე, ზაფხულის არდადეგებზე 01 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით, წაყვანითა და დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით (2.3. პუნქტი); მეორე მოსარჩელეს შვილიშვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა გადანყვეტილების 2.1., 2.2., და 2.3. პუნქტებით მამასთან დადგენილი ურთიერთობის წესის იგივე პერიოდი, ბავშვის სურვილის შემთხვევაში.

9. მხარეებმა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 თებერვლის გადანყვეტილებით პირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 03 ივნისის გადანყვეტილება და სარეზოლუციო ნაწილის 2.1., 2.2. და 2.3 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მამას არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა: 1) ყოველი კვირის პარასკევი დღე, 15:00 საათიდან წაყვანით, ღამით დარჩენის უფლებით და შაბათს 20:00 საათზე დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით, ბავშვის ყოველდღიური რეჟიმის და ურღვევლად და მისი ინტერესების გათვალისწინებით; 2) ყოველი წლის 22 იანვარს – არასასწავლო დღის შემთხვევაში, 14:00 საათიდან 20:00 საათამდე, ხო-

ლო სასწავლო დღის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ 18:00 საათამდე წაყვანითა და დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით; 3) ყოველი წლის ზამთრის არდადეგებზე 07 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით, ასევე, ზაფხულის არდადეგებზე 01 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით, წაყვანითა და დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით; 4) არასრულწლოვნის დედის სამსახურებრივ მივლინებაში წასვლის შემთხვევაში, მამის საცხოვრებელ ადგილას წაყვანით და დედის დაბრუნების შემდეგ, დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით; მეორე მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; გადანყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

### **11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

11.1. პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს ქორწინების პერიოდში, 2009 წლის 22 იანვარს, შეეძინათ შვილი. მხარეები განქორწინდნენ 2011 წლის 29 ივლისს და ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. არასრულწლოვანი ცხოვრობს დედასთან ერთად;

11.2. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის დიდუბე-ჩუღურეთის სერვისცენტრის დასკვნის მიხედვით, სოციალური მუშაკი იმყოფებოდა ბებიის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე: ქ. თბილისი, ... №2, ბინა №60. ბინა არის სამოთახიანი, სადაც დამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობაა. ბავშვისათვის ბინაში გამოყოფილია საკუთარი ოთახი და ყველა საჭირო ინვენტარი. სოციალურ მუშაკთან საუბრისას გაირკვა, რომ ბებია ზრუნავს შვილიშვილის მომავალზე, ბანკში ბავშვის სახელზე გახსნილი აქვს ანაბარი. სოციალური სამსახურის შეფასებით, ბებიის ოჯახში საკმაოდ ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოა არასრულწლოვნის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისათვის;

11.3. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ვაკე-საბურთალოს სერვისცენტრის დასკვნის მიხედვით, სოციალური მუშაკი იმყოფებოდა პირველი მოსარჩელის კუთვნილ სამსართულიან სახლში, მდებარე: ქ. თბილისი, ... სახლში წესრიგი და სისუფთავეა, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ბავშვის ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური განვითარებისა და ასაკის შესაბამისი სათამაშოებით;

11.4. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის

ვაკე-საბურთალოს სერვისცენტრის დასკვნის მიხედვით, მოპასუხე არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... საცხოვრებელ ბინაში წესრიგი და სისუფთავეა, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ბავშვის ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური განვითარებისა და ასაკის შესაბამისი ნივთებით. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მოხდა გასაუბრება არასრულწლოვანთან. ბავშვი არის, ზოგადად, კეთილგანწყობილი, ფიზიკურად და გონებრივად ასაკის შესაბამისად განვითარებული. ბავშვის თქმით, მას უყვარს მამა, დედა, მამინაცვალი, ბებიები და ნათესავები. ვიზიტის დროს სახლში იმყოფებოდა მოპასუხის მეუღლე, რომელიც ბავშვის ბიოლოგიურ მამასთან მიმართებით მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებდა დედასთან ერთად. მათი თქმით, ბავშვს ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობას უკრძალავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვთან მამა და ბებია მოპასუხეს მუდმივად შეუარაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებენ, რასაც იგი განიცდის. მოპასუხის ოჯახს ჰყავს თანადგომის ძლიერი ქსელი (ბებია, ახლობლები, ნათესავები), რაც მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს ბავშვის სოციალიზაციას. ოჯახში შექმნილი გარემო შეესაბამება ბავშვის აღზრდა-განვითარების ინტერესებს;

11.5. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, სოციალური მუშაკის შეფასებით, პირველ მოსარჩელეს აქვს მშობლის მორალური და ადამიანური სრული პასუხისმგებლობის გრძნობა. მის საცხოვრებელში შექმნილია კეთილსაიმედო გარემო. ბავშვის სწორად აღზრდა-განვითარებისათვის კი, მნიშვნელოვანია, ორივე მშობელმა თანაბრად იზრუნოს ბავშვის აღზრდაზე, რაც საქართველოს კანონმდებლობით, მშობლების ვალდებულებაა;

11.6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 აპრილის განჩინების საფუძველზე, 2019 წლის 18 თებერვალს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგის მიერ მომზადდა ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები. შეფასების მიხედვით, არასრულწლოვანის შემეცნებითი სფეროს თავისებურებები, ლექსიკური მარაგი და ზოგადი ცოდნის დონე შეესაბამება ასაკს. არასრულწლოვანი, ერთი მხრივ, დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს მამის მიმართ და ამბობს, რომ უყვარს და უნდა, რომ მივიდეს მის სანახავად სკოლაში, მეორე მხრივ კი, უარს ამბობს მასთან წასვლასა და დარჩენაზე. იგი ვერ იხსენებს იმ პერიოდის დეტალებს, როცა მამასთან მიდიოდა და ლამითაც რჩებოდა, თუმცა, ამბობს, რომ „იქ არაფერი იყო კარგი, ვერ ვერთობოდი, არ მახსოვს“. ითვლება, რომ ყველაფერი კარგის მსგავსი, კატეგორი-

ული უარყოფა, თავისთავად, არაობიექტური და საეჭვოა. არასრულწლოვანი ფლობს ინფორმაციას და ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, რისი მომსწრეც თვითონ არ ყოფილა და მოვლენას აფასებს უფროსი ადამიანის პოზიციიდან. მის საუბარში ვლინდებოდა მოლოდინი, რომ შესაძლოა ეჭვი შეეტანათ მის ნათქვამში;

11.7. მოცემულ საქმეზე ჩატარებული ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვანი არცერთი მშობლის მიმართ არ არის გაუცხოვებული. ამ ეტაპზე მას დედასთან მეტი მიჯაჭვულობა აქვს. ბავშვის მიერ მამის მიმართ გამოხატულ დამოკიდებულებასთან ერთად ვლინდება დედისადმი მოკავშირეობის ფენომენი, რაც გულისხმობს მშობლების განქორწინების შემდეგ უპირატესობას ერთ-ერთი მათგანის მიმართ და შეზღუდულ კონტაქტს მეორე მშობელთან. დედის კატეგორიული პოზიცია პირდაპირ თუ ირიბად აისახება ბავშვზე. ბავშვის კეთილდღეობისათვის აუცილებელია, რომ მან შეინარჩუნოს თბილი და თანაბარი ურთიერთობა ორივე მშობელთან. დაუშვებელია, რომელიმე მშობელი ან ბავშვის უახლოესი გარემოცვა მას უარყოფითად განაწყობდეს მეორე მშობლის მიმართ. ამით ბავშვს შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიადგოს.

12. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სხდომებზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა არაერთგზის განმარტა, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, მას ურთიერთობა ჰქონდეს როგორც დედასთან, ისე მამასთან, რაც დადებითად იმოქმედებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ და ფიზიკურ განვითარებაზე. მისი მოსაზრებით, რაიმე საფრთხე ან საშიშროება არ გამოკვეთილა, რაც შესაძლოა ბავშვს მამასთან ურთიერთობის შემთხვევაში შექმნოდა. სოციალური სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, მამამ წაიყვანოს არასრულწლოვანი თავის საცხოვრებელ სახლში და მან ერთი ღამე მაინც გაატაროს მამასთან ერთად, რათა თანდათან აღდგეს და ჩამოყალიბდეს მათ შორის ნდობაზე დამოკიდებული, ნორმალური და ჯანსაღი ურთიერთობა. ამასთან, ვინაიდან ბებიასა და შვილიშვილის ურთიერთობაში იყო წყვეტა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე ბებიას ცალკე არ უნდა განსაზღვროდა შვილიშვილთან ურთიერთობისათვის დრო. მას შეეძლო ბავშვთან ურთიერთობა ჰქონოდა მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი იქნებოდა მამასთან.

13. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ არასრულწლოვანის მამინაცვლი უხეშად ერეოდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმო-

მადგენელთან ბავშვის გასაუბრებებში, ხდებოდა ბავშვის ადგილმდებარეობის დამალვა, ზაფხულის განმავლობაში დედა მათ არ ატყობინებდა შეცვლილ მისამართს, რათა არ მომხდარიყო ამ ინფორმაციის მამისათვის გამჟღავნება და ამ უკანასკნელს არ ეცადა ბავშვის ნახვა. სააგენტოს განმარტებით, მამაც და შვილიც მზად არიან ურთიერთობისთვის, ხოლო დედის და მისი ოჯახის მხრიდან ხელი უნდა შეეწყოს მამა-შვილს შორის ურთიერთობის აღდგენას.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2020 წლის 28 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე განხორციელდა არასრულწლოვანთან გასაუბრება. სასამართლოს შეფასებით, არასრულწლოვანს აქვს უნარი გარკვევით და ნათლად ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება, მას უყვარს დედა და მასთან და მის ამჟამინდელ მეუღლესთან აქვს კარგი დამოკიდებულება. რაც შეეხება მამასთან ურთიერთობას, იგი განმარტავდა, რომ არ სიამოვნებდა და არ სურდა მამის საცხოვრებელ სახლში წასვლა და იქ დარჩენა, არ სურდა ახლადშექმნილი დის გაცნობაც, მამასთან ურთიერთობის განხილვისას იძაბებოდა და ტიროდა, არასრულწლოვანი საუბრობდა იმაზეც, რომ მას მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე, ეზოში ან შენობაში, შესვენების დროს სურს მამის ნახვა.

15. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი კატეგორიის დავების განხილვისას სასამართლოს მთავარ საკვლევ გარემოებას წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესის გამოვლენა და მისი უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, ცალკე მცხოვრებ მშობელთან ურთიერთობის განსაზღვრის წესის დადგენა.

16. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება და ა.შ. მშობელი უფლებამოსილია, ბავშვთან დაკავშირებით მიიღოს ყველა ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ბავშვის ინტერესის უპირატესი გათვალისწინებით, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად და გამართლებულად მიიჩნევს, თუმცა, სადავოობის შემთხვევაში სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებების მართებულობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესთან შესაბამისობის დადგენის მოვალეობა ეკისრება.

17. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში არასრულწლოვანის დედა წინააღმდეგია მისმა შვილმა გარკვეული დრო გაატაროს მამასთან, ვინაიდან მამა დედისა და მამინაცვალის მისამართით შეურაცხყოფელ ტერმინებს და ფრაზებს იყენებს, რაც ბავშვზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ამავე

დროულად, თავად არასრულწლოვანს არ სურს მამასთან კონტაქტი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის ახსნა-განმარტებაზე, რომლის თანახმად, იკვეთება დედისადმი მოკავშირეობის ფენომენი, რაც გულისხმობს მშობლების განქორწინების შემდეგ უპირატესობას ერთ-ერთი მათგანის მიმართ და შეზღუდულ კონტაქტს მეორე მშობელთან, ამავდროულად, დედის კატეგორიული პოზიცია აისახება ბავშვზეც. შედეგად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ნახალისებული და, შესაძლოა, პროვოცირებულია მამასთან შეზღუდული ურთიერთობა, რასაც მოწმობს არასრულწლოვანთან გასაუბრების შედეგად მის მიერ ემოციურად გამოვლენილი დამოკიდებულება მამის მიმართ და პარალელურად სურვილი, ნახოს იგი მცირე ხნით, სკოლის ტერიტორიაზე. ეს დამოკიდებულება იმდენად მძაფრია, რომ გოგონა იმეორებს დედის მოსაზრებებს და მეტად მტკივნეულად რეაგირებს მამის ხსენებაზე, რაც თავისთავად ტკივილს აყენებს ბავშვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მამასა და შვილს შორის ურთიერთობისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან სრულიად განსხვავებული შედეგის დადგენა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც ბავშვთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, ყოველი ახალი შეხვედრა უარყოფით ემოციას იწვევს მეორე მშობელში, რომელსაც არ აქვს გაცნობიერებული ბავშვის მამასთან ურთიერთობის აუცილებლობა. სავარაუდოდ, იგივე შეიძლება ითქვას მის მამინაცვალზეც, რაც აისახება ბავშვის ფსიქიკაზე და სულიერ ტრავმას აყენებს მას. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ბავშვი მტკივნეულად რეაგირებს მამის ხსენებაზე, თუმცა, ამავდროულად ვერ ასახელებს კონკრეტულ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა მამასთან ურთიერთობა ან რატომაა კარგი მამინაცვალი.

18. სააპელაციო პალატამ, ასევე აღნიშნა, რომ ოჯახში, რომელშიც იზრდება ბავშვი, მძაფრად გამოხატულ უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ ბავშვის მამის მიმართ და ყოველი ახალი შეხვედრა დაკავშირებულია მათ მიერ გამოვლენილ უარყოფით განწყობასთან, რაც სრულად ისახება ბავშვის ცნობიერებაზე და ტკივილს განაცდევინებს მას. ამის დასტურია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის განმარტება (იხ. წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამატებითი დღეების დაწესება გამოიწვევდა ბავშვზე ზენოლის განხორციელების დამატებით შემთხვევებს, რაც არ იყო მიზანშეწონილი ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობისათვის, შესაბამისად, პალატამ გონივრულად

ჩათვალა არა შეხვედრების რაოდენობის, არამედ შეხვედრების ხანგრძლივობის გაზრდა.

19. სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია კვირა დღეს ბავშვის მამასთან დატოვება. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ბავშვს სკოლიდან დასვენების მხოლოდ ორი დღე აქვს, აქედან ერთი დღე უნდა დარჩეს მამასთან, მეორე დღე კი, სასურველია გაატაროს იქ, სადაც მუდმივად ცხოვრობს.

20. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე, 1202-ე მუხლებით და არასრულწლოვანის ასაკის, ფსიქოლოგის დასკვნების, მხარეთა და სოციალური მუშაკის ახსნა-განმარტებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ არ არსებობდა მამასა და შვილს შორის ურთიერთობისათვის ხელისშემშლელი გარემოება.

21. ბებიისა და შვილიშვილის ურთიერთობასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სოციალური მუშაკისათვის უცნობი იყო ბებიის პოზიცია, ამასთან, მისი ახსნა-განმარტების მოსმენა არც სასამართლო სხდომებზე მომხდარა, შესაბამისად, ვინაიდან ბებია-შვილიშვილის ურთიერთობაში არსებობდა წყვეტა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე ბებიას ცალკე არ უნდა განსაზღვროდა შვილიშვილთან ურთიერთობისათვის დრო. მას ბავშვთან ურთიერთობა შესაძლოა ჰქონოდა არასრულწლოვანის მამასთან ყოფნის პერიოდში. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი დამატებითი შეხვედრა მამასთან და მის ოჯახთან დამატებით ტრავმას აყენებდა ბავშვს.

22. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ბავშვის მეტად ემოციური და მტკივნეული დამოკიდებულება, რომელსაც იგი აწუხებს მამასთან შეხვედრასთან მიმართებით, კიდევ უფრო მეტად არ უნდა დაიძაბოს და დაიტვირთოს ბებიასთან ცალკე ვიზიტების დადგენის სახით.

23. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ და პირველმა მოსარჩელემ წარადგინეს საკასაციო საჩივრები.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 04 ნოემბრის განჩინებით მოპასუხისა და პირველი მოსარჩელის საკასაციო საჩივრები, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

25. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი, ასევე, წარადგინა მეორე მოსარჩელემ. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შვილიშვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ მისი მოთხოვნა.

**26. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო**

## **სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

26.1. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის ოჯახის წევრების მხრიდან მამისა და ბებუის მიმართ წლების განმავლობაში არასრულწლოვნისათვის ჩანერგილი დამოკიდებულება და გადაწყვეტილება ამ ვითარებაზე დაყრდნობით გამოიტანა;

26.2. სასამართლოში ბავშვის გამოკითხვამ აჩვენა, რომ იგი დედის აზრებს იმეორებს, საუბრობს მის დაბადებამდე მომხდარ ამბებზე, რაც ცხადყოფს ბავშვზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას მამისა და ბებუის შესაძულებლად;

26.3. სასამართლომ არ გამოიყენა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-19 მუხლი;

26.4. სასამართლომ ვერ დაადგინა ბავშვის ქეშმარიტი ინტერესი, რაც იმაში გამოიხატა, რომ გადაწყვეტილებაში აისახა დედასთან არსებული მდგომარეობისა და ვითარების შესაბამისი პირობები, ანუ მამა-შვილისა და ბებია-შვილიშვილის შეხვედრისა და ურთიერთობის ვადები და პირობები შეიზღუდა;

26.5. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილება არ შეიცავს განმარტებებს ბებუის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. მასში პირველი და მეორე მოსარჩელე ერთად არიან მოხსენიებულები და ცალკე ბებუის მიმართ რაიმე უფლება არ არის განსაზღვრული. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირველი მოსარჩელე და კასატორი ცალ-ცალკე ცხოვრობენ და შეუძლებელია ერთდროულად ბავშვთან კონტაქტი;

26.6. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საუბარია, რომ ბებუისა და შვილიშვილის ურთიერთობაში არის ნყვეტა, თუმცა აღნიშნული არ არის გამოწვეული კასატორის ბრალეული ქმედებითა და მისი მიზეზით, არამედ განპირობებულია ბავშვზე მისი ოჯახის წევრების მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობით, რაც დადგენილი გარემოებაა;

26.7. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომებზე არ მომხდარა ბებუის მოსმენა. სასამართლო სხდომებს არც არასრულწლოვნის დედა ესწრებოდა, თუმცა სასამართლომ მოითხოვა მისი გამოცხადება, რის შედეგადაც მოხდა დედის პოზიციის მოსმენა. შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო დედის მსგავსად ბებუაც მიეწვია სასამართლო სხდომაზე, რაც არ განახორციელა;

26.8. გადაწყვეტილებაში, ასევე აღნიშნულია, რომ სოციალური მუშაკისთვის უცნობი იყო ბებუის პოზიცია, რაც ვერ ჩაითვლება სათანადო არგუმენტად, ვინაიდან მისი პოზიცია ცნობილი იყო სოციალური სამსახურისთვის და ასახულია ფსიქოლოგის შესაბამის

დასკვნაში;

26.9. არასრულწლოვანს კარგი ურთიერთობა აქვს ბებიასთან. სკოლაში მასთან ვიზიტების დროს ბებიის დანახვაზე ბავშვი მირბოდა და ეხუტებოდა, სთხოვდა ხშირად მისუღიყო, როდესაც ბავშვს მამა აკითხავდა არასრულწლოვანი ბებიას მამის ტელეფონიდან ურეკავდა, ტკბილად მოიკითხავდა და ესაუბრებოდა. ამდენად, სასამართლომ უხეშად დაარღვია ბებიის უფლება ჰქონდეს დამოუკიდებელი ურთიერთობა შვილიშვილთან.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ივლისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ივლისის განჩინებით მეორე მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმობაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 04 ნოემბრის განჩინებით მეორე მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

30. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მეორე მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება და მისი სააპელაციო საჩივრის განხილვის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

31. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-

პუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააკპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

32. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვნის ბებიასთან ურთიერთობის საკითხი. კასატორის/ბებუის ძირითადი პრეტენზია ემყარება იმას, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი და ბებიას ცალკე, დამოუკიდებლად არ განუსაზღვრა შეილემვილთან ურთიერთობის წესი. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის მამა და ბებია ცალ-ცალკე ცხოვრობენ. კასატორი, ასევე მიიჩნევს, რომ გადანყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, ვინაიდან არ შეიცავს განმარტებებს ბებუის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

33. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემონმებამდე, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილოს განსახილველი დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებზე და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე გადანყვეტილების მიღებისას სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპებზე.

34. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 1994 წელს საქართველო შეუერთა „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციას, რომელიც საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების პირველი კრებულია და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ვალდებულება. აღნიშნული კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მიზნით სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისთვის. კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

35. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

36. ამდენად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, იმის მიუხედავად თუ ვინ არიან ამ ქმედების განმახორციელებლები, სახელმძღვანელო პრინციპს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა წარმოადგენს.

37. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა დადგენილია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.

38. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არაერთ გადანყვეტილებაშია გაჟღერებული იდეა, რომ ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას უპირატესს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს (იხ. მაგ. Case of S.L. and J.L. v. Croatia, 07.05.2015, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ არსებობს სრული კონსენსუსი, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში, იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ყველა გადანყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები არის უპირატესი) (იხ. სუსგ საქმე №ას-85-81-2017, 27 ოქტომბერი, 2017 წელი).

39. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლით რეგლამენტირებულია პაპა-ბებიის უფლებები არასრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ. აღნიშნული მუხლის თანახმად, პაპასა და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

40. აღნიშნული სამართლებრივი ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსით პაპა-ბებიისათვის მინიჭებული შვილიშვილთან ურთიერთობის უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნებთან.

41. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადანყვეტილებების მიხედვით,

მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც (იხ. სუსგ საქმე №ას-1112-1047-2015, 04 მარტი, 2016 წელი).

42. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება მოიცავს კავშირებს, სულ მცირე, ახლო ნათესავებს შორის, მაგალითად, როგორცაა ბებია-ბაბუა და შვილიშვილები, ვინაიდან ასეთ ნათესავებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი ოჯახურ ცხოვრებაში. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, ოჯახური ცხოვრების „დაცულობა“ გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას იმ ფორმით იმოქმედოს, რომ შესაძლებელი გახადოს ამ კავშირის ნორმალური განვითარება (იხ. *Case of Marckx v. Belgium*, 13.06.1979; *Case of Scozzari and Giunta v. Italy*, 13.07.2000). მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ გარემოებებში ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის ურთიერთობა არსითა და ხარისხით განსხვავდება მშობელსა და შვილს შორის არსებული ურთიერთობისგან და ამრიგად, მისი ძირითადი არსიდან გამომდინარე, სარგებლობს დაცვის ნაკლები ხარისხით. ბებია-ბაბუის უფლება შვილიშვილებთან ერთად ოჯახური ცხოვრების დაცულობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება უფლებას ბებია-ბაბუამ შეინარჩუნონ ნორმალური ურთიერთობა შვილიშვილებთან პირდაპირი კონტაქტის მეშვეობით (იხ. *Case of Kruskic and Others v. Croatia*, 25.11.2014).

43. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ „ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა“ და „ოჯახური ცხოვრების“ კონცეფციის ფართო გაგებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის ურთიერთობა ერთ-ერთ მშობელსა და ბებია-ბაბუასთან არ შეიძლება მხოლოდ კანონის ფორმალურ დანაწესზე იყოს დამყარებული (რომ ამ პირებს კანონი ანიჭებს სრულ შესაძლებლობასა და ვალდებულებას, ზრუნავდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ბავშვის აღზრდაში, ხოლო მეორე მშობელს, რომელთანაც იმყოფება ბავშვი, არ აქვს ამ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა), ასეთ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ბავშვებისა და მშობლების, აგრეთვე, ბებია-ბაბუის ურთიერთდამოკიდებულება, ბავშვების ასაკი, ემოციური კავშირი, ფსიქოლოგიური და ემოციური ფაქტორები, რაც ბავშვის ოჯახთან ინტეგრირებას შეუწყობს ხელს (იხ. სუსგ საქმე №ას-85-81-2017, 27 ოქტომბერი, 2017 წელი; საქმე №ას-578-2019, 28 ივნისი, 2019 წელი).

44. საკასაციო სასამართლო, ასევე განმარტავს, რომ განსახილველი კატეგორიის დავის გადასაწყვეტად, ერთი მხრივ, უნდა შეფასდეს ბებიის საცხოვრებელი პირობები და სოციალური გარემო, ვინაიდან, ბებიასთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა პირობებში მოუწევს არასრულწლოვანს ყოფნა, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა დადგინდეს ბავშვის ფსიქო-ემოციური განწყობა ბებიის მიმართ და მათი ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან, ბებია-შვილიშვილის ურთიერთობაზე მსჯელობისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მშობლებთან, არამედ ისეთ ახლო ნათესავებთან ურთიერთობა, როგორებიც არიან ბებია-ბაბუა, ვინაიდან მათ არასრულწლოვანის ოჯახურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

45. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სოციალური სამსახურის მიერ, სასამართლოს დავალების შესაბამისად, შესწავლილ იქნა ბებიის საცხოვრებელი გარემო. შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ბებიის საყოფაცხოვრებო პირობები დამაკმაყოფილებელია და არასრულწლოვანის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისთვის შექმნილია ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო; ბავშვისათვის ბინაში გამოყოფილია საკუთარი ოთახი და ყველა საჭირო ინვენტარი. რაც შეეხება ბებიის მიმართ არასრულწლოვანის დამოკიდებულებასა და ემოციურ განწყობას, მას არ სურს ბებიასთან ურთიერთობა. აღნიშნული ირკვევა, როგორც არასრულწლოვანთან ჩატარებული გასაუბრებიდან (იხ. 01.03.2019წ. სხდომის ოქმი 11:16:07-11:16:30სთ), ასევე საქმეში არსებული 18.02.2019წ. ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგებიდან, სადაც მითითებულია შემდეგი: „ბებიასთან დაკავშირებით, ასევე ამბობს „ბებია ცუდად ექცეოდა დედას, მაშინ არ ვიყავი დაბადებული. საერთოდ არ მინდა, რომ მოვიდეს. დედას ცუდად ექცეოდა ბებია, მისი ძმა“. ამასთან, დადგენილია, რომ ბებიისა და შვილიშვილის ურთიერთობაში არსებობს წყვეტა. მათ დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონიათ პირდაპირი კონტაქტი და ურთიერთობა. გარდა აღნიშნული ზოგადი და მწირი ინფორმაციისა, საქმეში არსებული სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დასკვნა არ შეიცავს დეტალურ და სრულყოფილ ინფორმაციას ბებია-შვილიშვილის ურთიერთდამოკიდებულებისა და ბავშვის მიერ ბებიასთან ურთიერთობის კატეგორიული უარყოფის გამომწვევი მიზეზების ან/და მათ შორის ურთიერთობის აღდგენის გზებისა და საშუალებების შესახებ. ამის თაობაზე სოციალურ მუშაკსა და ფსიქოლოგს არც სასამართლო სხდომაზე გამოკითხვისას მიუციათ ახსნა-განმარტება.

46. დადგენილია, ასევე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ბებიას არასრულწლოვან შვილიშვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა მამასთან დადგენილი ურთიერთობის წესის იგივე პერიოდი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტი), ბავშვის სურვილის შემთხვევაში. ანუ, მას არასრულწლოვანთან ურთიერთობის უფლება მიეცა მხოლოდ ბავშვის მამასთან ყოფნის პერიოდში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: ბებიისა და შვილიშვილის ურთიერთობაში არსებობდა წყვეტა; სოციალური მუშაკისათვის უცნობი იყო ბებიის პოზიცია; ბებიის ახსნა-განმარტების მოსმენა არც სასამართლო სხდომებზე მომხდარა; ბავშვის მეტად ემოციური და მტკივნეული დამოკიდებულება, რომელსაც იგი ავლენდა მამასთან შეხვედრასთან მიმართებით, კიდევ უფრო მეტად არ უნდა დაძაბულიყო და დატვირთულიყო ბებიასთან ცალკე ვიზიტების დადგენის სახით.

47. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულია არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესი. კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია (იხ. სუსგ საქმე №ას-1122-1078-2016, 01 მარტი, 2017 წელი).

48. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი სააპელაციო სასამართლო, საკითხის განსაკუთრებული თავისებურებიდან გამომდინარე, სადავო საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ბებიასთან გასაუბრებას, მას შეეძლო გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ინკვიზიციურობის საპროცესო საშუალება და სასამართლო სხდომაზე მოეწვია ბებია, რათა

მოესმინა მისი ახსნა-განმარტება, რაც მას არ გაუყეუებია.

49. საკასაციო პალატა, ასევე იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალური მუშაკისთვის ცნობილი იყო ბებიის პოზიცია. სააპელაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ ბებიის სარჩელი არასრულწლოვან შვილიშვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ, თავისთავად ცხადყოფს ბებიის პოზიციას, რომ მას სურს შვილიშვილთან ურთიერთობა. აღნიშნულს, ასევე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბებიას შვილიშვილის სახელზე ბანკში გახსნილი აქვს ანაბარი, რომლითაც სურს მისი მომავლის უზრუნველყოფა. ეს გარემოებები ასახულია სოციალური მუშაკის დასკვნაშიც.

50. რაც შეეხება ბებია-შვილიშვილის ურთიერთობის წყვეტას, სადავო არაა, რომ აღნიშნული გამოწვეულია დედასა და ბებიას შორის არსებული კონფლიქტური დამოკიდებულებით, რაც, ზოგადად, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე. სოციალური მუშაკის შეფასებით, არასრულწლოვნისა და ბებიის დამოუკიდებელი ურთიერთობა, მათ შორის ურთიერთობის წყვეტის გათვალისწინებით, მხოლოდ დასაწყისი ეტაპისთვის იყო მიზანშეუწონელი, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ბებია-შვილიშვილის ურთიერთობის განსაზღვრისას, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ უმსჯელიათ მათ შორის ადაპტაციის პერიოდის განსაზღვრის შესაძლებლობაზე. ის გარემოება, რომ ბავშვს ბებიასთან ურთიერთობა დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონია, თავისთავად არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და სასამართლო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბებია-შვილიშვილის გაერთიანებასა და მათ შორის ურთიერთობის აღდგენას, თუკი არ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც, ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარდაუვლად გამოორიცხავენ მათ შორის ურთიერთობის აღდგენას.

51. ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმ საფუძველით, რომ სოციალურმა სამსახურმა არ გადადგა „ადეკვატური ან საკმარისი ნაბიჯები“ ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის „თითქმის სრულად განყვეტილი“ ურთიერთობის შესანარჩუნებლად (იხ. *Case of Beccarini and Ridolfi v. Italy*, 07.12.2017). სხვა საქმეზე, იმავე სასამართლომ, ასევე დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან ხელისუფლებამ არ გასწია აუცილებელი ძალისხმევა, რათა დაეცვა ოჯახური კავშირი ბებიას, ბაბუასა და შვილიშვილს შორის, რომელთაც ერთმანეთი თორმეტი წლის განმავლობაში არ ენახათ (იხ. *Case of Manuello and Nevi v. Italy*, 20.01.2015). აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გან-

ნყოფა პაპა-ბებებისა და შვილიშვილებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით. აუცილებელი და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სასამართლო მხარს უჭერს მათ შორის კავშირის შენარჩუნებასა და აღდგენას. ამ სულისკვეთებას იზიარებს საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკაც.

52. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას სათანადოდ არ გამოიკვლია არასრულწლოვნის ბებიასთან ურთიერთობის მიზანშეწონილობა. კერძოდ, დეტალურად არ გამოიკვლია ბებიისა და შვილიშვილის ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის ურთიერთობის დეფიციტის გამომწვევი მიზეზები და არ იმსჯელა ურთიერთობის აღგენის გზებსა და შესაძლებლობებზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკის შეფასებით არასრულწლოვნისა და ბებიის დამოუკიდებელი ურთიერთობა მხოლოდ დასაწყისი ეტაპისთვის იყო მიზანშეწონილი, სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა ბებია-შვილიშვილის ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ, რომ არ უმსჯელია ბებიასა და შვილიშვილს შორის ადაპტაციის პერიოდის განსაზღვრაზე.

53. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია.

54. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს

და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. გ-ზის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დ. გ-ზის სააპელაციო საჩივარი და საქმე დ. გ-ზის სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **შვილების მონაწილეობა პროცესუნარო მომზადების რჩენაში**

### **გადანყვებითიება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-494-462-2017

12 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. დ. ჩ-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მამა“, „მშობელი“, „კატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ჩ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „შვილი“) მიმართ

და მოითხოვა მოპასუხისთვის ყოველთვიურად, ალიმენტის სახით, 500 (ხუთასი) ლარის გადახდის დაკისრება.

**2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:**

2.1. მოსარჩელე არის მოპასუხის მამა;

2.2. მოსარჩელეს ესაჭიროება ყოველთვიურად დამატებითი ხარჯების განევა შრომისუნარობის გამო. ლარის მკვეთრი გაუფასურებისა და სანარმოს დახურვის შემდეგ მოსარჩელეს აღარ ჰყოფნის ის პენსია, რომელსაც იგი იღებს, როგორც სამხედრო ვეტერანი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

2.3. მოპასუხეს არ ჰყავს თავისი ოჯახი, რომელიც რჩენას საჭიროებს;

2.4. მოპასუხის ყოველთვიური შემოსავალი არის 3000 ლარი, საიდანაც ნახევარი მას ერიცხება საბანკო ანგარიშზე.

**3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:**

3.1. მოსარჩელის მოთხოვნა ალიმენტის დაკისრების თაობაზე არ არის გამართლებული არც ფაქტობრივი, არც იურიდიული და არც მორალური თვალსაზრისით;

3.2. მოსარჩელე არ საჭიროებს შვილისაგან რჩენას, რადგან მას საკუთრებაში აქვს როგორც უძრავ-მოდრავი ქონება, ასევე – საკმარისი შემოსავალი პენსიის სახით;

3.3. მოსარჩელეს კონფლიქტი აქვს მოპასუხესთან და მთელ ოჯახთან. 2015 წლის 8 აგვისტოს მოსარჩელესა და მის მეუღლეს (მოპასუხის დედას) შორის მოხდა კონფლიქტი, კერძოდ, მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას მისი მეუღლის მიმართ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდა ექსპერტიზა, ასევე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება;

3.4. ზემოაღნიშნული ფაქტიდან ორ დღეში, 2015 წლის 10 აგვისტოს, მოსარჩელემ გაასხვისა მის საკუთრებაში რიცხული ერთ-ერთი უძრავი ქონება მეგობარზე, ასევე მეგობარზე გაასხვისა საკუთრებაში არსებული ავტომანქანა;

3.5. ამავე კონფლიქტმა გამოიწვია მოსარჩელის მიერ მოპასუხის მიმართ მათ შორის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით სარჩელის აღძვრა;

3.6. მოსარჩელეს გაუფუჭდა ოჯახთან ურთიერთობა და ყველანაირი გზით ცდილობს მისი ოჯახის წევრებს არანაირი ქონება და შემოსავალი არ დარჩეთ საკუთრებაში.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება.

**7. სააპელაციო სასამართლომ დაადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტორივი გარემოებები:**

7.1. მოსარჩელე მეუღლესთან (მოპასუხის დედა) ერთად 2015 წლის აგვისტოს თვემდე ერთ ოჯახად ცხოვრობდა მისამართზე: თბილისი, ი-ის ქუჩა 24, ბინა №.... მათ შორის წარმოშობილი მწვავე კონფლიქტის გამო ამჟამად ერთად აღარ ცხოვრობენ, მოსარჩელე ცხოვრობს სხვა მისამართზე;

7.2. მოპასუხე, როგორც მოსარჩელის სრულწლოვანი შვილი, ცხოვრობდა მშობლებთან ერთად ი-ის ქუჩაზე. აღნიშნულ ბინაში ამჟამად ცხოვრობს მხოლოდ მოპასუხის დედა. ბინის კომუნალურ გადასახადებს იხდის მოპასუხე. ბინა წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას. მოპასუხემ ეს უფლება მოიპოვა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ბათილად ცნობის მოთხოვნით მოსარჩელეს აღძრული აქვს სამოქალაქო სარჩელი;

7.3. დადგენილია, რომ მოსარჩელეს, მოპასუხის გარდა, ჰყავს სხვა სრულწლოვანი შვილები: 2 ვაჟი – ზ. ჩ-ე და ბ. ჩ-ე და ერთი ქალიშვილი – მ. ჩ-ე, რომლებსთვის დახმარების მოთხოვნით მოსარჩელეს არ მიუმართავს;

7.4. მოსარჩელის ყველა შვილი არის სრულწლოვანი და შრომისუნარიანი. ზ. ჩ-ეს, ბ. ჩ-ესა და მ. ჩ-ეს (ეს უკანასკნელი არ ცხოვრობს საქართველოში) ჰყავთ ცალკე ოჯახები, თითოეულს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, ამასთან, თითოეულის შემოსავალი ბევრად აღემატება მოპასუხის შემოსავალს, ეს უკანასკნელი დამოუჯახებელია და ზრუნავს დედაზე;

7.5. მოპასუხე დასაქმებულია ქ. ბათუმში შპს „პ-ს“ კაფე „პ“-ს მენეჯერის თანამდებობაზე 2013 წლიდან. მისი სახელფასო განაკვეთი შეადგენს 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარს, ხოლო ზაფხულის სეზონის (ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) პერიოდში მისი ანაზღაურება იზრდება 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარამდე. მოპასუხე გარკვეული პერიოდი 2016 წლის აპრილამდე მუშაობდა ასევე შპს „ბ-ში“ და იღებდა ანაზღაურებას;

7.6. მოსარჩელეს დასმული აქვს დიაგნოზი არტერიული ჰიპერტენზია, მუდმივი კარდიოსტიმულატორი, შ/დიაბეტი ტ II, E11. მან 2016 წლის 29 აპრილს მიმართა მე-5 კლინიკურ საავადმყოფოს, მა-

ღალი წნევის ფონზე გამოეხატა დეზორიენტაცია, ვერ ცნობდა გარემომყოფებს. დაუდგინდა ტრანზიტული გლობალური ამნეზია ჩ45.4. მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროება მედიკამენტური მკურნალობა;

7.7. მოსარჩელე იმყოფება აღრიცხვაზე ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ინვალიდი შეზღუდული შესაძლებლობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსით (II ჯგუფის ინვალიდი უვადოდ);

7.8. 2013 წლის 1 ოქტომბრიდან მას დანიშნული აქვს და ამჟამად ერიცხება ყოველთვიურად სახელმწიფო გასაცემელი. მისი ყოველთვიური ოდენობა, 2015 წლის სექტემბრის თვიდან დღემდე, შეადგენს 274 (ორას სამოცდაათობმეტი) ლარს. ამ თანხაში შედის, როგორც სახელმწიფო კომპენსაცია თავდაცვის სამინისტროს ხაზით, ასევე სოციალური პაკეტი გამოყოფილი სამხედრო მოვალეობის დროს მიღებული ტრამვის შედეგად ინვალიდობის გამო;

7.9. მოსარჩელე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას. სამენარმეო საქმიანობის საგანი იყო შინაური ცხოველების, კერძოდ, ძაღლების, ვეტერინალური და სხვა სახის მომსახურება. მოსარჩელის სამენარმეო საქმიანობა იყო მომგებიანი. სამენარმეო საქმიანობაში მოსარჩელეს ეხმარებოდა მეუღლე;

7.10. მოსარჩელე რეგისტრირებული იყო ინდივიდუალურ მენარმედ. მან მხოლოდ 2015 წლის 15 სექტემბერს შეწყვიტა სამენარმეო საქმიანობა;

7.11. მეუღლესთან კონფლიქტის გამო სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყების პერიოდს ემთხვევა მოსარჩელის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, სოფელი წავკისი (საკადასტრო კოდი 8...) გასხვისება. ასევე, კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება „SUBARU FORESTER 2.5“ (VIN: J...), სახელმწიფო სანომრე ნიშნით L... გასხვისება;

7.12. მეუღლესთან კონფლიქტის შედეგად, შვილთან – მოპასუხესთან უთანხმოების ფონზე მოსარჩელემ სამართალწარმოების წესით სადავო გახადა მის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის ჩუქების კანონიერება;

7.13. მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებულია: გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი „A...“, გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი „H...“, ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღი „I...“;

8. მოცემული სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმათა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე და 1219-ე მუხლები) დისპოზიციის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი

გარემოებების თანმიმდევრული შეფასების შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როცა მოსარჩელე სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო სოციალურად, მასზე თანასაკუთრების უფლებით ირიცხებოდა უძრავი ქონება (სოლიდური ღირებულების), ასევე, – არამცირედ ღირებული მოძრავი ქონება (ცეცხლსასროლი იარაღების სახით), მოსარჩელემ მეუღლესთან კონფლიქტის შემდეგ მალევე გაასხვისა მის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელთა გასხვისებით მიღებული შემოსავლის განკარგვის მიმართულებები გაურკვეველი იყო (სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ ქონების გასხვისების მოტივი და მიღებული სახსრების დანიშნულების საკითხი მნიშვნელოვანი იყო, როდესაც საალიმენტო დავაზე მოპასუხე სადავოდ ხდიდა მოსარჩელისათვის მატერიალური დახმარების აუცილებლობას), ამასთან, ინვალიდობის მიუხედავად, მოსარჩელე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას ანუ იყო შრომისუნარიანი და ეს საქმიანობა შეწყვიტა ოჯახში წარმოშობილი კონფლიქტის შემდეგ, ასევე, 2016 წლის 25 ივლისს მან სასამართლოს მიმართა განცხადებით, რომლითაც მოითხოვა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაყადებული ავტომანქანის ყადაღისგან გათავისუფლება კონკრეტული თანხის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნული ფაქტები მეტყველებდა იმაზე, რომ მას ჰქონდა უნარი, სხვისი დახმარების გარეშე მატერიალურად უზრუნველყო საკუთარი თავი. რაც შეეხება გარემოებას, რომ მოსარჩელემ ალიმენტის გადახდა მოითხოვა მხოლოდ იმ შვილისაგან, რომელიც მეუღლესთან კონფლიქტის გამო მამას მხარს არ უჭერდა, ამასთან, ედავებოდა შვილს გაჩუქებულ ქონებაზე კონფლიქტის წარმოშობის პერიოდიდან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მატერიალური დახმარების საჭიროება მოსარჩელემ ვერ დაადასტურა და სარჩელის რეალურ მიზანს მეუღლესთან და შვილთან არსებულ კონფლიქტში უპირატესობის მოპოვება წარმოადგენდა.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

**10. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

10.1. მოსარჩელე ფაქტობრივად არ ფლობს არცერთ ისეთ ნივთს (ქონებას), რომელიც უზრუნველყოფდა მისი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მას არ გააჩნია ცალკე ბინა, რომლის

რეალიზაციით/გაქირავებით იგი შეძლებდა შეეძინა/დაექირავებინა უფრო მცირე ზომის ბინა და დარჩენილი თანხით შეეძინა საკვები, ტანსაცმელი, მედიკამენტები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია მისთვის. მოსარჩელის შემოსავლის ერთადერთი წყარო ამჟამად მხოლოდ პენსიაა, რომელიც ლარის გაუფასურებით გამოწვეული გაძვირების გამო მარტო წამლებზეც კი არ ჰყოფნის. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ 274-ლარიანი პენსია საკმარისია იმისათვის, რომ მოსარჩელემ ყოველდღიურად შეძლოს გადაიხადოს 10 ლარი საკვებში და 2-3 ლარი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, ყოველთვიურად 330 ლარი – წამლებში, ყოველთვიურად 50 ლარი – (სულ მცირე) კომუნალურ გადასახადებში და ყოველწლიურად 150-200 ლარი – სამოსში;

10.2. 500-ლარიან საალიმენტო მოთხოვნაში შედის არა მხოლოდ სარჩო, არამედ – დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაც. მოსარჩელე არ ითხოვს 500 ლარს მხოლოდ სარჩოს სახით, ამ თანხაში შედის ასევე მოსარჩელისთვის აუცილებელი მედიკამენტების საფასურიც. გონივრულ ლოგიკასთან ახლოს იქნებოდა, მოსამართლეებს სარჩელი ნაწილობრივ მაინც რომ დაექმაცოფილებინათ – მხოლოდ სარჩოს ნაწილში, ხოლო დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე მოთხოვნის არარსებობის გამო უარი ეთქვათ, მაგრამ მათ არც ერთი დააკმაყოფილეს და არც – მეორე. უსამართლოა და არაგონივრული სასამართლოს დასკვნა, რომ 274 ლარი თვეში, იარაღი და ბინის  $\frac{1}{4}$  ნაწილი, რომლებსაც მოსარჩელე ვერც კი განკარგავს – სრულიად საკმარისია მისი ნორმალური რჩენისა და სამედიცინო მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 აპრილის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმობაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 მარტის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. კასატორი სადავოდ არ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა, არ ეთანხმება ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას.

16. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ამონებს სრულწლოვანი შვილისგან სარჩოს მიღებაზე მამისთვის უარის თქმის კანონიერებას, რასთან დაკავშირებით უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს მოცემული დავის სამართლებრივ თვისებებზე.

17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შვილები მოვალენი არიან იბრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ.

18. მშობლების მიერ თავიანთ უფლება-მოვალეობათა ჯერონად განხორციელება, რაც გამოიხატება შვილების საზოგადოების ღირსეულ წევრებად აღზრდაში, მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის ზრუნვაში, წარმოშობს მათ მიერ შვილებისგან მატერიალური დახმარების მიღების უფლებას შვილების სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ.

19. სანაცვლოდ, სრულწლოვან შრომისუნარიან შვილებს ეკისრებათ მშობლებზე ზრუნვის მორალური ვალდებულება, რომელსაც ისინი ნებაყოფლობით ასრულებენ. კანონმდებელი მოცემულ ოჯახურ-სამართლებრივ ურთიერთობაში საკანონმდებლო მონესრიგების გზით იჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მშობლის შრომისუნარობა და მის მიერ დახმარების მიღების საჭიროება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სწორედ ამ შემთხვევაში არის კანონით დაცული მშობლის უფლება შვილისგან სარჩოს მიღებაზე, რაც ექვემდებარება იძულების წესით აღსრულებას.

20. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ მოსარჩელე იმყოფება აღრიცხვაზე ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ინვალიდი, შეზღუდული შესაძლებლობის გამო მნიშვნელოვნად გამონატული სტატუსით (II ჯგუფის ინვალიდი უვადოდ). 2013

წლის 1 ოქტომბრიდან მას ყოველთვიურად დანიშნული აქვს და ამჟამად ერიცხება სახელმწიფო გასაცემელი. მისი ყოველთვიური ოდენობა, 2015 წლის სექტემბრის თვიდან დღემდე, შეადგენს 274 (ორას სამოცდათოთხმეტი) ლარს. ამ თანხაში შედის, როგორც სახელმწიფო კომპენსაცია თავდაცვის სამინისტროს ხაზით, ასევე სოციალური პაკეტი გამოყოფილი სამხედრო მოვალეობის დროს მიღებული ტრამვის შედეგად ინვალიდობის გამო.

21. ამავე დროს, საქმის მასალებით არ დასტურდება სახელმწიფო გასაცემლის – 274 (ორას სამოცდათოთხმეტი) ლარის გარდა, მოსარჩელის მიერ სხვა რაიმე წყაროდან ყოველთვიური სტაბილური შემოსავლის მიღების ფაქტი.

22. საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის შვილის მშობლის რჩენისგან გათავისუფლების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მამა თავს არ არიდებდა მშობლის მოვალეობის შესრულებას შვილის მიმართ მისი არასრულწლოვანების პერიოდში. სანინალმდეგო ფაქტი სააპელაციო პალატას არ დაუდგენია.

23. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ მოპასუხეს ეკისრება შრომისუუნარო მშობლის რჩენის კანონისმიერი ვალდებულება, თუმცა არ ეთანხმება მას სარჩოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში.

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე, ნორმალური რჩენისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში, რაც გულისხმობს, როგორც შრომისუუნარო მშობლის საჭიროების, მატერიალური მდგომარეობის, ისე შვილის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებას (იხ. სუსგ №ას-289-278-2012, 2012 წლის 7 მაისი).

25. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1219-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას, მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ.

26. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს, მოპასუხის გარდა, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები: 2 ვაჟი – ზ. ჩ-ე და ბ. ჩ-ე და ერთი ქალიშვილი – მ. ჩ-ე, რომლებისთვის დახმარების მოთხოვნით მოსარჩელეს არ მიუმართავს. ამასთან, მოსარჩელის ყველა შვილი

არის სრულწლოვანი და შრომისუნარიანი. ზ. ჩ-ეს, ბ. ჩ-ესა და მ. ჩ-ეს (ეს უკანასკნელი არ ცხოვრობს საქართველოში) ჰყავთ ცალკე ოჯახები, თითოეულს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, ამასთან, თითოეულის შემოსავალი ბევრად აღემატება მოპასუხის შემოსავალს, ეს უკანასკნელი დაუოჯახებელია და ზრუნავს დედაზე.

27. დადგენილია, რომ მოპასუხე დასაქმებულია ქ. ბათუმში შპს „პ-ს“ კაფე „პ“-ს მენეჯერის თანამდებობაზე 2013 წლიდან. მისი სახელფასო განაკვეთი შეადგენს 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარს, ხოლო ზაფხულის სეზონის (ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) პერიოდში მისი ანაზღაურება იზრდება 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარამდე. მოპასუხე გარკვეულ პერიოდი 2016 წლის აპრილამდე მუშაობდა ასევე შპს „ბ-ში“ და იღებდა ანაზღაურებას.

28. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ალიმენტის სახით 500 ლარის მოთხოვნის დასაბუთებისას მოსარჩელე სარჩელსა და საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას ესაჭიროება თანხა მედიკამენტებისთვის, კერძოდ, საკასაციო საჩივარში მოსარჩელე მიუთითებს, რომ მის მიერ დასახელებულ თანხაში შედის მედიკამენტების ღირებულებაც ყოველთვიურად 330 ლარის ოდენობით. ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელეს მართლაც ესაჭიროება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მედიკამენტური მკურნალობა (იხ. წინამდებარე განჩინების 7.6. პუნქტი), თუმცა, საკასაციო პალატა ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ვერ გაითვალისწინებს ზემოაღნიშნულ ფაქტს, რადგან სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენს მოპასუხისთვის დამატებითი ხარჯების გადახდის დაკისრება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1220-ე მუხლი), მოცემული დავის საგანია მხოლოდ ალიმენტის (სარჩოს) გადახდის დაკისრება.

29. ამგვარად, იმ პირობებში, როცა მოსარჩელეს არ მოუთხოვია მოპასუხისთვის დამატებითი ხარჯების გადახდის დაკისრება, ასევე, მოსარჩელე სარჩოს არ ითხოვს აღნიშნული ვალდებულების მქონე სხვა შვილებისგან და იმის გათვალისწინებითაც, რომ მოპასუხე ზრუნავს ასევე მეორე მშობელზე და ფინანსურად ეხმარება მას, აგრეთვე, მისი ხელფასის ოდენობის მხედველობაში მიღების შედეგად, საკასაციო პალატა გაუმართლებლად მიიჩნევს მოპასუხისთვის 500 ლარის დაკისრებას. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შვილის საალიმენტო ვალდებულება უნდა განისაზღვროს 50 ლარით. ალიმენტის მითითებული ოდენობა გონივრულია და შეესაბამება, როგორც მშობლის, ისე შვილის რეალურ მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხ-

ლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

31. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადანყვეტილება.

32. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადანყვეტილებას მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

35. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე სახელ-

მნიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში მოპასუხეს უნდა დაეკისროს სახელმნიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმნიფო ბაჟის გადახდა, რასაც მოსარჩელე გადაიხდიდა სახელმნიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი რომ არ არსებულებო, კერძოდ, სარჩელზე დავის საგნის ღირებულების 3%, სააპელაციო საჩივარზე – 4%, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 5%, ამასთან, – მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ალიმენტის დაკისრება, მისი ღირებულება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით – 6000 ლარით ( $500 \cdot 12$ ). შესაბამისად, მოსარჩელეს სამივე ინსტანციის სასამართლოში უნდა გადაეხადა სახელმნიფო ბაჟი 720 ლარის ოდენობით (180 ლარი ( $6000 \cdot 3\%$ ) + 240 ლარი ( $6000 \cdot 4\%$ ) + 300 ლარი ( $6000 \cdot 5\%$ )). ვინაიდან დაკმაყოფილდა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის 10% ( $6000/600 (50 \cdot 12)$ ), მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადასახდელი სახელმნიფო ბაჟი 72 ლარის (720 ლარის 10%) ოდენობით სახელმნიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. დ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ლ. ჩ-ეს დ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
5. ლ. ჩ-ეს (პ/ნ: 0...) სახელმნიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმნიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სახელმნიფო ბაჟის სახით დაეკისროს 72 (სამოცდათორმეტი) ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)